

წიგნაკრები საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

3 ნომერი 2023წ. №15 (4075) გამოცემის 93-ე წელი ფასი 2 ლარი

გეგმვა ბრძოლით

თბილისი მოფენილია ელგუჯა ამაშუკელის მიერ შექმნილი ქანდაკებებით და უკვე დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა, რომ დადგმულიყო დედაქალაქის სიმბოლოებად ქცეულ ქანდაკებათა ავტორის ძეგლიც.

ამას ამბობდა ან გულისხმობდა ყველა, ვინც სიტყვით გამოდიოდა ელგუჯა ამაშუკელის ძეგლის გახსნაზე 30 ოქტომბერს, ვახტანგ გორგასლის ქუჩის №3-თან მდებარე სკვერში.

სკულპტორი – გენო ზაქარაია; იდეის ავტორი და არქიტექტორი – ვახტანგ დავითაია.

ორიგინალური ქანდაკებაა, არასტანდარტული, არატრადიციული, კონცეპტუალური. პოეტ ლია სტურუას, ელგუჯა ამაშუკელის მეუღლის, შეფასებით, ეს სკულპტურა მაღალი პოეზიის სფეროდანაა.

მაღლიერების დღე უნდა ძეგლის გახსნას ცერემონიის ნამყვანმა, პოეტმა ბადრი ქუთათელაძემ. სხვებმაც აღნიშნეს ელგუჯა ამაშუკელის, როგორც დიდი ხელოვანის, ღვაწლი თბილისის კულტურული ტექსტურის ჩამოყალიბების საქმეში და დედაქალაქის პასუხი საშვილიშვილო ღვაწლისთვის.



„ეროვნული სიმბოლოების ავტორი იქცა სიმბოლოდ“. ეს კლასიკური ფილოლოგიის დოქტორის, ვალერი ასათიანის სიტყვებია.

ძეგლის მდებარეობაც ამკარად სიმბოლურ ხასიათს ატარებს: ზემოთ ქართლის დედა, პირდაპირ ვახტანგ გორგასალი, გვერდით ნიკალა. ხელოვანი თავისი შემოქმედების ოპტიკურ ცენტრში – მონუმენტალურობის გარდაუვალი გრძნობა!

„მონუმენტალურობის გრძნობა მხატვრის მეექვსე გრძნობაა. საგნის სივცობრივად აღქმისა და გარემოს ჰარმონიულ ნაწილად წარმოსახვის გრძნობა“ (ელგუჯა ამაშუკელის წიგნიდან „მექვსე გრძნობა“).

ბელა ცინცაქა



ფრანკფურტი 75-ელ

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, რიგით 75-ე, 18-დან 22 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა.

მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი ლიტერატურული მოვლენა ექსცესებით დაიწყო. გახსნაზე საპატიო სტუმრის, სლოვენის, წარმომადგენელმა, ფილოსოფოსმა სლავოი ჟიჟეკმა, ერთი მხრივ, დაგმო ჰამასის ტერორისტების მოქმედებები ისრაელში, მეორე მხრივ, თქვა, რომ ისრაელი არ ითვალისწინებს პალესტინელების მდგომარეობას. ამან დამსწრეთა მწვავე რეაქცია გამოიწვია. თუმცა ბაზრობის დირექტორმა იურგენ ბოსმა ჟიჟეკს სიტყვა ბოლომდე ჩაამთავრებინა.

ორგანიზატორები იძულებული გახდნენ ბაზრობის დაწყებამდე გადაედოთ პალესტინელი მწერალი ქალის, ადანია შიბლის დაჯილდოების ცერემონია. მიზეზი – ანტისემიტური ნარატივი მის პრემირებულ რომანში.

ბაზრობაზე მონაწილეობდა 4 000 ექსპონენტი მსოფლიოს 100 ქვეყნიდან. ისრაელის სტენდი, გასაგები მიზეზის გამო, ცარიელი იყო. რუსები არც წელს დაუშვეს ბაზრობაზე. უკრაინელები 47 გამომცემლობით იყვნენ წარმოდგენილი. საქართველოდან ბაზრობაში ოთხი გამომცემლობა მონაწილეობდა.

თემის გაგრძელება იხ. მე-5 გვერდზე

ბასსენაბა

უხეოდ, თვალბით ნაპლერი

ის სიჩუმედან სიჩუმეში მოვიდა, რათა ეხმაურა.

მას ჰქონდა ხმა, განსხვავებული, გამორჩეული, თავისი, სხვათა გასაგონი, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა. სხვა ტემბრს ეძებდა, სხვა ტონებს, სხვა სიმალეებს.

სულ მიდიოდა, მიემართებოდა, დაეხეტებოდა, როგორც თვითონვე იტყოდა, ეძებდა, სინჯავდა, უმზერდა.

ჩვეულებრივი 80-იანელი იყო, თვითკრიტიკული, დაეჭვებული და, თუ შეიძლება ითქვას, გაუბედობით გაბედული. ჰქონდა თავისი, მკვეთრად სახასიათო – სიჯიუტე, შეუვალობა, ძნელად შესაძრწევი ინფანტილიზმი, რაც ზოგჯერ ლექსშიც იჩენდა ხოლმე თავს:

ათასჯერ უნდა გამინყრეს ღმერთი...

და უფრო მეტჯერ ჩემი დედიკო...

მკაცრად ნუ განმსჯით, ღმერთო და დედა,

არა ვარ ღირსი, ასე გამრიყოთ...

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი წესით ცხოვრობდა, ხანდახან კანონმორჩილი, რიგითი ადამიანის იერიშით გეჭვებოდა, შემოქმედებითი გზაც თანმიმდევრული ნაბიჯებით დაიწყო, ლიტერატურულ ჯილდოებსაც იღებდა, „გამჟღავნებული“ კაცი გეგონებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია იყო, ის, ძნელსაცნობი და გამოუცნობი, მთელი შინაგანი არსით რადიკალურად განსხვავებოდა იმისგან, როგორსაც ხედავდი. სიმართლე ითქვას, ამის მიზეზი ზოგჯერ სულაც არ გახლდათ. ხედვა ჰქონდა განსხვავებული, ცხო-

ბიბი სულაქაური - 70



ვრებისეული ფილოსოფიაც – სხვა. იყო ამ თავისებურებაში რაღაც საბედისწერო და, კაცმა რომ თქვას, ამას არც მალავდა, ლიად ამბობდა, როგორც, მაგალითად, ამ ლექსში:

შიგნიდან ოცი წლისა ვარ,

გარედან – ლამის ბებერი,

არც არავისა არ ვგავარ,

არც შემხვედრია ჩემგერი...

გადახსნილ ნისლებს გავივლი,

იქ მოყვანაა შიშველი,

მოგენატრები ძალიან,

მაგრამ ველარას გიშველი...

გზაში გამყვება სიმღერა

უხეოდ, თვალბით ნაპლერი...

სიცხიდან სიცხეში მავალს,

რას მიზამს, თოვლი, ნამქერი...

შენს ხელებს ვხედავ, მდგვარი,

არც შენ ხარ ჩემი დამქერი...

გაურბოდა ყოველდღიურობის რიტმსა და ერთფეროვნებას, მაგრამ იმავდროულად რჩებოდა ყოველდღიურობაში, ერთფეროვნებაში, რუტინაში. შინაგანმა წინააღმდეგობებმა წარმოშვა მისი ლექსი – მკაცრი, პირდაპირი, რეალობის ადეკვატური ანარეკლი.

ყოფიერების გარეგანი არსი ვერა-ნაირად ვერ მოერგო მის შინაგან ადამიანს, მუდამ ღია ჩანდა ის უფაქიზესი ნერვი, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ გაუძლო სასიცოცხლო დინამიკას და ის, ღრმა პოეტი და ძვირფასი მეგობარი, ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან, რათა ჩვენთვის დაეტოვებინა ტკივილი და სიმღერა – უხეოდ, თვალბით ნაპლერი.

ივანე ამირხანაშვილი

სიკითხის შემოქმედი

როინ მესხველიძე

83.2

ინტარკიუ

ოლანი ბიდაია

83.3

მკათუნასავი ჯადოსნური ჯოხით

მიმონა ცანავა

83.7

ელჟარდ ჰაილის მატრიცა

ქეთევან ტომარაძე

83.14

საშუალება მიცემით მწერლებს


სალმა რუხვი

83.15

სიკეთის შეპოქედი

რამდენიმე ხნის წინ ძღვნად მივიღე განსაკუთრებულად მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, მეტად ნატიფად გამოცემული წიგნი დიდი ქართველი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი. გავიმეორებ, წიგნი, ხელოვნების თვალსაზრისით, უზადოდ არის გამოცემული. გამოცემის გამორჩეულობას უთუოდ აძლიერებს მეტად საინტერესოდ, შეიძლება ითქვას, საჭიროდ შერჩეული მასალა დიდი მოღვაწის შესახებ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „გალაკტიონ ტაბიძის“ გამოცემის იდეის ავტორი და რეალური თანამდგომი, ლირსეული ქართველი საზოგადო მოღვაწე, ბიზნესმენი, მწერლობის დიდი ტრფიალი ვახტანგ ვეფხვაძე გახლავთ. ესაა ადამიანი, რომელმაც წლების წინ მიზნად დაისახა, რომ სპონსორობა გაენია დიდი ქართველი მამულიშვილების, გამოჩენილი მწერლებისა და პოეტების ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნების გამოცემისათვის და ღირსებით ასრულებს დასახულ მიზანს.

სულ მალე გამოჩნდა ბატონი ვახტანგისაგან ხელდასხმული დიდი გიორგი ლეონიძისა და სასიქადულო ირაკლი აბაშიძისადმი მიძღვნილი წიგნები, და ბოლოს, როგორც



თავად ვახტანგ ვეფხვაძე მიიჩნევს – „ტრილოგიის ბოლო კარი“. სწორედ ეს მიძღვნა მიმართა უნიკალურად. წიგნში დიდი გალაკტიონი მთელი სისრულითაა წარმოდგენილი (არ შეიძლება კეთილად არ გავისენოთ რედაქტორ-შემდგენლები – ემზარ კვიციანი და ვალერი ასათიანი, ფოტოხელოვანი დემიკო ლოლაძე, დიზაინერი კახა ბახტაძე). გამოცემას გზას უხსნის თავად ვახტანგ ვეფხვაძის მოკლე, მაგრამ საინტერესო,

მაღალი კულტურით დაწერილი შესავალი სტატია. აქედან ჩანს, რომ ბატონი ვახტანგი მხოლოდ გამოცემის თანამდგომი (სპონსორი) არ არის, იგი თავად შემოქმედი და ორიენტაციის განმსაზღვრელია. ვახტანგ ვეფხვაძე დიდი გალაკტიონის შემოქმედებას „უკიდევანოდ და ამოუწურავად“ მიიჩნევს და მის შეფასებას ბორის პასტერნაკის გულწრფელი ნათქვამით ცდილობს: „მე, რომელმაც შევხვედრე შექსპირის, გოეთეს, ბარათაშვილის თარგმნა, ვერ გავხვდებ მეთარგმნა გალაკტიონი“. წიგნი განსაკუთრებით ფასეულია იმით, რომ აქ სხვადასხვა ავტორთა მიერ შექმნილი შეფასებებით, შეიძლება სრულყოფილად წარმოვიდგინოთ დიდი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. გურამ ასათიანი, ნოდარ დუმბაძე, თამაზ ჭილიძე, რევაზ თვარაძე – აი ავტორები, რომლებმაც გალაკტიონ ტაბიძის მახასიათებლად გვევლინებინა. დიდი პოეტის მიმართ გულწრფელი სიყვარული და თავისი მეტად საინტერესო დამოკიდებულება გამოხატეს ემზარ კვიციანი, დავით წერეთლიანი, თეიმურაზ დოიაშვილი, ლევან ბრეგვაძე, თამაზ ნივნივაძე, როსტომ ჩხეიძე, ინესა მერაბიშვილი, ზაზა აბზიანიძე, ზაზა შათირიშვილი. ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წიგნი უხვად და მეტად საინტერესოდ ილუსტრირებული (თვით დიდი გალაკტიონის მიერ შესრულებული ჩანახატებითაც).

წიგნის სრულყოფას იძლევა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ნიკა აგიაშვილის, მურ-

მან ლებანიძის, ტერენტი გრანელის, მირზა გელოვანის, ირაკლი აბაშიძის, შოთა ნიშნაიძის მოვლებები. მეტად საინტერესოდაა შესული კრებულში რუბრიკა „გალაკტიონი ხუმრობს“.

ჩემი წერილის პათოსი ისაა, რომ მაღლივრება გამოვხატოთ ქველმოქმედთა მიმართ. ქველმოქმედება კეთილის მოქმედებაა. არსებობს უცხოური სიტყვაც – ალტრუიზმი (ფრანგ. altruisme) – ესაა „უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის, მზადყოფნა სხვას შესწიროს პირადი ინტერესები“. მომზიბლავი დეფინიციაა. მინდა მკითხველს შევთავაზო ამონარიდი ერთი მოხუცი ლექსიდან:

„კაცი პურადი გულადზე
სამი გაფრენით დიდა“.

ამ სტრიქონების მიხედვით, ქართველი კაცი განსაკუთრებულად ფასდება პურადობით, სხვისი პატივისცემით, ქველმოქმედებით.

ერთხელ კიდევ მინდა ზაზი გაუფსვა, რომ ქვეყანაზე, ხალხზე მოფიქრალმა, ყველა კუთხით ღირსეულმა პიროვნებამ, ჭეშმარიტმა ქველმოქმედმა (ბევრი სხვა ამგვარი სასიკეთო საქმეც გაუკეთებია), ჭეშმარიტი სიკეთის შემოქმედმა, ბატონმა ვახტანგ ვეფხვაძემ „გალაკტიონ ტაბიძის“ კრებულის ამ სახით გამოცემით დიდი საქმე გაუკეთა ქართველ საზოგადოებას.

ბარაქლა და წარმატებები ვახტანგ ვეფხვაძეს.

როინ მეტრეველი


მერი ბინაძე – დავითას გადარჩენილი პოეტი

18 ოქტომბერს მწერალთა სახლში პოეტ მერი ბინაძის ახლახან დაბეჭდილი კრებულის „ჯვარცმული ლექსის“ (გამომცემლობა „მნივნობარი“) წარდგენა გაიმართა. დაუფასებელი, ტრაგიკული ბედის პოეტის აღიარება მისი გარდაცვალებიდან 17 წლის შემდეგ დაიწყო და მის ნამდვილ ფასს ამჟღავნებდა კიდევ მრავალი მკითხველი შეიგრძნობს.

მთელი ცხოვრება იგი სოფელ კარდენახს არ გასცილებია, მაგრამ მისთვის ამას არ შეუშლია ხელი, პოეზიის წინაშე პირნათელი დარჩენილიყო, მისი სულის ანაბეჭდები დიდი ტკივილით არის ნასაზრდოები და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

წიგნის სახელწოდება „ჯვარცმული ლექსი“ ზუსტად გამოხატავს მერი ბინაძის მინიერი ცხოვრების სინამდვილეს, რომლის სისასტიკემ და უღმობლობამ იგი მაინც ვერ გატეხა და დარჩა ვალმობილი ადამიანების და პოეზიის წინაშე.

მერი ბინაძის პოეზიის სიმძაფრესა და მშვენიერებაზე გაამახვილეს ყურადღება წიგნის წარდგენაზე სიტყვით გამომსვლელებმა პოეტებმა: თამარ შამშელაშვილმა, ხათუნა შავგულიძემ, ნინო არსენაშვილმა, მია დიკონიძემ, ნანა შალამბერიძემ, მთარგმნელმა რუსუდან ლვინფაძემ. ასევე სოფელ კარდენახის წარმომადგენლებმა: ანა მჭედლიშვილმა, მარინე ჭუჭულაშვილმა, ზურაბ ბეროზაშვილმა, ნინო კორკოტაშვილმა, თინა ჩახვაშვილმა, რომლებიც წლების წინათ



მერი ბინაძის ხელმძღვანელობით ეზიარნენ პოეზიის სამყაროს და დღეს საქართველოს ღირსეული მოქალაქეები არიან თავ-თავიანთ სფეროში. ასევე სიტყვით მიმართეს საზოგადოებას პოეტ მერი ბარნაბიშვილის შვილმა მია მაზიაშვილმა, ვისი დედის განუყრელი და უერთგულესი მეგობარი იყო მერი ბინაძე.

წიგნის გამომცემელს გიორგი ლალიაშვილს და რედაქტორ თამარ შამშელაშვილს მადლობა გადაუხადა მერი ბინაძის ძმისშვილმა მია ბინაძემ.

მერი ბინაძის „ჯვარცმული ლექსის“ შექმნა შესაძლებელია მერაბ კოსტავას 14 ნომერში არსებულ მაღაზია „სტამბის წიგნები“. მათი გაყიდვიდან შემოსული თანხა მოხმარდება მერი ბინაძის საფლავის შემდგომ კეთილმოწყობას, რომელსაც ასეთი სისათუთით უპატრონეს კარდენახელი ფრიდონაშვილებისა და ჭუჭულაშვილების ოჯახებმა.




პრემია „საგურამოს“ ბიბლიოთეკა

„ილიას ფონდი“ გამომცემლობა „საართან“ ერთად გამოსცემს ლიტერატურული პრემია „საგურამოს“ ლაურეატების თხზულებათა სრულ კრებულს. ერთდროულად მიმდინარეობს მუშაობა ბაჩანა ბრეგვაძის, თამაზ ჩხენკელის, დავით წერეთლის, ალექსი ჭინჭარაულის, ლერი ალიმონაკის, სოსო სიგუას, თეიმურაზ დოიაშვილისა და სხვათა ტომებზე.

უკვე გამოცემულია ლევან ბრეგვაძის თხზულებათა ხუთი ტომი, რომლებშიც შედის ავტორის ჯან-

რული სერიები: „მოთხრობები ლიტერატურაზე“, „კლასიკოსები სხვადასხვა რაკურსით“ (შოთა, საბა, ილია, აკაკი, გალაკტიონი, მუხრანო), „თარგმანი და ორიგინალი“, „მხატვრული თარგმანი“, „ესეისტიკა, მარგინალიები“, „წინათქმანი, ბოლოთქმანი და ერთი-მეორე“, „ლიტერატურის თეორია, ესთეტიკა“. ლიტერატურა+ჟურნალისტიკა: რეცენზია, მიმოხილვა, ინტერვიუ.

გამოსაცემად მზადდება ორი ტომი. სულ განსაზღვრულია 10 ტომის გამოცემა.



„ოლე“ №4

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლე“ 2023 წლის IV ნომერი. მხატვრული ლიტერატურის რუბრიკით ქვეყნდება ანა მანოშვილის, მარიამ გოჯიაშვილის, კახაბერ პა-



ვლიაშვილის, ციური მესხიშვილის, ჯემალ შანიძის, შავლეგო არაგველის, ნუნუ ძამუკაშვილის ლექსები; ლანა მანველის რომანის „სად არის ბედნიერება“ გაგრძელება, ხათუნა გოზალიშვილის, გიორგი ბერძენიშვილისა და მია დიკონიძის მოთხრობები.

რუბრიკით „ახალგაზრდული ჩანართი – ნაბიჯი“ იბეჭდება გიორგი ზუბიტაშვილის, მკა ლარიაშვილის, თამარ ბურნაძის, ნათია ჯავშანიშვილის, ნინო მოსიაშვილის, გიორგი გუგუშვილის, მზია აზნაშვილის, ელიზარ ნერსესოვის, ნანა ბართიშვილის, ნანა სულხანიშვილის, თათია გომპაძის, ზაირა როსტომაშვილისა და ქეთევან ჭანკოტაძის მხატვრული ნაწარმოებები.

„თარგმანის“ რუბრიკაში გაცნობით გალინა გრანოვსკაიას მოთხრობას „რომანტიკული გაცნობა“. კრიტიკა-პუბლიცისტიკის რუბრიკაში ნაიკითხავთ ნანა რჩულიშვილის, ქეთევან ჯერვალიძის, ნინო დარბაისელისა და აკაკი დაუშვილის წერილებს.

ნომერი გაფორმებულია მხატვარ გიორგი სონღულაშვილის ნახატებით.

ჟურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის (მერი ბატონი ლევან ანდრიაშვილი) და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთვარელიშვილი) მხარდაჭერით.

„ოლე“ №5

გამოვიდა ლიტერატურულ ჟურნალ „ოლე“ 2023 წლის V ნომერი. ჟურნალი იხსნება ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიძღვნილი საიუბილეო გვერდით.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით ქვეყნდება მარიამ კოზმანიშვილის, ვანო ჩხიკვაძის, ბადრი სულაძის, ვახტანგ ჭანკოტაძის ლექსები; ლანა მანველის რომანის „სად არის ბედნიერება“ გაგრძელება, ხათუნა გოზალიშვილის, ელგუჯა თაბერიძის, გივი ჩიღვინაძის, პროზაული ნაწარმოებები.

„ბავშვებისთვის საკითხავის“ რუბრიკაში ნაიკითხავთ ნინო სტურუას საბავშვო ლექსებს და როლანდ გიორგაძის საბავშვო მოთხრობას „უარსებულო ქვეყანაში“.

რუბრიკით „ხელოვანი სხვა რაკურსით“ გთავაზობთ გამოჩენილი კომპოზიტორის კახა ცაბაძის ლექსებს.


„თარგმანის“ რუბრიკაში გაცნობით ემილი დიკონსონისა და ლუის მაკინის ლექსებს. მთარგმნელი ნინო ძამუკაშვილი.

კრიტიკა-პუბლიცისტიკის რუბრიკაში ნაიკითხავთ როსტომ ჩხეიძის, მაყვალა მიქელაძის, ნინო დარბაისელი სტრონის, ქეთევან ფირუშაშვილის, ნანა რჩულიშვილის, ქეთევან ჯერვალიძისა და ნინო პეტრიაშვილის წერილებს.

ჟურნალის გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდებზე დაბეჭდილია ქართველი მწერლების პოსტერები. მხატვარი სოფიო ჭელიძე.

ჟურნალ „ოლე“ ეს ნომერი გამოიცემა საქართველოს კულტურის,

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.





ოლანი ბინძე – პროზაიკოსი, ფილოლოგიის მაგისტრი.

დაიბადა ჭიათურაში. 2021 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, 2023 წელს კი ამავე უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა. მუშაობს „სულაკაურის გამომცემლობაში“. არის არაერთი ლიტერატურული კონკურსისა და ფესტივალის გამარჯვებული და პრიზიორი. მისი მოთხრობები რეგულარულად იბეჭდება სალიტერატურო პრესაში. ავტორია რომანისა „მანიტუ“ (2022).

წელს მიენიჭა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პრემია „ლიტაივანი“.

– როდის დაიწყო ეს მართალი? – როდის აღმოაჩინეთ, რომ სიტყვა თქვენი სტიქია იყო და უნდა გენერატი, გენერატი...

– ნერასთან ჩემი ურთიერთობა ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობიდან დაიწყო. ზუსტად არ მახსოვს, რის გამო გადაწყვიტე, მაგრამ 7-8 წლის ასაკში, ერთ დღეს მამაჩემს გამოუცხადე, მწერალი ვარ-მეთქი. მამაჩემი ჩემს ბავშვურ განაცხადს ძალიან ბუნებრივად შეხვდა და მითხრა, მაშინ რამე უნდა დანეროო. ჰოდა, მეც რამდენიმე დღეში ჩემი დაწერილი ლექსები წავუკითხე. თავიდან ლექსებს ვწერდი, მერე მოთხრობებს, ლექსების პარალელურად. ჩემი პირველი მკითხველები ოჯახის წევრები იყვნენ, განსაკუთრებით ჩემი და, ვისაც ხშირად დანერამდე ვუყვებოდი ჩემს მოგონილ ისტორიებს. მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რამხელა ჯადოქრობა იყო იმაში, რომ ჩემი გამოხატვით ვინმე დამეინტერესებინა. რაღაც პერიოდის შემდეგ ეს რიტუალი – ოჯახის წევრებისთვის ჩემი ნაწერების ხმადასმის წაკითხვის – შევწყვიტე. სამაგიეროდ, არ შემინყვებია წერა. ოღონდ იმიტომ არა, რომ ვფიქრობდი, კარგად გამომდიოდა ან რამე მსგავსი, მთავარი, რაც წერისკენ მიბიძგებდა და მიბიძგებს, ალტერნატიული სამყაროების, პერსონაჟების შექმნის სურვილია, რაღაც ისეთის დატოვების მცდელობა, რაც შენამდე არ არსებობს, მაგრამ შენით იწყებს არსებობას და თუ გაუმართლებს, შენს გარეშე გააგრძელებს. ჩემი მთავარი მისია ასეთი ამბების წერაა.

– ამბობენ, წერის უნარი თანდაყოლილია, მისი შესწავლა შეუძლებელიაო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა მანც ვილაცისგან ან საიდანლაც იწყებს. ვინ იყო თქვენი ორიენტირი, მაგალითი, გზის გამკვლავი?

– ლიტერატურის სამყარო რამდენიმე კლასიკური საბავშვო მწერლითა და ნაწარმოებით გავიცანი და, სამწუხაროდ, საბავშვო ლიტერატურის კითხვა ნაადრევად შევწყვიტე. მაშინვე ისეთ ტექსტებსა და მწერლებზე გადავედი, რომლებიც, მგონია, უფრო მოზრდილ ასაკში უნდა წაშეკითხა. მართალია, ამის გამოსწორება, ნაწილობრივ მაინც, მომავალში შეეძლო, მაგრამ გამოტოვებულ საბავშვო ტექსტებს მთლად იმ ბავშვური სილამითა და გულუბრყვილობით ვეღარ ვკითხულობ ნაწილებს შემდეგ. კონკრეტული ავტორი არ ყოფილა, ვინც წერის სამყაროში შემიძღვა და მე უპირობოდ გავყევი, თუმცა, რა თქმა უნდა, წერის სურვილს ყველაზე მეტად სწორედ ბავშვობაში წაკითხული ნაწარმოებები მიძლიერებდა. მეტიც, მერე მეც ვცდილობდი კლასიკური რომანების წერას, სადაც ქალებს ფუფუნება უფრო კაბები აცვიათ და ერთი შეხედვით ყველაზე მკაცრი და უხასიათო მამაკაცები უყვარდებოდათ. დროთა განმავლობაში ჩემი ლიტერატურული გემოვნება შეიცვალა, თემებიც ჩემს ტექსტებში და ჩემი წერის სტილიც.

ოლანი ბინძე: „მწერლობა სოციალისტური“

– როცა ერთ რომელიმე მწერალს გადაბრუნებენ კითხვებით, უნებლიეთ ხომ არ გადაიხრებით მისი სტილისკენ, ხომ არ ჩნდება სურვილი, თქვენც ისე წეროთ?

– მსგავსი გავლენების ქვეშ ადრეულ ასაკში უფრო მარტივად ვეცდებოდი, თან მწერლის რამდენიმე ნაწარმოების წაკითხვა სულაც არ იყო საჭირო. ისიც საკმარისი იყო, მწერალი და მისი ტექსტი განსაკუთრებით მომწონებოდა და ჩემზე დიდი ემოციური თუ ინტელექტუალური გავლენა მოხდებოდა. მაგრამ სინამდვილეში ვილაცის მიბაძვა რომ ასეთი მარტივი იყოს, მხოლოდ ერთი თომას მანი ან ჯეინ ოსტინი კი არ ეყოლებოდა ლიტერატურას, არამედ ძალიან ბევრი. თუ ვილაცას მიბაძვას ვეძებ კარგ შემთხვევაში, ეს იმდენად კარგად გამოვიდა, რომ ამ ვილაცის შექმნილისგან ვერ გაარჩევინ, ყველაზე ცუდ და უმეტეს შემთხვევაში კი, შედეგად უბრალოდ უხარისხო პროდუქტს ვიღებ. ამიტომაც მგონია, რომ ყველა საკუთარი ხმის, ინდივიდუალური პოვნის უნდა ეცადოს. ცხადია, გარკვეული სახის გავლენებისგან თავის დაღწევა შეუძლებელია, ზოგჯერ მსგავსი გავლენები სრულიად გაუცნობიერებელი და უნებურიცაა, მაგრამ თუკი მაშინაც არ იქნები საკუთარი თავი, როცა წერ, მაშინ ერთ დღეს აღმოაჩენ, რომ მწერალი შენს ნაცვლად ვილაც სხვა გამხდარა.

– ფაბულა ან სიუჟეტი წინასწარ მოდის წარმოსახვაში თუ წერის პროცესში ვითარდება?

– ბავშვობაში ასეთი მიდგომა მქონდა, როგორც კი წერა მომიხდებოდა, უბრალოდ, მივდიოდი და რამის წერას ვიწყებდი იმის გარეშე, რომ წინასწარ ბევრს არც ამბავს ვფიქრობდი, არც პერსონაჟებზე. დროთა განმავლობაში ერთგვარი დისციპლინა და სხვა სახის მიდგომა გამოიმუშავდა. ახლა სანამ რამეს დავწერ, გაცილებით მეტს ვფიქრობ სიუჟეტზე, გმირებზე. თუმცა ყველაფრის წინასწარ დაგეგმვა არ მახსიათებს. მგონია, რომ პერსონაჟებს ამით მოქმედების თავისუფლებას ნაწარმოებზე და, მიუხედავად იმისა, რომ ავტორის როლის მნიშვნელობა საკმარისად კარგად მაქვს გაცნობიერებული, მაინც მჯერა, რომ ყველაზე კარგი ტექსტი ის არის, სადაც ავტორი ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოჩვენებასავით არ დაგყვება. სადაც პერსონაჟები თვითმოყოფად აღდგებიან არაიან, თავიანთი გზა და ცხოვრება აქვთ. თუკი ავტორიც კი არ ენდობა საკუთარ პერსონაჟებს, მაშინ მკითხველმა როგორ უნდა მიიღოს ისინი დამოუკიდებელადამიანებად? მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ მე წერას ვიწყებ, დანარჩენში კი ამბავი, პერსონაჟები შემეძრება.

– როგორ ქმნი პერსონაჟთა სახეებს, რამდენად ახლოს არიან ისინი რეალურ ცხოვრებასთან, თქვენს გარემოსთან, ჰყავთ მათ პროტოტიპები?

– პერსონაჟის შექმნა ჩემთვის დღემდე მთავარი გამოწვევაა. როგორც წესი, ჯერ ყოველთვის ამბავს ვხედავდი ხოლმე და მერე პერსონაჟებს. ამ ბოლო დროს ასე აღარაა. რამდენიმე მოთხრობა ისე დავეწერე, რომ ჯერ გმირები დავინახე და სხვა დანარჩენი შემდეგ მოვიდა. მე ასე მჯერა: კარგი პერსონაჟი შეიძლება გამოვინილი იყოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ყალბი, ხელოვნური. ეს ტექსტსაც აზიანებს და არც ავტორზე მეტყველებს მთლად კარგად. კონკრეტული პროტოტიპის მიხედვით არასდროს შემიქმნია პერსონაჟი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს პერსონაჟებს ჩემსავე ნაცნობებთან საერთო არაფერი აქვთ. იმისთვის, რომ რაღაც ნამდვილი იყოს, სწორედ სინამდვილიდან უნდა მოდიოდეს. მეც ხშირად როცა კონკრეტული პერსონაჟის კონრეტულ თვისებაზე ვფიქრობ, შეიძლება ნებით თუ უნებურად ვინმე ნაცნობი მყავს მხედველობაში. თუმცა, როგორც ზემოთაც ვახსენებ, რაღაც ეტაპის მერე პერსონაჟები იმდენად ცოცხლდებიან, რომ ზედმეტი ჩარევების საშუალებას აღარ გაძლევენ. ისე იქცევიან, როგორც თვითმოყოფადი ადამიანები და შენი ხელოვნურად მიკერძოებული რომელიმე თვისებით შეიძლება ისინი, უბრალოდ, ისევე უსიცოცხლოები გახადონ.

– არჩევანზე რომ იყოს, კარგი მოთხრობის დასაწერად მწერალს რა უფრო სჭირდება – ენის ფლობა თუ მხატვრული იდეა?

– ვფიქრობ, ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია. მე მაინც იმას ვამჩნევ ხოლმე ტექსტებში, რაც ტექსტს აკლია. მაგალითად, რაც არ უნდა კარგი იდეა იყოს, თუ ცუდადაა მოყოლილი, ამას ვამჩნევ და არ მომწონს. ან რაც არ უნდა კარგი იდეა წერდეს მწერალი, თუ საინტერესო იდეა არ აქვს, მისი ენა, უბრალოდ, სიტყვების მოწესრიგებული ერთობლიობაა და მეტი არაფერი.

– თქვენს მოთხრობაში, რომლის სათაურია „მიიტაცია“, ჩანს სიტყვების გაქრობის შიში. ავტორს სიტყვები გაუბრუნდა და ის ვეღარ წერს, შიში იყვრება, გრძობს, რომ წყდება კავშირი რაღაც მთავართან. წერისას მართლაც არსებობს განცდა, რომ შეიძლება გათავდეს „სიტყვის მადანი“?

– როცა ეს მოთხრობა დავეწერე, ალბათ ასეც ვფიქრობდი, მეშინოდა იმის, რომ ოდესღაც ყველაფერი სრულდება და არაა გამორიცხული, მწერლობის შემთხვევაშიც იგივე მოხდეს. ამ მოთხრობით უფრო იმის ჩვენება მინდოდა, სადამდე შეიძლება მიყვანოს ადამიანი იდენტობის დაკარგვის შიშმა და რეალურად რა განსაზღვრავს ადამიანის იდენტობას. თუ ეს ისაა, რისი კეთებაც ადამიანს ყველაზე კარგად გამოსდის და თან სიამოვნებს, მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ერთ დღეს ასეთი რაღაც ჩვენი ცხოვრებიდან გაქრება? იქნებ ადამიანი იმაზე მეტია, ვიდრე ის საქმე, რასაც აკეთებს? ისე, რაღაც მხრივ, კარგიც კი შეიძლება იყოს, თუ გამოუდგებიტ გემახსოვრება, რომ რაღაცას სამუდამოდ ვერ შეინარჩუნებ. მაგალითად, თუ წერისას იფიქრებ, რომ ეს შეიძლება შენი უკანასკნელი ტექსტი იყოს, შეიძლება იმაზე უკეთესი ტექსტი შექმნა, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ იმედოვნებ, რომ რასაც ახლა ვერ შეძლებ, მომავალში გამოასწორებ. მოსალოდნელია და გარდაუვალი დასასრულის განცდა ზოგჯერ სწორედ იმაში გვეხმარება, რომ ბოლომდე დავინარჯოთ, ბოლომდე გულწრფელები ან გაბედულები ვიყოთ.

– ის კი არა, სასვენი ნიშნებიც გარბიან ნიგნებიდან („სასვენი ნიშნების გამტაცებელი“). მაინც რატომ? რა მიზეზით გარბიან?

– მე მომწონს ისეთი რაღაცებზე წერა, რაზეც მანამდე არავის უფიქრია, რისი მნიშვნელობაც მსხვილმანი ცხოვრების ჩრდილშია მოქცეული, მაგრამ საკმარისია, ერთი „რა იქნებოდა, რომ“ და ყველაფერი თავდაყირა დგება. მწერლისთვის ალბათ ყველაზე კარგი სავარჯიშო ესაა – „რა იქნებოდა, რომ“ ფრაზის გაგრძელების მცდელობები.

ამ მოთხრობის შემთხვევაშიც ასე ვფიქრობდი. რა თქმა უნდა, ჩემმა პროფესიულმა არჩევანმა განაპირობა, რომ სასვენი ნიშნების გაქრობაზე დავწერე და არა, მაგალითად, სამშენებლო იარაღების. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ეს იქნებოდა ურიგო თემა. ☺

– თქვენს მოთხრობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიზმარს (მაგალითად, „წვიმის ნისქილები“). მხატვრული თვალსაზრისით, რაში გეხმარებათ სიზმრის ესთეტიკა?

– არა მარტო მოთხრობებში, ჩემი რომანის მთავარი სიუჟეტური ხაზი სწორედ სიზმრებზე გადის და ერთ-ერთი, რამაც რომანის დაწერისკენ მიბიძგა, სწორედ სიზმრის ესთეტიკით დაინტერესება იყო. ერთია, რომ მაინტერესებს სიზმარი, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი და მეორე – სიზმარი, როგორც ნაწარმოების კომპოზიციური ერთეული, რომელიც შეიძლება ტექსტის მხატვრულობის ერთ-ერთი ორიენტორი იყოს.

სიზმრებთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილებაც საკრალურია ჩემთვის. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი გამუდმებით რაღაც სიმბოლოებს და მეტაფორებს ვეძებ და სიზმრები ყველაზე კარგი ადგილია იმისთვის, რომ რაღაცების ამოხსნა გონების იმ ნაწილს მივანდო, რომელიც სიზმრის ხილვის პროცესში პასუხი იყო. შეიძლება ეს არასწორიცაა. ბოლოს და ბოლოს, ცნობიერი რატომ უნდა იყოს პასუხისმგებელი არაცნობიერის ინიტებზე? მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში

მჯერა, რომ ცნობიერის ბოლომდე დაძინება შეუძლებელია და სიზმრების ახსნას მხოლოდ ის შეძლებს, ვისაც ყველაფრის საკუთარ თავზე ასაღებად გამბედაობა ეყოფა.

– მოთხრობაში „უსათაურო დეტექტივი ანუ არავითარი მინიშნებები წინასწარ“ პარადოქსალური გადაწყვეტას მიმართავთ: აქ ყველა მკვლელობა და არავინ არის მკვლეელი. ნუთუ ეს ჩვენი, თანამედროვე საზოგადოების, კოლექტიური არაცნობიერის ანარეკლია?

– სიმართლე გითხრათ, წერის დროს ამაზე ასე არ მიფიქრია. ერთ-ერთი მთავარი, რაც ამ დეტექტივზე მუშაობისას მქონდა მიზნად დასახული, მოულოდნელობის ეფექტის მიღწევა იყო. პირველ ყოვლისა, მინდოდა საკუთარი თავი გამოცდებინა. თუ მეც კი, ვინც ჩემს პერსონაჟებს, წესით, ყველაზე კარგად უნდა ვიცნობდე და მათი ქმედებების პროგნოზირება შემიძლოს, გამაკვირვებდა მათი საქციელი, ჩავთვლიდი, რომ მიზანს მივალნივ. ხანდახან მკითხველისთვის პერსონაჟის როლი იმის გარანტია ხდება, რომ ეს პერსონაჟი ისეთს არაფერს გააკეთებს, რაც მის როლს ეწინააღმდეგება. მე კი ზუსტად ისეთი პერსონაჟის/პერსონაჟების შექმნა მინდოდა, რომლებიც თავიანთი მკვეთრად გამოხატული ფუნქციის წინააღმდეგ წავიდოდნენ. ეს თუ ბოლომდე არ გამოვივიდა, ყოველ შემთხვევაში, დეტექტივის ფინალით მკითხველი მშვიდად მაინც არ დაეტოვებ. რა უნდა იყოს იმაზე კარგი, როცა შენი მოგონილი ამბის გაგრძელება მერე მკითხველის გონებაში იწერება?!

– როგორ ფიქრობთ, პარადოქსალური თქვენი შემოქმედებით ხასიათია?

– ასეც შეიძლება ითქვას, თუმცა ერთადერთი მიმართულება არ არის. უბრალოდ, როგორც ზემოთაც ვახსენე, ჩვევად მაქვს შესაძლებელი შეუძლებლობებსა თუ შეუძლებელ შესაძლებლობებზე ფიქრი. მწერლობა ხომ ზუსტად ეს არის – საზღვრებს მიღმა გასვლა, საკუთარი შემოქმედებით უნარებისთვის თავისუფლების მინიჭება. ამან ხანდახან შეიძლება პარადოქსულად მხოლოდ იმ გადმოსახედიდან გამოიყურება, როგორ აზროვნებასაც მიჩვეულები ვართ. როგორც კი თავს დააჯერებ, რომ ამბავს, მოვლენას, ადამიანს ხედვის სხვა კუთხეც აქვს და ასეთი კუთხე შეიძლება უამრავი იყოს, იდეის უჩვეულობა ამ იდეის განხორციელებაში ხელს აღარ შეგიშლის.

– დეტექტივის ჟანრში ვის მიიჩნევთ მასწავლებლად, ვისი სტილი და მეთოდი გიზიდავთ?

– მართალია, რამდენიმე დეტექტივი დაწერე და დეტექტივის ელემენტებსაც ჩემს ტექსტებში, ასე თუ ისე, ხშირად ვიყენებ, ეს ჩემი საყვარელი ჟანრი არაა. მიუხედავად ამისა, ცხადია, კლასიკურ დეტექტივებსა და დეტექტივების ავტორებსაც ვიცნობ. ისე, მთავარი, რის გამოც ამ ჟანრით დაინტერესდი, ის იყო, რომ ჩემს დას კითხვა სწორედ დეტექტივებმა შეაყვარა. პირველი დეტექტივიც მისი თხოვნით დავწერე, ამიტომ ამ კითხვის პასუხადაც მის საყვარელ ავტორებს დავასახელებ – აგათა კრისტა და ართურ კონან დოილი. ჩემი მხრივ, ედგარ პოსაც დავამატებდი.

– ლექსებს აღარ წერო?

– ბავშვობის მერე პერიოდულად დაბრუნებებარ პოეზიას, მაგრამ ჩემი მთავარი მიმართულება მაინც პროზაა.

– უკვე რომანის ავტორიც ხართ. რა მოცდათ „მანიტუ“?

– „მანიტუ“ საკუთარი თავისთვის რაღაცის დამტკიცების მცდელობა იყო, რამაც რაღაცების გადაფასების, გარკვეული ჩარჩოებიდან გამოსვლის შესაძლებლობა მომცა. ამ რომანმა პიროვნულად უფრო გადამარჩინა, ვიდრე ლიტერატურულად, რადგან იმ მომენტში, როცა ვწერდი, მჯეროდა, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს ვაკეთებდი, რაღაც ისეთის ერთგული ვიყავი, რასაც ჩემთვის არასდროს უღალატია. დღემდე მგონია, რომ თუ წერის მომენტში მაინც გჯერა საკუთარი განუსაზღვრელი შესაძლებლობების, ეს უდიდესი გამარჯვებაა.

ესაუბრა

ივანე ამირხანაშვილი

ლირიკოსის სვედრი

არსებობს გარემო, სადაც აუცილებლობით იბადება პოეზია. ეს პოეტური აუცილებლობა არა მხოლოდ ბუნების მშვენიერებით არის გამოწვეული, არამედ ამ ბუნების სტიქიასთან ბრძოლათაც. ამგვარ გარემოში მყოფი ადამიანები თითქოს იმ თვისებებს იძენენ, რომელსაც უმკაცრესი ვითარება კარნახობს. ეს გარემოა მთა, შატილი, სადაც, როგორც გურამ რჩეულიშვილი ამბობს, „პოეზია განუკითხავად ბატონობს პროზაზე“.

რა წარმოშობს ამ პოეზიას? მძაფრი ვნებები და ზღვრული უკიდურესობები, მიჯაჭვულობა საარსებო გარემოზე და, ამავ დროს, თავისუფლების დიდი წყურვილი. ასეთ ვითარებაში ადამიანს არ შეუძლია არ ჰქონდეს თავისი გულისნადების გამხელის თუ ამოთქმის სურვილი. აქ იბადება ეპიკა და ლირიკა. მაგრამ რატომ „განუკითხავად“ და არა კანონზომიერად იქნებ ეს განუკითხავად კანონზომიერებიდან იღებს დასაბამს და ამიტომაც შემთხვევითობა კი არ არის, არამედ აუცილებლობა? იქნებ პოეზია ყოველთვის განუკითხავად იბადება ისევე, როგორც მდინარე იბადება მთებში? პოეზიის დაბადების წინაპირობა ყოველთვის ფარული აუცილებლობაა და არა ბრმა შემთხვევითობა. იქნებ ადამიანი მთელი თავისი არსებით ემსგავსება იმ ლანდშაფტს, რომელთან ბრძოლასაც ის თავის შეგნებულ ცხოვრებას ანდომებს. ეს ბრძოლა უფრო ეპიკას წარმოშობს, მაგრამ იქვე, ეპიკასთან ერთად იჩენს თავს ლირიკაც.

„აქ პოეზია განუკითხავად ბატონობს პროზაზე“, პოეზია „თავის ულოგიკო ვნებებითა და გამოხატვის შეუდარებელი დრამატული სიმშვენიერით“. ამ გარემოში თავისებური სოციალური წყობა წარმოიქმნება, რომლის უპირველესი გამოხატულება უაღრესად პროზაულია: საქონლის გატაცება, სისხლის აღება, შუღლი, მერე დამოყვრება, კვლავ ომი, გატაცება და ალებ-მიცემობა. და მინც: „აქ პოეზია განუკითხავად ბატონობს პროზაზე“. და კიდევ: „ახლაც კი ნახევრად-დანგრეული შატილის მნახველს ეგონება, რომ ბერძენთა ღმერთებმა ოლიმპოს მიტოვების შემდეგ აქ გადმოინაცვლეს, ამ პოლისში, რომელიც არავის სჭირდებოდა და არასდროს თვითონ არ მოაგონებდა თავს სამყაროს“.

ეს უკვე მწერლის აზრია, ის წერს მოთხრობას ლოკალურ გარემოზე, პოლისზე, რომლის შიგნითაც საყოფაცხოვრებო ნიშნით და ცხოვრების წესით გაერთიანებული, ერთმანეთის მსგავსი ადამიანები ცხოვრობენ. ეს ადამიანები მისდევენ ოდითგანვე ნაანდერძვე ტრადიციებს, ასრულებენ რიტუალებს, ერთგულად იცავენ პატრიარქალურ წეს-კანონებს.

შატილში ეპიკა ბატონობს, ბათარეკა ჭინჭარაული ეპიკოსია და არა ლირიკოსია. ეპიკა არის შრომის ჰიმნი, გმირობის ჰიმნი, სახობტო და სადღესასწაულო პოეზია, რომელიც ბუნებასთან ბრძოლის პირმშოა. ეპიკა „ნაჭედი ხევისურული ლექსია“, ის ავს და კარგს განარჩევს, თხზავს ომების, ზვარაკის შეწირვის, მუდმივი შუღლის და დამოყვრების ვრცელ და ზოგჯერ დაუსრულებელ ისტორიას, სიტყვაკაზმულ ლეგენდას. ეპიკური მძლავრი დინება თავის სიახლოვეს, ან იქნებ თავის წიაღში სხვის არქეტაპულ პოეტურ აზროვნებას წარმოშობს. ეს არის ლირიკა. აპოლონური სანყისი თავის წიაღში ბადებს მელოსურ სანყისს – ლირიკულ ოაზისს. ლირიკა ფაქიზია, წინასწარგანუჭვრეტელია, მყიფეა და იოლად მონყვლადი, მისი ძალმოსილება სინაზეს ამყვანებს, სინაზეს და უკიდურეს მგრძნობიარობას. წინასწარვე ვიტყვი, ეპიკოსია ბათარეკა, ლირიკოსი კი მისი ქალიშვილი – მზია. მათ შორის ფარული კავშირი არსებობს.

შატილიონები ზაფხულში აგვარებენ თავიანთ საქმეებს, ზამთარში კი, როცა დიდთოვლობის გამო კოშკებში გამოკეტილებს უსაქმობისგან ქანცი ელევით, არაყს ხდინან და ღრეობენ. და აი, აქ სრულდება მითხრობის დოკუმენტურ-ეთნოგრაფიული ექსპოზიცია და იწყება სხვა პროზა, სადაც პიროვნება შემოდის ავანსცენაზე. ეს პიროვნება ბათარეკა ჭინჭარაული. ამ

პერსონაჟის შემოსვლა ნათელყოფს მწერლის ნათქვამს: „აქ პოეზია განუკითხავად ბატონობს პროზაზე“. ასევე, აქვე შევიტყობთ, თუ რატომ გადმოინაცვლეს ოლიმპოს მიტოვების შემდეგ ღმერთებმა შატილში. ეს უკვე პიროვნებისეული შტრიხია და არა ბუნებისეული. პიროვნება სძენს აზრს ბუნებისეულ გარემოს.

ბათარეკა ჭინჭარაული განსხვავდება დანარჩენი შატილიონებისგან, ის ინდივიდია, გამოკვეთილი ინდივიდი, ყველასგან განსხვავდება, მაგრამ ნაწილობრივ. ის სანახევროდ მინც ამ სოციალურ მუდმივი წევრია. ისიც იტანჯება ზამთარში უმოქმედობისგან, ისიც იცვება ერთი დიდი სურვილით – გადმოინათხიოს დაგროვილი ენერჯია: იომოს, იმრომოს, დახარჯოს თავისი მოუთოკავი ვნებები. ბათარეკა ორსახოვანია: ერთი მხრივ, შატილიონთა თემის თვისტომია და მეორე მხრივ, მათთან მოჯანყე ინდივიდი. ამიტომაც კარგავს უმოქმედობისგან ზამ-

ვირვებელი კოშკის ვინრო სარკმლიდან. მზია სულით არისტოკრატია მთის კულტურის ოაზისში. მას არ ეხება მთის ყოფა, მთის საყოფაცხოვრებო დაუნერვლი კანონები, ის ასოციალურია, ლირიკოსია, მარტოსული. მისი პოეზია არ არის „ნაჭედი ხევისურული ლექსი“, რომელსაც მკაცრი არქიტექტონიკა, წესრიგი, აზრისმიერობა და, მაშასადამე, აპოლონური სანყისი ახასიათებს; მზია ლირიკაა, მელოსური, მუსიკალური ჰანგების ობერტონებით განწყობილი, მოუნესრიგებელი ობერტონებით, ის იმთავითვე დიონისურია.

შეუძლებელია, შატილში არ დაბადებულყოფი ლირიკოსი, რადგან ლირიკა, ზოგჯერ ეპიკაში განხვავებული და ზოგჯერ სუფთა სახით არსებული, არის ყოველგვარი პოეტური სანყისის პირველსახე. მზია ნარცისია, რადგან ყოველი ლირიკოსის მსგავსად, თავისი არსების სიღრმეიდან ხედავს ქვეყნიერებას და ამავ დროს საკუთარი თავის მჭვრეტელცაა. მზია არ არის სოციალური წარმონაქმნი, ის თვით-

გურამ რჩეულიშვილის „ბათარეკა ჭინჭარაული“



თარში წინასწარობას. ის არ უერთდება შატილიონთა მიპატიჟებას ღრეობაზე, რადგან სძულს უმიზნო, უაზრო და უმოქმედო თავისებური დამოკიდებულება აქვს – კოშკის ვინრო სარკმლიდან ხედავს, როგორ ეშვებიან მინაზე ფარატინა ფიფქები. მას საკუთარი ხედვის კუთხე გააჩნია. მისი მსოფლმხედველობის არეში მოქცეული საგნები მეტაფორებად და პერსონიფიცირებულ არსებებად გვევლინებიან: „შეყვარებულია ყველაფერი მის გარშემო: სიბისგან დატყვხილი კედელი – უხმოდ, პირქუშად, გამოუმულავნებლად; დიდი ოთხკუთხედი კიდობანი – ვაჭრულად, მზაკრული იერით ქონებას ჰპირდება გოგოს და იმით იბირებს; უხმარი ხმლები იბრძვიან შეუწრებელი, ნაპერკლების ცვენით – ათას სიყვარულს ჰპირდება მათ ქალის გული“.

ასეთია რეალობა, რომელიც მზია ცხოვრობს, მხოლოდ მძელი ყოველივე ამას რეალობა უწოდო, რადგან ესა ფანტაზიის და წარმოსახვის ნაზავია, ეს მზიას სამყაროა, რომლის გარეთ გასვლა მას აღარც ძალუძს, უფრო მეტიც: მზია ლეგენდებით საზრდობს, რადგან ხელშეახები საგნობრივი გარემოცვა ევინროება. მზია მითში ცხოვრობს, რადგან მისი თავდაპირველი ბუნება არქეტაპულია, ლირიკულია და მელოსური. ის ემიჯნება ეპიკას და ლეგენდის სამოსელში ეხვევა.

ლეგენდა კი ასეთია: ჯიხვებზე მონადირე ჭაბუკმა ოჩოპინტრე გაანწყენა, დაისაჯა და ნადირობა აეკრძალა. მინც დადის ბოქბის ჭაბუკი ნადირს. სადღაც ჭიუხის ზოლოს მოჭრავს თვალს, ქედლიდან ქედზე გადადის „ღამით, დღისით, თოვლში, მზეში, წვიმაში, მენში დადის და ეძებს. ჩამოხმა ვაჟი, გაუტყდა სხეული, მთელი დღეები ლოცულობს, რომ შეუნდონ“. მისი ნატყორცი იხარი ყოველთვის სცდება სამიზნეს.

და მართლაც, შეუნდობს ოჩოპინტრე, მოუვლენს ნადირს, მაგრამ ერთი პირობით: ჭაბუკმა ხარირემი არ უნდა მოკლას, თორემ ისევ დაისჯება და უფრო მკაცრადაც, ვიდრე აქამდე დაისაჯა. ნადირობს მონადირე, ულვეი ნადირი უგროვდება, ერთი წამითაც არ ავიწყდება, რომ არ უნდა მოკლას ხარირემი, მაგრამ მოსახდენი მოხდა: ვნებამ სძლია, ქედზე შემდგარს ხარირემის სიმშვენიერე გონება დაუბნელა, მშვილდ-ისრის მოზიდვისას მოხრილი მკლავი გაუშეშდა, „აეყარა ძარღვები წყრთასა და მხარს შუა, არფის სიმეზივით გაება და დაეჭიმა, ტანი ცხენს შეეზარდა, რომ არ შენელებულიყო მისი ჭენება ნადირის საძებნელად და მეტი სიმუნხარე მიეყენებინა ნადირობის უნარს მოკლებულისათვის; მხოლოდ საისრე მარჯვენა ხელი დარჩა თავის ნებაზე მოძრავი; ჩამოჭრავდა იმ ხელს სიმებად ქვეულ ძარღვებს და მღეროდა, რადგან არაფერი შეეძლო ნადირობისა და იმ ვნების გამოხატვის გარდა, რომელსაც მასზე მოგონებით სიმებს ათქმევინებდა“.

რატომ საზრდობს მზია ამ ლეგენდით, რატომ არ ასვენებს ცხადშიც და სიზმარშიც ეს ლეგენდა?

იმიტომ, რომ სამყაროს მშვენიერება რთულია, ის მაცდურიცაა, ვინაიდან მსხვერპლს მოითხოვს, იმიტომ, რომ ლირიკა დაუცველია და მზია მთელი არსებით გრძნობს გარედან მოსულ საფრთხეს, იმიტომ, რომ მზია ბოლომდე მართალია საკუთარ თავთან და იმასაც გრძნობს, რომ მისი სიმართლე სხვისთვის გაუგებარი დარჩება. მზია გრძნობს, რომ ის სამყარო, რომელიც ბუნების ვინრო სარკმლიდან დანახულმა მშვენიერებამ და გარემომცველმა საგნებმა შთააგონეს, მხოლოდ მისი კუთვნილებაა, მისი შინაგანი ქვეყნიერების გაგრძელებაა. ის წინასწარგანუჭვრეტელია, ინტუიტიურია, თანმობილია და შეიძლება ხელის ერთი უხეში შეხებით გაქრეს. ყოველივე ამას ქვეშეცნულად გრძნობს მზია და შეიძლება მას ყველაზე მეტად ამ ლეგენდის ფინალი იზიდავს: მონადირე დაისაჯა, მაგრამ დასჯილსაც შერჩა ვნებების გამოხატვის უნარი. ის უვნებლად გადარჩენილი მარჯვენათი ჩამოჭრავს სიმებადქვეულ თავის ძარღვებს და მღერის სამყაროს მშვენიერებაზე. მზიასაც არ ეთობა ქვეყნიერება, რომელსაც ბოლომდე შეერწყა. მას სურს უჭვრეტდეს ამ ქვეყნიერებას და საკუთარ თავში მღეროდეს ამავ ქვეყნიერებაზე.

და ისევ დიალოგი, ისევ ბათარეკას და მზიას საბედისწერო შეყრა, რითაც მთავრდება ეს ლირიკულ პოეზიაზე დაწერილი მოთხრობა. კოშკში მონრიალე ბათარეკა მზიას გადაწყდება. შეხვედრისთანავე იფეთქებს ორივე მათგანში მჭიდრო სულიერი ნათესაობა. მხოლოდ მზია არ მალავს ამ სულიერ კავშირს, ქუთუთოები გაუბრწყინდება მამის დანახვისას, ბათარეკას კი ეთაკილება გრძნობების გამყვანება და ცდილობს უხეში სიტყვით და მოქმედებით ჩაახშოს საკუთარ თავში მონოლილი სინაზე, ეპიკა ებრძვის ლირიკას. ბათარეკა აენთება, გამძვინვარდება, უმაქნისად შერაცხავს ქალიშვილს, იმნამდე გაცივობიერებს თავის უსამართლო საყვედურს და აგზნებული სილას გაანნავს მზიას. ამ ფინალურ პასაჟს ანტიკური დრამის მხატვრული პლასტიკა და გამომსახველობა ანიჭებს აზრს. ბოლო აკორდი კი მართლაც შთამბეჭდავია თავისი „დრამატული სიმშვენიერით“: „ვითონ ველარ გაბტედა კაცმა ზევით ასვლა და მეორე დღეს, სადილობისას, ავადმყოფი დედა აუგზავნა საქმლით შვილს. ჭერხოს შუაში გამქრალი შუაეცხლის ჯაჭვზე ჩამოეხრჩო მზია ბათარეკას ასულს თავი“.

....

ასეთია ლირიკული პოეზიის მუზა – შატილის ოლიმპოზე გაჩენილი მზია – ევეტრპე-ბუნებისა და გარემომცველი საგნების იდუმალი მუსიკის შემსმენელი, „უმაქნისი“, ისევ და ისევ წინასწარგანუჭვრეტელი, მარადიულობაში წამიერების დამჭერი, არა ყოფითი ქრონიკების მთხველი, არამედ გამოუთქმელის საკუთარ თავში გამოთქმელი. არავინ იცის, ის საიდან იბადება, ანდა რატომ ქრება ასე იოლად, ქრება, მაგრამ ძალიან ძლიერ, კაშკაშა ნათებას ტოვებს. ამ კაშკაშა ნათებას და ენითაუწერელ სილამაზეს იხელთებს თავის ნოველაში გურამ რჩეულიშვილი.

ანდრო ბუაჩიძე

ეს წერილი გასული წლის მაისში დაიწერა, ტელეარხ „მთავარი“ ერთ-ერთი გადაცემის დამთავრებისთანავე, ანუ წელიწადზე მეტი ხნის წინ. მაშინვე მისი დაბეჭდვა მეუხერხულა იმ მიზეზისა გამო, რომ ამ წერილის მთავარი ადრესატი ნიკა გვარამია უსაფუძვლოდ იყო დაპატიმრებული. მისი გათავისუფლების შემდეგაც დიდხანს ვიფიქრე, ღირდა თუ არა ამ წერილის გამოქვეყნება და მივედი იმ დასკვნამდე, რომ უნდა დაიბეჭდოს, რადგან ჩვენი ყველაზე დიდი საუნჯესადმი, რაც კი საუნჯე გაგვარჩნია – „ვეფხისტყაოსნისადმი“, რბილად რომ ვთქვათ, უდიერო დამოკიდებულება, ჩვენი დროში, ლამისაა საზღვარსაც კი გასცდეს... „ჩვენ, ქართველებს, სამართლიანად მოგვაცქეს თავი მით, რომ ეს დიდებული პოემა, შექმნილი ჩვენის ერის დიდებულობის დროსა, ჩვენი კაცისაგან და ჩვენი ენაზე დაწერილია. ყველამ იცის, რომ ამით ჩვენ თავს ვინაობთ, ვსახელობთ, ვქადულობთ, ხოლო ყველამ, ნამეტნავად ჩვენის ენის უცოდინარმა, არ იცის – რა გვაძლევს უტყუარ საბუთს ამ თავმოწონებისას, სახელისას, ქადლობისას.“ – ეს ნაწყვეტი გახლავთ ილია ჭავჭავაძის წერილიდან „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“.

დიახ, როდესაც დიდმა ილია ჭავჭავაძემ თავისი თანამებრძოლის, აკაკი წერეთლის იმ აზრებსაც კი ყური ვერ მოუყრუა, ჩვენი უდიდესი საუნჯესადმი რომ წარმოსთქვა აკაკიმ, ანუ „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიუღებელ აზრებს, მით უფრო ჩვენს დროში, როდესაც ეს ვითომდა აზრები, საზღვარსაც კი გასცდა „ვეფხისტყაოსანზე“ უხამსობების წერა თუ საუბარი, ასეთ შემთხვევაში, გაჩემება, ვგონებ, დანაშაულია.

არადა, ამ ცხრა საუკუნის წინათ, როგორც კი ეს სწორუპოვარი პოემა დაიწერა, იგი გახდა ქართველი კაცის სიმაღლისა თუ თავმოწონების საგანი, რომელიც უნდა გადაგვეწერა და სამარადისო განძად და ტკობის საგნად გქონოდა შენთვის, დამტკბარიყავი მისი გმირების ვაჟკაცობით, გმირობით, ურთიერთგატანითა და ერთგულებით, ერთმანეთისადმი თანადგომით. ამ პოემის ქალების მშვენიერებითა და სინატიფე-სინაზით და, რაც მთავარია, სიყვარულითა და ისევ და ისევ, – ერთგულებით.

არადა, მოგვხსენებთ, ეს მარადიული ნიგნი მაშინ დაიწერა, როდესაც წერა-კითხვის მცოდნე იშვიათი იყო საქართველოში. შეძლებული ქართული არისტოკრატია ზრუნავდა მის გადაწერაზე, თუმცა ათასში ერთს თუ მიუწვდებოდა ხელი გადწერაზეც, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერის კარგი კალიგრაფიაც უნდა ჰქონოდა. გადაწერილი ამ უკვდავი ნიგნის გვერდებს ნახატებითაც ამკობდა. საუკუნეების განმავლობაში გაჩნდა უამრავი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“. ადამიანები ბედნიერები იყვნენ პოემის კითხვით, წარმოიდგინეთ, ქართველი კაცი, ქალიშვილს რომ ათხოვებდა, მზითვემი ატანდა „ვეფხისტყაოსანს“.

ტელეარხ „მთავარზე“ ყოველ შაბათს, თორმეტსაათიანი „მოამბის“ შემდეგ, სამი ლიტერატორი საუბრობს ახალგამოცემულ ნიგნებსა თუ ჩვენი ყოველდღიურობის მნიშვნელოვან მოვლენებზე. და აი, ერთ-ერთი ასეთი გადაცემის მსვლელობისას, სამთა საუბარს,

როგორც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფის საჩხირ-კედლო საქმეზე ჩამოახდინოს, ეს მეტისმეტი დაქვეითება პეგასზედ მჯდომ ცხენოსნისა“.

როგორ უკითხოვთ „ვეფხისტყაოსანს“ დღეს, როგორ გვესმის იგი?

ამის შემდეგ, ილია, რუსთაველის გმირების – ქალებისა თუ მამაკაცების ტიპებს გამოწველივით მიმოიხილავს, გაოცებულია ამ გმირების სიდიადით და ამბობს, თუ აკაკის მოუღმენთ, „რუსთაველი დიდად სადიდებელი პოეტი კი არ არის, არამედ უბრალო ეთნოგრაფია, ან ამის მსგავსი ერთი ჩურჩუქი რამ არამკითხე მოამბე“.

პარალელურად, ილია, მსოფლიო გენიოსების ნაწარებიდანაც, საოცარი ფსიქოლოგიური მომენტების მაგალითების მოყვანის მერე, კიდევ ერთხელ შეაგონებს აკაკის: „რუსთაველის ტიპებს იმ პანია ჯუჯურუტანიდამ სინჯავა კი არ უნდა... არამედ იმ უშველებელი სარკმლიდამ, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაეხედოდა მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“.

ლამის სამი ათეული წელია, არ ვიცი, უცოდინარობითა თუ მიოლი შეგნება-შეუგნებლობით, რუსთაველის ამა თუ იმ გმირთა დამცრობა იქცა ზოგიერთის გართობის საგნად, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ურთიერთობის არასწორად გარკვევა, მათთვის აგრერიგად „მნიშვნელოვანი“ – ფიზიკური ურთიერთობა (მათებურად სექსი) მოექცა მათი ყურადღების ცენტრში.

ამ ამბით ვინც ადრე დაიწყეს, იმ წერილფეხობის გვარებს არ დავასახელებ, თუნდაც იმიტომ, ვინ იცის, იქნებ სულაც თავიანთი არსების წარმოჩენის მიზნით შეუდგნენ იმ უმსგავსო საქმიანობას, რაც მათი უბადრუკი კალმის ნაცოდეღილარს მოჰყვა, ანუ როგორც შეროსტრატეს ჩანაფიქრსა და არტემიდეს ტაძრის დანვას... იმ კაცის მსველობაზე გესაუბრებით, რომელმაც გამაოცა, გამაბრაზა და გულწრფელად გეტყვით, მისგან, ჩვენი სწორუპოვარი პოემის დამცრობას არ მოველოდი. დღემდე გაოცებული და გაბრაზებულიც ვარ იმის გამო, რომ თუ ნიგნი არ ნაგვიკითხავს, რა გრჯის, მასზე ისაუბრო. თანაც, „ვეფხისტყაოსანს“ ერთი-ორი ნაკითხვა როდი ჰყოფნის, ან მისი რამდენიმე ადგილის საზეპიროების ცოდნა, მისი გაგებისათვის.

ტელეარხ „მთავარზე“ ყოველ შაბათს, თორმეტსაათიანი „მოამბის“ შემდეგ, სამი ლიტერატორი საუბრობს ახალგამოცემულ ნიგნებსა თუ ჩვენი ყოველდღიურობის მნიშვნელოვან მოვლენებზე. და აი, ერთ-ერთი ასეთი გადაცემის მსვლელობისას, სამთა საუბარს,

მოულოდნელად შეუერთდა ამ არხის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია. ეტყობოდა, მაშინ ეს გადაცემა გამოერება იყო, თორემ, როცა ნიკა გვარამია გადაცემაში შემოვიდა, იგი უკვე უკანონოდ იყო დაპატიმრებული. ნიკა გვარამიამ „ვეფხისტყაოსანზე“ საუბრის სურვილი გამოთქვა. მის მიერ ითქვა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ განუმეორებელი და სწორუპოვარი პოემაა, რაც ყველა ქართველს მოეხსენება. შემდეგ,

ამ ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტებების შემდეგ, ნიკა გვარამიამ ბრძანა, რომ ტარიელსა და ნესტანს სექსი ჰქონდათ, სექსი ჰქონდათ ასმათსა და ტარიელსაცო. ტანში გამცრა, რას ამბობს-მეთქი ეს კაცი. ამის დამდასტურებელი სტრიქონს პოემაში ვერ იპოვით და, როგორ შეიძლება ითქვას ის, რაც რუსთაველს არ უწერია?

სხვათა შორის, ის წერილფეხობა, რომელთა შესახებ ზემოთ ვსაუბრობდი, აკი სულ ასმათისა და ტარიელის ხორციელ სიახლოვეზე (მათებურად სექსზე), წერენ და ნიკა გვარამიას მიერ ამის გამეორებამ, შემადრწუნა.

ამასთან დაკავშირებით, აი, რა მახსენდება: ცნობილ ფილოსოფოსს, რუსთაველის პოემის რუსულ ენაზე მთარგმნელს, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს, ერთმა უცხოელმა რუსთაველოლოგმა ჰკითხა: ბატონო შალვა, იმდენი წელი ტარიელი და ასმათი ქვაბში ერთად რომ ცხოვრობდნენ, ნუთუ მათ შორის ფიზიკური ურთიერთობა არ ყოფილა? აი, რა უპასუხა აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ: ეს კითხვა მხოლოდ არა-ქართველს თუ დაეხადებათ. რატომ ებადებათ ეს კითხვა დღევანდელ ქართველებს, ნუთუ რაღაც არა-ქართული ჩასახლდა ჩვენს სულში? ამ ყველაფრის მოსმენა ხომ ძალიან სამწუხარო იყო და სანწყენი და, მე იმანაც გამაოცა, რომ იმ ლიტერატორებმა, რომელნიც ახალგამოცემულ ნიგნებს მიმოიხილავენ, არაფერი უთხრეს ნიკა გვარამიას, მით უმეტეს, რომ ლაშა ბუღაძესა თუ ტორესა მოსს არ შეიძლებოდა ყურში არ მოჰხვედროდათ ეს არასწორი შეფხებანი ნიკა გვარამიასი.

ნიკა გვარამიამ ისიც ბრძანა, ტარიელში არის ფემინისტური, რადგან სატრფოს დაკარგვის შემდეგ, ხშირად ცრემლებად იღვრება ან დაბნედილიაო. აი, ამ ფაქტს რა ახსნა აქვს ლიტერატურაში: „რუსთაველური მიჯნურობის მთავარი ატრიბუტია ცრემლი. მიჯნურობა ცრემლის გარეშე არ არის ჭეშმარიტი მიჯნურობა. აღმოსავლეთის მამათა მოძღვრებაში ცრემლი სულიწმინდის მადლია. აგრეთვე იგი არის უდიდესი ფაქტორი სულიერი კათარზისისა... მიჯნურობას თან ახლავს ცრემლი, როგორც განუყოფელი ატრიბუტი“ (ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, გამ. „მეცნიერება“, 1991 წ., გვ. 119-120). ასე რომ, რუსთაველის პოემის გმირებისა თუ, საერთოდ, მისი გაგებისათვის ბევრი რამ არის საჭირო, თუნდაც, ცხრა საუკუნის წინანდელი ადამიანის ფსიქიკისა თუ ხასიათის მცირედი ცოდნა მაინც.

ახლა გაეჩხრიკოთ სტრიქონები, რომლებიც ტარიელისა და

ნესტანის, ტარიელისა და ასმათის ურთიერთობას გამოხატავს.

„ახლოს დამისვა (ნესტანმა ტარიელი), მალირსა, აქამდის არღირსებული“. ე. ი. მანამდე ტარიელი ნესტანის სიახლოვეს არცა მჯდარა, მით უფრო გვერდით. და, ეს იცით, როდის მოხდა? როცა ნესტანმა დაიბარა ტარიელი მისი გათხოვების თათბირის შემდეგ და ხვარაზმშას ძის მოკვლა დაავალა. ან კიდევ: „მერმე ავედექ წამოსასვლად, მან დამიწყო ქვევე წვევა“, ეს ნიშნავს იმას, რომ ისევ გვერდით დაჯდომასა მთხოვდაო. ხომ ვნახეთ, თავად ტარიელი ამბობს, რაც აქამდე არ მლირსებია, ის მალირსა, ანუ გვერდით ჯდომაო. რა ფიზიკურ ურთიერთობაზე საუბრობს ნიკა გვარამია?

ძალიან მიყვარს სახელი ასმათი. ზოგიერთი, ალბათ, არც დაფიქრებულა, რას ნიშნავს ეს მშვენიერი სახელი. „მშვენიერი, დიდებული, უბინო“, – აი, რას ნიშნავს ასმათი. პოეტი თავის გმირებს შემთხვევით არ არქმევს სახელებს. თუნდაც, სახელი ნიშნავს ამ პოემაში ყველაფერს.

„ასმათის ნახვა მეამა, ჩემგან დად სასვასისა“, „სე ქალი (ასმათი) არ დამაგდებს, არს მისთვისვე (ნესტანისათვის) ცეცხლნადები“, „დაო ასმათი“, ხშირად მიმართავს ტარიელი ასმათს. როდესაც თავის თავგადასავალს უყვება ტარიელი ავთანდილს, წინასწარ ასმათსა სთხოვს, დაო, წყალი მომიტანე და საუბრისას თუ დავბნედი, წყალი მომასხურეო.

ამგვარი რამე ბევრია ამ უწმინდეს პოემაში. რატომ უნდა მივუსადაგოთ ამ გმირებს ის, რაც არ ყოფილა, რაც რუსთაველს არ დაუწერია? რუსთაველმა რაც და როგორც დაწერა, ჩვენს ხელთ არის და, ჩვენი ფანტაზიის ნაყოფის არც მიმატება და არც გამოკლება მას არ სჭირდება. არც ეკრანიზება გამოვა ნიკა გვარამიას სურვილის მიუხედავად, ამ პოემისა, რადგან სიტყვის, ასეთი სწორუპოვარი პოემის ეკრანიზება წარმოუდგენელია. ზღაპარს დაემსგავსება.


ამას წინათ, ცნობილი რუსთაველოლოგმა მურმან თავდიშვილმა, თავისი „რუსთაველოლოგიური კრიტიკის“ ორი ტომი მიძღვნა. ცხადია, ყურადღებით ნავეითხე ეს ტომები. გაოცებული დავიჩიო, – მურმან თავდიშვილი ყველა მკვლევარზე საუბრობს, ვინც კი ჩვენს უდიდეს ამ პოემას შეხვდა. ცნობილთაგან, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთს, პოემა ნესიურად არც კი ჰქონია ნაკითხული. ცხადია, მურმან თავდიშვილი პირუთენელად ამხელს მათ.

ფიქრობ, „ვეფხისტყაოსანი“ უნდა ვიკითხოთ ჩვენივე გამდიდრებისათვის, ჩვენივე ამაღლები-სათვის და არა იმიტომ, რომ ჩვენი აზრებით „გავამდიდროთ“ იგი. იგი თვითონ არის ისეთი მდიდარი, რომ ჩანვდომი სჭირდება, ჩანვდომისათვის კი, ერთი-ორი ნაკითხვა ძალიან ცოტაა.

ისევ და ისევ, იმ ამბავს ვუბრუნდები, ტარიელი რომ სულ „დაოთ“ მიმართავს ასმათსა და სხვაგვარი კავშირი მათ შორის წარმოუდგენელია. ეს ხომ დღევანდელი ბიჭბუჭობის ურთიერთობა არ არის, რომ ამ უდიდეს სიმინდეს, როგორც ჩვენ მოგვესურება თუ გვესახება, ისეთი ინტერპრეტაცია მივუსადაგოთ?

და, ისევ და ისევ, დიდი ილია: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახელად მიგვარჩნია და მოგვიტყვევონ, თუ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმოთ“.

ბელა შალვაშვილი



ფართო, პრაქტიკული

ჟურნალ „კირბის“ (ოქროს სანძიმის) მე-9 ნომერიც, ტრადიციისამებრ, მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რვა რუბრიკაში წარმოდგენილია სამოც-დათხუთმეტი ავტორის ოთხმოცამდე მასალა.

ჟურნალი იხსნება ჟურნალ „კირბის“ რედაქტორის, გური ოტობაიას ინტერვიუთი „რას ღაღადებს „კირბი“ (ესაუბრა „საერთო გაზეთის“ გამომცემელი თამარ ბერძენიშვილი). „ჩვენი უმთავრესი მიზანი ახალი თაობის ჭეშმარიტი ფასეულობებით დაკვალიანებაა“. – რედაქტორის ამ სიტყვებში გამოხატულია საუბრის მთავარი მოტივი.

ხეივა კვარაცხელიას სტუმრობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან და ქართულ-იტალიური საფეხბურთო თემატიკა გიზო ზარნაძის, ირაკლი ვაშყაძისა და დავით ქობალიას ტექსტებში.

შორია ევროპიდან ევროკავშირამდე? – ანუ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს. სასურველია და რეალური თანამედროვე პოლიტიკაში.

მსოფლიო და იბერიული პოეზიის ანთოლოგიებიდან: ედგარ ალან პო, რობინსონ ჯეფერსი, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჭილაძე, ზურაბ გორგილაძე, კობა არაბული, ბალატიერ არაბული, მაცყალა გონაშვილი, ბელა ქეჭური, ლევან ფანჩიძე.

რევაზ მიშველადის ნოველა „ყაჩალი“.

თანხვედრა თუ სულიერი კავშირი? – ჟაკლინ სირაძის წერილი ჯერომ სელინჯერისა და ნოდარ დუმბაძის შემოქმედებით თავისებურებებზე.

აქვე შეგიძლიათ ნაიკითხოთ ზაალ ბოტკოველის წერილი გურამ დონა-ნაშვილზე, როსტომ ჩხეიძის რეცენზია სერგო ნურნუმიას რომანზე, ბორის დავითიას პოლემიკური სტატია ნაზი ხანიშვილისა და სხვათა საისტორიო განაზრებებზე, ეკა ცხადაძის მოსაზრებები სოსო სიგუას „კულტუროლოგიის საფუძვლებზე“, ირაკლი გაბისონის გამომხატველობა თამაზ აქუ-ბარდავას მიერ თარგმნილ ჰეგელის „სიმართლის ფილოსოფიაზე“, წერილები ვლადიმერ ალფენიძის შესახებ, როინ მეტრეველის, ნიაზ ბოლქვაძის, რამაზ გახუკიძისა და გიორგი კვესიტაძის სტატიები სხვადასხვა თემაზე.

რუბრიკით „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ ქვეყნდება ზაზა პაპუაშვილის, სოსო მანჯავიძის, ზაზა შათირიშვილის, შოთა გლურჯიძის, ედიშერ გვენეტაძის, ლალი მოროშკინას, ლევან მამალაძის, დიმიტრი ლორთქიფანიძის, თამარ ჩიბურდანიძის, რამაზ საყვარელიძის, ალი ბაბავეისა და დავით ქართველიშვილის მოსაზრებები ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე.

ნანი მოსიძე გვაცნობს თვითნასწავლი ხატმწერის, მანონი მაქაცარიას შემოქმედებას.

▶▶ ბაბრძილა. დასაწყისი "ლს.№13.14

იბერიის ისტორიული საზღვრები და მისი ფალსიფიკაციის ისტორია

უხანგი პირისაშვილი

არსებობს მთავარი კითხვა: რა საბუთები არსებობს, რომ ლბინები და ჭილები ალაზნის ზემო წელზე ცხოვრობდნენ?

ასეთი საბუთი დედამიწაზე არ არსებობს და ვერც იარსებებს, რადგან ალაზნის ზემო წელზე მათი ცხოვრების ამბავი მთლიანად გამოგონილია!

ეს ისტორია გამოიგონა აკად. ს. ერემიანმა და გაიზიარა ქართულმა ისტორიოგრაფიამ, ამიტომაც არ შეესაბამება მონაცემები ერთმანეთს.

ეს მოცემულია ს. ერემიანის 1952 წ. გამოცემულ რუკების ატლასში და მის ნაშრომებში, რომლებსაც ვეცნობი პროფ. თ. პაპუაშვილის და აკად. კ. ტრევერის წიგნებიდან.

ს. ერემიანი ღმერთით მოვევლინა იბერიის აღმოსავლეთ მინებს და დაიწყო მათი განანიჭება. კერძოდ:

ა/. ჭილები „ჩაასახლა“ თუშეთში და შესაბამისად „გააქრო“ თუშები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ უძველესი დროიდან, რაც დასტურდება პტოლემესთან.

ბ/. ლბინებს „მიუზომა“ ტერიტორია ალაზნის მარცხენა მხარეს მდინარე დურუჯიდან ფშავ-ხევსურეთამდე და იორის ზემო წელი, თიანეთიდან კავკასიონამდე. ამას დაარქვა ლბინების ქვეყანა, რომელიც თურმე ათასზე მეტი წელი არსებობდა ძვ.წ. III საუკუნიდან ახ.წ. XI საუკუნემდე, თუმცა ამ ადგილას ასეთი ქვეყნის არსებობა უძველესი დროიდან ვერც ს. ერემიანამდე არავისთვის იყო ცნობილი, მათ შორის არც პტოლემესთვის, რომელმაც კავკასიონის ქედის სამხრეთით მხოლოდ სამი ქვეყანა იცის: კოლხეთი, იბერია და ალბანეთი.

გ/. ვინაიდან „სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით ალაზნის მარცხენა მხარეს ალვანეთის [შაქის სამთავრო] ბოლო პუნქტი იყო ეხნი და ის ემთხვევა ზაქათალას, ამიტომ იქიდან მდინარე დურუჯამდე ტერიტორია რჩებოდა „გაუწანილებელი“ და ის ს. ერემიანმა „გადასცა“ უდინებს, იგივე უტიებს, რომლებიც სომხური წყაროების მიხედვით ცხოვრობდნენ მტკვრის მარჯვენა მხარეს. ამ გამოგონილი ისტორიის გასამაგრებლად განაცხადა, რომ ამ ტერიტორიაზე არსებული მაჭის საერისთაოს ერისთავი ეთნიკურად უდინი იყო, ოღონდ არ გაამხილა ეს საიდან გაიგო.

ასეთი დასკვნებით აკად. ს. ერემიანი პირდაპირ დაუპირისპირდა სომხურ წყაროებს, მაგრამ ამან დაბრკოლება ვერ შეუქმნა, რადგან ზოგს შინაარსი შეუცვალა, ხოლო ზოგი გადაკეთებულად გამოაცხადა.

ახლა მივყვით ამ მოცემულობას და ვნახოთ რა გზით ცდილობენ ლბინების და ჭილების საცხოვრებლის ალაზნის ზემო წელზე დაკანონებას.

ამ საკითხზე პროფ. თ. პაპუაშვილს თავის წიგნში მოაქვს პლინიუსის ცნობა, რომ - „ალბანეთის საზღვრებს გადაღმა, მთების მთელი წინა ნაწილი უკავიათ ველურ ტომებს სილვებს, მათ ქვემოთ კი ცხოვრობს ლბინების ტომი“ [გვ.73].

თ. პაპუაშვილი იქვე განიხილავს ამ ცნობის მიხედვით ამ საკითხზე გამოთქმულ მეცნიერების აზრებს. 1858 წ. მ. ბროსეს გამოთქვამს ვარაუდი, რომ ეს ტომები შეიძლება ცხოვრობდნენ ალაზნის ზემო წელზე და არგუმენტად მოუყვანა „ლოპოტის“ სახელი, რომელიც მისი აზრით გამოხატავს ლბინების სახელს. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით მათ უცხოვრიათ „ალბანეთში, კავკასიონის ქედის კალთებზე, იბერიის აღმოსავლეთით.“ იგივეს ამბობს პროფ. ს. იუშკოვი, რომ მათი ქვეყნები მდებარეობდნენ „მდინარე სამურის ზემო და შუა დინების ხეობაში.“ აკად. ს. ერემიანის მტკიცებით კი - „ლბინების ქვეყანა უნდა ვეძებოთ ქართლში, [იბერიაში] კავკასიონის ქედის ძირში, ალაზნის ზემო დინების აუზში, სოფლების ალვანის, არანთას და შილდას რაიონში, მარცხენა ნაპირის კახეთში“ [გვ. 74-75].

პროფ. თ. პაპუაშვილი ეთანხმება აკად. ს. ერემიანს და მასაც ლბინებისა და ჭილების ალაზნის ზემო წელზე ცხოვრების საბუთად

მოაქვს ჩელთას, ალვანის, ალონის, არანთას, შილდას, ლოფოტას, ალავერდის სახელები.

ჩემთვის გაუგებარია ალვანისა და ალონის გარდა სხვა სახელებს რა კავშირი აქვთ ალბანურ ტომებთან.

თუ სოფელ ალვანის სახელი აქ ალბანური ტომების საკუთრების საბუთია, მაშინ ასეთი ლოგიკით კასპიების ტომს იბერიის შუაგულში, ქალაქ კასპამდე უცხოვრია და აქაც ალბანეთი ყოფილა. ყირიმში არის ქალაქი არმინსკი, რომელიც ლტოლვილმა სომხებმა დააარსეს, მაგრამ არაფის მოუვა აზრად ყირიმი სომხეთად გამოაცხადოს.

კავკასიაში ხშირი იყო მიგრაცია და უამრავია ამის შედეგად შექმნილი სახელები. ზუსტად ასეთი სახელების არსებობა ამტკიცებს იმას, რომ ეს სახელები შეიქმნა უცხო გარემოში. მაგ: კახეთში სოფელს არავინ დაარქმევს კახეთის სახელს, არმენიაში არმენიას, ხოლო ალვანეთში ალვანს. ანუ, ასეთი საბუთი პირიქით იმას ამტკიცებს, რომ ეს სახელები უცხო გარემოში შეიქმნა მიგრაციის შედეგად.

დაუფერებელია, რომ საბუთი, რომლითაც სურთ დაამტკიცონ ლბინებისა და ჭილების ალაზნის ზემო წელზე ცხოვრება, არის ზუსტად ის საბუთი, რომლითაც დგინდება მათი ნამდვილი საცხოვრებელი ადგილი კასპიის ზღვის მიმდებარე.

ეს არის VII ს. შედგენილი „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ ცნობა, რომელიც ალნერს ბარდავიდან დაღესტანში მიმავალ ელჩობის მგზავრობას. მკაცრი ზამთრისა და დიდთოვლობის გამო მათ მძიმე პირობებში მოუწიათ მგზავრობა. მტკვრის გადალახვის შემდეგ, მათ გაიარეს ლბინებისა და ჭილების ქვეყნებზე და ისე მივიდნენ დარუბანდის გასასვლელთან.

ვინაიდან ლბინები და ჭილები ალაზნის ზემო წელზე „ჩაასახლეს“, ამიტომ ელჩობაც აქ უნდა გაეტარებინათ.

ვნახოთ რას წერს ამ ამბავზე პროფ. თ. პაპუაშვილი: „ლბინებისა და ჭილების საცხოვრისის განსაზღვრისათვის მეტად საინტერესოა მ. კალანკატუაყის ერთი ცნობა. ის შეეხება ალბანეთის მთავრის ელჩობას ხაზართა ხაკანთან. 684 წ. 22 დეკემბერს ელჩები ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით გავიდნენ ბარდავიდან, გადალახეს მტკვარი და გასცდნენ რა ალბანეთის საზღვარს, მეთორმეტე დღეს მიაღწიეს ლბინების ქალაქს. შემდეგ ისინი გადავიდნენ ჭილების ქვეყანაში, რომელიც მდებარეობს დიდი მთის ძირში. მ. კალანკატუაყის ამ ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ ლბინებისა და ჭილების ქვეყანა მდებარეობდა ალბანეთის საზღვრებს გარეთ, დიდი მთის (ე.ი. კავკასიონის ქედის) ძირში. ამრიგად, ჭილებისა და ლბინების საცხოვრისად უნდა მივიჩნიოთ კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთები, ალაზნის ზემო წელის მიდამოებში“ [იქვე, გვ.74].

რატომ? ძვ.წ. III – ახ.წ. IV ს.ს. ქართველებს შეერწყნენ და გაქართველდნენ და 684 წ. საიდან მოვიდნენ? თანაც თავიანთი ქვეყანა შეუქმნიათ კახეთში!!!

ახლა ვნახოთ ის, რაც დაიმალა, ანუ თ. პაპუაშვილის მოტანილი იმ ცნობის გაგრძელება, სადაც ელჩები ლბინებისა და ჭილების ქვეყნების შემდეგ [!] - „მივიდნენ მეფეთა ძველ სამყოფელში, იმ ადგილას, სადაც ენამა ალვანეთის კათალიკოსი წმ. გრიგორისი, დიდი გრიგოლის შვილიშვილი. ცოტა ხნის შემდეგ მიაღწიეს ჩორის კარსაც, რომელიც დარუბანდთან ახლოს მდებარეობს. იქ მათ მიიღეს დახმარება და ... შევიდნენ შესანიშნავ ქალაქ ვარაჩანში“ [II-39].

რატომ დაიმალა ეს ცნობა? ამ ცნობის დამალვა ამართლებს გამოტანილ დასკვნას, თითქოს ლბინები ალაზნის ზემო წელზე ცხოვრობდნენ და აკად. ს. ერემიანს, რომელმაც კახეთი ლბინეთად გამოაცხადა!

როგორც ვხედავთ, ბარდავიდან გამოსული ელჩობა ნასულა არა კახეთისკენ, არამედ დარუბანდისკენ, რაც გეოგრაფიული მოცემულობით ერთადერთი! სწორი მიმართულებაა ბარდავიდან დაღესტანში გადასასვლელად. ელჩობა ლბინებისა და ჭილების

შემდეგ მისულა არა ალაზნის ზემო წელზე, არამედ იმ ადგილას, სადაც აწამეს გრიგორისი, ანუ ვატნეას ველზე, კასპიის ზღვის სანაპიროზე!!!, იქიდან კი დარუბანდთან და ამ გზით გადასულან დაღესტანში.

მივიღეთ დასკვნა, რომ ლბინებსა და ჭილებს უცხოვრიათ დარუბანდის, ანუ, დერბენდის სამხრეთით, კასპიის ზღვის მიმდებარე!

ანუ, მართლები ყოფილან აკად. ივ. ჯავახიშვილი და პროფ. ს. იუშკოვი.

გამოვიდა, რომ ჩვენი ისტორიოგრაფია ისტორიულ საბუთებს ამახინჯებს საქართველოს წინააღმდეგ!

აკად. ს. ერემიანი ეტყობა ძალიან ცდილობდა ამ ანტიისტორიის დაკანონებას, რადგან სხვადასხვა ვერსიებს იგონებდა, რაშიც ხელს უწყობდა საბჭოთა მეცნიერება, კერძოდ:

ა/. თ. პაპუაშვილი სხვა ადგილას, კერძოდ, გზებთან დაკავშირებით, კომენტარის გარეშე, მოიყვანა ს. ერემიანის მიერ შედგენილი ელჩობის მარშრუტი: „ბარდავი-ევლახი-მინგეჩაური-ნუხა-კახი-ბოლდე-თელავი-ალავერდი-ნაფარეული-ყადორის უღელტეხილი-ანდიის ყოისუს კანიონი-ბუინაკსკი-ვარაჩანი.“ აქვეა ს. ერემიანის განმარტება, რომ „ასეთი გრძელი მარშრუტის არჩევა გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ხაზართისაკენ მიმავალი უმოკლესი გზა, დარუბანდის გავლით, ამ დროისათვის არაბების ხელში ყოფილა“ [გვ. 356-357].

ჩემი აზრით, სჯობდა, ეს პროფ. თ. პაპუაშვილს თავის ადგილზე განეხილა და არა ცნობად მოეტანა. რაც შეეხება აკად. ს. ერემიანის ვერსიას, აღვნიშნავ, რომ:

ჯერ ერთი იმ მძიმე ზამთარში ყადორის უღელტეხილზე გადასვლა ფანტასტიკაა, მეორე ის, რომ ელჩობის მგზავრობა დანერვილებით არის აღწერილი და დარუბანდი ჩაკეტილი თუ იყო, ამასაც იტყოდნენ, მესამე ის არის, რომ არაბებმა დარუბანდი დაიკავეს ამ ამბიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ, 735 წლიდან და ეს ჩემზე ადრე იცოდა აკად. ს. ერემიანმა.

ბ/. აკად. კ. ტრევერი წერს, რომ აკად. ს. ერემიანს ამ საქმეზე სხვა არგუმენტიც მოუყვანია, თითქოს ელჩების დარუბანდის გზით გასვლა ინტერპოლაციური, ანუ გვიანდელი ჩანართიაო, თუმცა საბუთი, ან არგუმენტი არ წარმოუდგენია. [1]

ეს მათიანე შექმნიდან გამოქვეყნებამდე სომხეთის ეკლესიის ხელში იყო და მის გარეშე მასში ვერაფერს შეცვლიდა, მით უფრო ქართველთა სასარგებლოდ, ვისთანაც სარწმუნოებრივი დავა ჰქონდათ და მტრად მოეკიდნენ.

მატანეში ელჩობის მგზავრობა დანერვილებით არის აღწერილი თვითმხილველის მიერ და არ არსებობს არავითარი მოტივი, საბუთი და არგუმენტი ელჩობის გავლილი გზის შეცვლის შესახებ. ეს რაში სჭირდება ელჩობის მარშრუტის გადაკეთება?

მე შორს ვარ იმ აზრისაგან, თითქოს აკად. ს. ერემიანი მეცნიერულ შეცდომებს უშვებდა. პირიქით, მან ჩემზე უკეთ იცოდა ლბინების ნამდვილი ბინადრობის ადგილი, მაგრამ ცდილობდა თავისი სქემის დაკანონებას, რაც კიდევ შუქლო კომუნისტურ ეპოქაში, როცა ყველაფერი დირექტივებით იმართებოდა.

ლბინების საცხოვრებლის დადგენისათვის ალბანურ მატანეში სხვა საბუთებიც არსებობს. მემატანე გვიყვება, რომ ჰონთან დადი მთავარი „შეიჭრა ალვანთა ქვეყანაში და დაიწყო კავკასიონის დიდი მთების ძირში მდებარე კაბალაკის გავარის დასახლებების განადგურება. თვითონ თავის მრავალრიცხოვანი რაზმით გადალახა მდინარე მტკვარი, გადავიდა უტის გავარში... მოაგროვა ალფი და შემდეგ ყველა დაბრუნდა და დაბანაკდა ლბინთა საზღვრებთან“ [II-36].

ცნობა მოვიტანე უ. სმბატაიანის რუსული თარგმანის მიხედვით, რადგან ქართული თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ქალბატონ ლიანა დავლიანიძე-გაბაიაშვილს ამ ადგილას წერია, რომ: „ლვინთა მხარის საზღვრებში დაბანაკდა“ [გვ. 107].

საზღვრებში, თუ საზღვრებთან? ისინი გადმოვიდნენ დარუბანდის გზით, მშვიდობიანად გაიარეს ჩორის და ლბინის ოლქები და რბევა დაიწყეს კაბალაკის და მტკვრის მარჯვენა მხარის ოლქებში. ანუ, ისინი არ შეეხნენ ლბინებს, რაც იმის არ-

გუმენტია, რომ არც უკან დაბრუნებულები შეეხებოდნენ და მათ ქვეყანაში არ დაბანაკდებოდნენ.

ისინი იქ დაბრუნდნენ, საიდანაც რბევა დაიწყეს, ამიტომ სწორია, რომ: „დაბანაკდა ლბინთა საზღვრებთან“, როგორც ამას თარგმნის უ. სმბატაიანი თავისი მშობლიური ენიდან.

გამოვიდა, რომ დაბანაკებულან კაბალაკის ოლქში, ლბინთა საზღვრებთან!

ვინაიდან კაბალაკის ოლქს სამხრეთით საზღვრავდა მტკვარი, ჩრდილოეთით კავკასიონი, დასავლეთით ჰერეთი, ამიტომ ლბინებს უცხოვრიათ კაბალაკის ოლქის აღმოსავლეთით, ზღვის მიმართულებით, რაც პირდაპირ ემთხვევა ელჩობის მგზავრობის მონაცემებს ლბინების საცხოვრებლის შესახებ.

კიდევ ერთი პირდაპირი და შეუვალი საბუთი ლბინების აქ ცხოვრების შესახებ არის ალვანური მატანეს კატეგორიული ხაზგასმა ალბანეთის შემადგენელი ნაწილების შესახებ. კერძოდ ის ალბანეთს ჰყოფს სამ ნაწილად: ალვანი, ლბინი და ჩორი. იხებეთ საბუთები:

ა/. მემატანე ამბობს, რომ VI საუკუნეში: „იყო უფალი აბასი, რომელმაც საპატრიარქო ტახტი ჩორიდან პარტავში გადაიტანა ... მისი დროიდან ჩვეულბად იქცა და ჩორით ასეთი პატრიე: „ალვანთა, ლბინთა და ჩორის კათალიკოსი“ [III-24].

ბ/. VII საუკუნეში ხაზართა უფლისწული შათი ეუბნება კათალიკოსს: „ეს სამი ქვეყანა: ალვანი, ლბინი და ჩორი საუკუნო მემკვიდრეობით ერგო მამაჩემს“ [II-14].

გ/. ალბანეთის კათალიკოსი: „მე, ალვანთა, ლბინთა და ჩორის კათალიკოსი ვირო“ [II-15]

ჩორი ერქვა დარუბანდის მხარეს, კავკასიონის განშტოვებით შემოსაზღვრულ ზღვის მიმდებარე ტერიტორიას.

ალვანს მატანე ეძახის მტკვრის მარჯვენა მხარეს: არანმა „მემკვიდრეობით მიიღო ალვანების მინდვრები და მთები, მდინარე ერასხიდან ჰნარაკორტის სიმაგრემდე. ამ ქვეყანას მისი სასიამოვნო ბუნების გამო ეწოდა „ალუანქი“ [1-4]. შემდეგ VII ს. ამბების აღწერისას მატანე ამ „ალუანქს“ უმატებს კაბალას ოლქს. [II-36] გამოვიდა, რომ ალბანური მატანე ალვანეთს ეძახის მტკვრის მარჯვენა მხარეს, არაქსიდან ხუნანამდე და მარცხენა მხარეს კაბალას ოლქს, რომელიც მდებარეობდა მტკვარს და კავკასიონს შორის, დასავლეთით საზღვრავდა მცირე ალაზანი, დღევანდელი აგრიჩაი, ხოლო აღმოსავლეთით მდინარე ალსუ.

ლბინის ქვეყანა ლოგიკურად გამოვიდა ტერიტორია, მდინარე ალსუდან კასპიის ზღვამდე, ჩორსა და მტკვარს შორის, რომელიც უსახელოდ დარჩა და რომლის გარეშეც ჩორი და ალვანი ერთმანეთს ვერ დაუკავშირდება.

მივიღეთ დასკვნა, რომ ლბინებს უცხოვრიათ კაბალაკსა და კასპიის ზღვას შორის, მტკვრიდან ჩორამდე.

როგორც ვხედავთ ალბანეთის სამივე ნაწილი უპრობლემოდ გადაება ერთმანეთს. ახლა ალვანი, ლბინი და ჩორი ჩავსვით ს. ერემიანის მოცემულობაში და მივიღებთ, რომ ალბანეთის ამ სამ ნაწილს ერთმანეთთან ტერიტორიული კავშირი, ანუ ერთობლივი საზღვრები არა აქვთ, რაც ამტკიცებს, რომ მოცემულობა გამოგონილია.

აქვე საინტერესოა, რომ აკად. ს. ერემიანი ალბანეთის სახელის წარმომავლობას უკავშირებს ლბინებს და გამოდის, რომ ალბანეთს ჰქვია მეზობლი ტომის სახელი, რაც არაბუნებრივია, რადგან ქვეყნებს მეზობლების სახელს არ არქმევენ. ანუ ლბინები ალბანეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, ჩვენმა ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ არ დაუფიქრა ისტორიული საბუთებს და აკად. ივ. ჯავახიშვილს და დაუფერა აკად. ს. ერემიანის მიერ გამოგონილ ამბავს, რამაც ფაქტობრივად გაანადგურა ერის ისტორია.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ლბინებს და ჭილებს არავითარი კავშირი არა აქვთ ჰერეთთან და კახეთთან და ქართული ისტორიოგრაფია ისტორიას ამახინჯებს საქართველოს წინააღმდეგ.

▶▶ ბაბრძილა იქნება



ქალაქი ზუგდიდი ჩემი ბავშვობის ქალაქია, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე

და ყოველი მისი წარსული მახსოვს, მიყვარს ყოველი მისი კუთხე-კუთხუღი

თავისი წარსულით. აწმყოთი და მომავლით. ბევრი რამ საინტერესო ამბავი და ადამიანები ახსოვს ამ ქალაქს. ამ წერილით ერთი მათგანი მინდა გავაცოცხლო, რომელიც ლეგენდასავით დადიოდა ჩვენს ქალაქში. 80-იანი წლები იყო, როცა მე ახალსოფლის მრავალტერაპიანი გაზეთის რედაქტორად ვმუშაობდი, ჩვენი გაზეთი „მებრძოლის“ რედაქციაში იბეჭდებოდა, აქ ხშირად და-

მზეთუნახავი ჯადოსნური ჯოხით

დიოდა პოეტი არჩილ ფირცხალავა. როცა არჩილი გამოჩნდებოდა, გოგობი უმალ ქორაობას იწყებდნენ. იცით, ამას ულამაზესი ცოლი ჰყავს, მაგრამ... ყველას აინტერესებდა ამ მზეთუნახავის ხილვა.

ერთ დღეს ქალაქის ცენტრში ხელჯოხით გოგონა დაეინახეთ და უმალ მივხვდით, რომ ეს ნამდვილად ის იყო, ლვითური, სათნო,

მელსაც თვალს ვერ მოაშორებდი, დიას, ეს არაამქვეყნიური სილამაზე იყო, ლვითური, სათნო, ნამდვილ ანგელოზს ჰგავდა.

ის მთელმა ქალაქმა შეიყვარა და დღემდე ამშვენებს ჩვენს ქალაქს თავისი მშვენიერებით, ბრწყინვალე პოეზიით.

19 ოქტომბერს ჩვენმა ქალაქმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ქალი-ლე-

ვლე ახალგაზრდობის სასახლეში არაჩვეულებრივი საღამო შედგა. სადაც ქალბატონ მიმოზა ცანავას 75 წლის იუბილე მიულოცეს. მისი სევდიანი ლექსები, განვლილი გზა, ბავშვობის მოგონებები დედაზე და მამაზე, პირველი შეხვედრები არჩილთან, ის მოგონებები, რაც მან თავისი მშვენიერებისა და უსამშველო ტკივილის გამო აიტანა... ბევრი მომენტი და ფრაგმენტი ამოალაგა მოგონებების სკივრიდან, რაც ცრემლის მომგვრელი და სულის შემძვრელი იყო, მაგრამ ამ საღამოზე ჩვენს წინ იდგა ქალი-მებრძოლი, ქალი-დაუმარცხებელი და ყოველგვარ ბოროტებაზე გამარჯვებული. ის მთელი თავისი დიდებით ისეთივე ლამაზი და მშვენიერი იყო, როგორც მაშინ, ადრეულ წლებში, როცა ქალაქში გაივლიდა მზეთუნახავი ჯადოსნური ჯოხით. საღამოს უნიჭიერესი ახალგაზრდა პოეტი და დეკლამატორი შალვა ქარჩავა უძღვებოდა. იუბილარს თბილი სიტყვებით მოუფერნენ და მიულოცეს გურამ



გუნავამ, ზამირა ლადუამ, ნატა კემულარიამ. პოეტის ბრწყინვალე ლექსი წაიკითხა პატარა ანსატასიამ. საღამოს ამშვენებდა ანსამბლი „ჩელა“, „კოლხური ტრიო“, 19 ოქტომბერს კიდევ ერთი განუმეორებელი, ულამაზესი საღამო შედგა, რომელსაც ასე დავარქმევდი „მზეთუნახავი ჯადოსნური ჯოხით!“

ნათია ჯგუშია



ნამდვილ ანგელოზს ჰგავდა... იმ დღიდან შევიყვარე და დიდხანს ვუყურებდით ამ სილამაზეს, რო-

გენდა! ქალი-პოეტი! მრავალი პრემიის ლაურეატი, ზუგდიდის საპატიო მოქალაქე და მოსწა-



მიმოზა სანავა

წყალობა

სული თმენით ვარწყულე წუთისოფლის წყაროდან, ბედს უკვე შევეგუე, იყოს, რაც მიწყალობა. წინწკლებიან კაბაში იწვის ყმანვილქალობა, მადლობასაც კი ვეტყვი მისთვის, რაც მიწყალობა. გაზაფხულის ფერების სულს სალბუნობს გალობა, რომ ვარ დედა, ბებია, არის ჯილდო, წყალობა! კიდევ ზღვა სიყვარული,

მეგობრების ალობა, ღვთისგან საჩუქარია უფლის დიდი წყალობა! ეკალ-ბარდში ჩამაგდო, მეგრძნო ვარდით მთვრალობა, რომ მასწავლა ცხოვრება, წყალობაა, წყალობა! სული ინვრთნებოდა და სხეული კი წვალობდა, ამიტომაც ტკივილი არის ჩემი წყალობა... სიცოცხლე, ვით სასჯელი და ვით ჩემი ბრალობა, გამძლეობით მთებურით დამაქვს მხრებით წყალობა! სხვა რა მეთქმის, აბა რა, ძნელი არის ცალობა, თვალები რომ ღია მაქვს, ღმერთის არის წყალობა. ფუნჯით შევაფერადე ნაცრისფერი ქალობა, ყველაფერს შევეგუე, ბედმა რაც მიწყალობა.

ცვივილის ცვივითი

ქარიშხალივით ამედევენები და სულის მოთქმას არ მაცლი, ფიქროს მე ერთგულებით გზიდე და გზიდე, შენ არ მომეშვი, ტკივილის ტვირთო! თავის დაღწევა ხომ ბევრჯერ ვცადე, მარცვალ ვთვალე სულ თითო-თითოდ, მაინც ვერა და ვერ დაგემალე, ყველგან მიპოვე, ტკივილის ტვირთო! რა დაისახე მიზნად, არ ვიცი, მიმაქანებდი უფსკრულში თითქოს, მაგრამ ვერაფრით ვერ დამამარცხე, შენი ოინით, ტკივილის ტვირთო! რაც მეტი ლოდი გულზე დამადე, მით უფრო მეტად შემმატე ძალა, როგორც კონკიას ბედით დაჩაგრულს, ლოცვა მამაღლებს, უფლო მფარავს და სულ ამაოდ ამომიჩემე, ყველაფერსა აქვს სასრული, ვით ომს, ეს შენ კი არა, მე დავამარცხე,

ვერ მომერიე, ტკივილის ტვირთო! ისევ მორჩილად თავს დაბლა დაეხრი, ისევ მოთმენით ბევრ რამეს გითმოზ, ტკივილით შობილს და ასე ამტანს, ვერას დამაკლებ, ტკივილის ტვირთო!

ზბერძები

სულს ნელა ეცლება კოკრობა და სხივი მიქრება ლოყაზე, უმზეო დღე ღამეს მოჰგავს და ყურანული მომყავს მზე. ლილისფერ ზეცაში ფარფატებს მშვიდობის ლულუნა მტრედები და მაინც ვერაფრით ვერ ვგუობ, რომ ასე ნელ-ნელა ვბერდები. ცრემლები თვალთაგან ლანქერად ჩამომდის, გზა-კვალი მერევა, ოცნება დანისლულ თვალეში მიქრება და სული მეღევა. მირაჟი შემაკრობს წარსულის, ხან ღობეს, ხან ყორეს ვედები და მმიჯნავს ვარდული სამყარო და ვხედავ, ნელ-ნელა ვბერდები.

მოვლონ მარტები

ისევ ტირილით მოვლენ მარტები, დამიმარტოვებს სევდის ორგია, რა საჭიროა ან განმარტება, თითქოს ცხოვრება ცივი მორგია. თითქოს ცხოვრება სატუსალოა და გაღიმებაც მზირი, ყალბია, ვხედავ, სიკვდილი აქვე ახლოა, ახლა სიცოცხლე არა მწადია. მზე გადაეშვა მბორგავ ტალღეებში, ნერვებაშლილი, ნეტავ, რას იჭვობს, სული დალახვრა ძმის მახვილმა და მინდა, მზესავით თავი დავიხრჩო. ფოთლები მთვარეს ჩამოასვენებს მონინებით და ხელატატებით, მე მარტობა დამისაკუთრებს, ისევ ტირილით მოვლენ მარტები.

... რაჟინყებ შენით...

მე შევაგროვებ ბედნიერ ნამებს და გაზაფხულის სიმღერად ვაქცევ, თმენით შევეფუთავ უშენო დღეებს, გავფანტავ ღრუბლებს და მოვწმენდ ცას ცრემლს. მე შევაგროვებ ფერად ყვავილებს და სიყვარულით შევკრავ კონებად, დავენვილები მაისის დილას, სულის მალამოს, ჩუმ შთაგონებას. მე შევაგროვებ ლექსის აგურებს, მერე აგებებ ტრფობის დიდ ტაძარს და სუროსავით შემოგხვევ ხელებს, ყინულის ლოდებს გავალობ, დავძრავ. მე შევაგროვებ ცაზე ვარსკვლავებს, და ბლუჯა-ბლუჯა დაგიყრი გზაზე, გაგაცისკროვენ, ისე აგანთებ, ყველა სატკივარს წავშლი და დავძლევ! მე შევაგროვებ ლამაზ ღიმბლებს, ატმის რტოების უნაზეს მზერას,

წაფლი, ჰო, წაფლი პირქუშ ღამესაც, არაღან ნათელი დღეების მჯერა! ჰო, შევაგროვებ ნაფერებ დღეებს, მზედ გადაგიშლი ლამაზ სამყაროს და ერთგულების დავანთებ კოცონს, რომ არასოდეს აღარ გაგყვარონ... მე შევაგროვებ მთრთოლავ ბგერებს, გულით შევიგრძნობ შოპენს და მოცარტს და ავენტები თავდავინყვებით, მოვალ უნრფელეს, უწმინდეს ლოცვად! მე შევაგროვებ ლამაზ ნამ-წუთებს, რომელიც შენთან მომიყვანს ფრენით, მერე ცხოვრებას ისევ თავიდან, ისევ თავიდან დაეინყვებ შენით!

მე პოეტი ვარ

ვხედავ, ნელ-ნელა შემომაცვდა სამოსი ტანზე, ქარი ქოშინით, თავგანწირვით ჩემსკენ მოიწვეს, ვით პირველყოფილ ადამიანს, გზაკვალარეულს, შიშველ სხეულზე აფარება ფოთლის მომიწვეს. მე პოეტი ვარ, ცარიელი ჯიბის პატრონი, ერთი გროშიც კი არ გამაჩნია, მინიერ ყოფას ვერ ავუნყვე ვერა ნაბიჯი, უფალმა ასე მიუფლა და გამომარჩია. მე პოეტი ვარ, ხმაურიან ლექსის სამჭედლოს ბასრ ლურსმნებით ვჭედავ ლექსებს, ზოგ-ზოგებს რომ გულზე ესობა, მე პოეტი ვარ, გაძარცვული ზამთრის მარტოხე და ბევრს არაფრად მიაჩნია ჩემი ლექსობა. მე პოეტი ვარ, საქანელა ცაზე რომ არწევს, მათხოვარვით ვაკვირდები დაყრილ მონეტებს, სიზმრის სიმძიმე სულს რომ ასე მუშლივით ხრავს და რატომ არ წყალობს ქვეყნად ბედი საწყალ პოეტებს. რაც გამაჩნია, იმ სიმდიდრეს ფასი რად არ აქვს, ნიჭიერების უნიჭობა ვით არ ვითმინე, სულს დავიპურებ, არ მაშინებს ეგ ქარ-ბორია, ამ სნეულ სხეულს რით ვუშველო, მითხარით ვინმემ. ლალ-მარგალიტებს რად ვარჩიე ვარდის სინაზე, ან სასახლეებს მერცხლის მშვიდი, პანია ბუდე, მე პოეტი ვარ, ამ ბუნების მესაიდუმლე და მაპატიეთ, ლექსთა ქარით თუ გავიგუდე. მე პოეტი ვარ, არაფერი არ შემძლია, გარდა იმისა, სიტყვით ჭრელი მანდილი ვქარგო, ნუ შემომხედავ ალმაცერად, დამცინავ მზერით, შენად მიმიღე, მიმეგობრე, თუ შესძელ, კარგო! მე პოეტი ვარ, დაფლეთილი გული თან დამაქვს, შენც არ დამადო დარდის ლოდი არა იგი ზედ, ეს მე კი არა, სული ბღავის, სული ხმაურობს, არ ჩამითვალთ ეს განცდები არა სიგიჟედ. მე პოეტი ვარ, ბუნებისგან ნაშობი შვილი, უმწეო სხეულს, ვით სხვის ცხედარს, უხმოდ დავსტირი, ღამის ქარები არ მინდობენ, მასამაგებენ, უცხო ტომივით მიმძაფრებენ სულის ამ ტკივილს. მე პოეტი ვარ, ჩემი ბინა სამყარო არის, აუზბენელი ოცნებები მიმყვება დარდად, მე პოეტი ვარ, არაფერი არ გამაჩნია, ნრფელი ლექსის და ამ გულის გარდა. მე პოეტი ვარ, ოცნებების ზღვაში მცურავი, ჩვეულებრივი მუდამ მისწრებს, გჯერა? – ასჯერ ის, მე პოეტი ვარ, ლექსის სახლებს ვაშენებ მხოლოდ და პოეტობა არის ჩემი ჯილდო, სასჯელიც.

თამაზ მამალაძე

სარქველი
ნოველა

რაული ხაზალიას მაშინ გაუტყუბა სიცოცხლე, როცა საფრთხე შეექმნა მის ჯანმრთელობას.

ერთხანს თქვენთან ყოფნა მინდა. – ხეებს შორის გადებულ ფიცარზე იჯდა და მინას დასწერებოდა. მდუმარედ დაყუდებული ხეები ნელ-ნელა შიშვლდებოდნენ. ზოგი ხე ირიბად იდგა, წვერი მალა ცისკენ კი არ აუშვია, არამედ ან მინისკენ დაეშვირა, თითქოს სიბერისაგან წელში მოიხარაო. ზოგჯერ მთებიდან გამოქცეული ქარი ხეებს ააჩოქებდა, ერთმანეთს მიანარცხებდა, ტოტებს მიუღწევდა და ისევ მთებისკენ გაიქროლებდა და ტყეში შეიმალბოდა ფირალივით. ფოთლებსაც გაყოფებდა და ქუჩებში და ეზოებში მიმოფანტავდა.

ადრე ამგვარი სურვილი არ გასჩენია რაული ხაზალიას. იქნებ, თავისთვის ოცნებობდა კიდევ, მაგრამ არავისთვის გაუმხელია. ახლა კი საკუთარი გულის ტკივილი გაანდო ბესო გვასალიას:

– ერთი სარქველი გაქვს გამოსაცვლილი, ექიმმა.
– როდისთვის დაგინიშნეს ოპერაცია?
– ფულს ელოდებიან სამინისტროდან, – ნაწილი ჩემი გადასახდელია, – მეგობარსაც ვთხოვე, – დამპირდა, გამოგიგზავნიო, – მანამდე რაღაცებს მოვილევ.

ასურეთში მინის ნაკვეთი აქვს. სოციალიზმის დროს მისცეს. ჩემს სამშობლოში ვსურავი მინა მერგო და ვეცდები, გავაგზავნო. ნაკელი შეიტანა და განოციერა, ვაზი და ხეხილი ჩარგო, თესვად ხახვსა და ნიორს, კარტოფილსა და სიმინდს, ლობიოსა და გოგრას, პომიდურისა და ბადრიჯნის ჩითილებსაც აიტანდა. უხაროდა მინის ნაკვეთი რომ ჰქონდა, ესა ჩემი მამულიო. ვიდრე იქიდან ფულს გადმორიცხავენ, ვიდრე ჩემი მეგობრისგან დაპირებულს მივიღებ, ვიდრე საოპერაციოდ ნაშრომდები, მოსავალს დავაბინავებო: სვენებ-სვენებით ყურძენს და ვკრეფ და დავწურავ, ბოცებში ჩავასხამ და იქნებ, გადავლევ მოვასწორო. ნიორსა და ხახვს ჩამოვზიდავ, იქაური მეზობლის ბიჭს კაკლასაც დავაბერტყინებ, მე კი კალათში ჩავყრი და სარდაფში ვეწინავ, ქერზე ჩამოვიკიდებ ქალივით, კარტოფილს ძველ ფარდას დავუფენ და ძველ პალტოს გადავაფარებო. მერე მშვიდად წავალ საოპერაციოდ, არხინად წამოვწვი მავიდაზე და ექიმს აუღელვებლად და დაკვირვებით შეუდგება... რამხელა რისკზე მივდივარ, საოპერაციო მაგიდაზე დაგდებული მკერდგაჩხილი რაული ხაზალია წარმოიდგინა. ამის გაფიქრებაც არ უნდოდა, მაგრამ მისდაუნებურად, სუნთქვისათვის ძალდაუტანებლად მოდიოდა ფიქრი, წყალზე დავარდნილი ფოთლივით თუ ნაფოტივით მუდამ ზემოთ ტივტივებდა.

უცარმა ელდამ მალე გაუარა. მუდმივ ხენმას და უძლურებას ერთხელ მკერდის გახერხვა თუ გაგლეჯა, ძველი სარქველის მოკვება და ახალი სარქველის მიკვება სჯობიაო. მეც დავისვენებ და ჩემი გულიც დაშოშინდება, კიდევ რამდენი საქმე გვაქვს საკეთებელიო.

არყის გამოხდა ვერ მოეწონება და არც მეჩქარება. ჭაჭას ქვევრში ჩავყრი და ოპერაციის შემდეგ, როცა მოვმჯობინდები და მოვდლივდები, როცა მომეშვება თუ შემეშვება დადლილობა, არყის გამოხდად სპილენძის ქვას სამფეხზე შემოვდგამ, ჭაჭით შუამდე შევავსებ, მიღებს და სახურავს ტალახით ამოვგოზავ, ცეცხლს შევეუხებ და წყალსაც მივუშვებო.

– მერიაშიც მიდი, ცოტა იმათაც გამოსცინცლე, აღარ დაგჭირდება დამატება, – დაარია ბესო გვასალიამ.

მართალია სხვებთან ერთად დაბერდა ამ უბანში, მაგრამ ბესო გვასალია მისთვის უფრო ახლობელია, მისი იქაური ნამეზობლარია, თუმცა, შარშან ამ ფიქვნარში გაიცნო, ამიტომ ჯერ მას გაუმხილა საკუთარი გულის ერთი სარქველის გამოცვლის შესახებ.

– მჭირდება არ იხურება, სისხლს ვერ აგზავნის მისამართზე და უკან აბრუნებს უმისამართოდ. – ექიმის ნათქვამი გაიმეორა რაული ხაზალიამ.

– ჩემს მეგობარს ოთხივე სარქველი შეუცვალეს. – ჩიტვით იყოო.

– გაფრინდა? – რაული ხაზალიას ცივმა ლიმონმა გადაურბინა ტუჩებზე, ხანდახან ნაიცულლუტებს, მაგრამ ამით ბევრად სჯობიაო. აბა, არჩილა კაცი?

– იმდენს ვიპარავდი, სად წამელო არ ვიცოდი. – ტრაბახობს.

– ჩემთვის მოგეცა. – პეშვი გაუნოდა ხეობარმა ოთარამ.

– ჩემს გოგოს ოთხოთახიანი ბინა ავეშენე იმ კორპუსში, – მალევი კორპუსისკენ მიანიშნა არჩილამ, – მეორე ბინის აშენებაც მინდოდა, მაგრამ ესენი მოვიდნენ და კინალამ დამიჭირეს.

– არჩილა კეთილი ადამიანია, – ჯერ კიდევ ორი წლის წინ მოიგო ამირანის გული არჩილამ, როცა სოფლიდან დაბრუნებულს თავისი „მერსედესი“ ფარეხში შეჰყავდა. ამ დროს ამირანმა გვერდით ჩაუარა და მიესალმა, თან მოიკითხა,
– როგორ ხარ? – თქვენი სოფლები ოსებმა ხომ არ გაიტაცეს?

– ამირან, შეჩერდი! – უცებ ხასიათი მოუღბა არჩილას.

არჩილამ მანქანის საბარგული გახსნა და ნითელი აიდარიდი ამოიღო. თითქოს ამირანისთვის წინასწარ შეერჩია დიდი, ლამაზი და გემრიელი. მასაც გაუკვირდა, მთელი დღე რომ მეძებნა შვილიშვილისთვის, უკეთესს ვერ ვიპოვიდი, ამ გაბეყვს რა ბედი ჰქონია, ნეტა არ გამეხვდა მისკენ, არ შემეჩერებინაო, მაგრამ უკან ხომ არ ჩააბრუნებდა, ამირანი პატარა ბაღს ააჭორავებდა, აიდარიდი შემიცვალაო.

– ჩემი ეზოსია, – ნაყიდი არ გეგონოს.
– ტყემალი არ შემარჩინეს, – ერთი ცალიც არ დამხვდა იმხელა ხეზე. – თავისი დარდი ვერ დამალა ამირანმა.

არჩილამ შეამჩნია, რომ ამირანს სახეზე ნითელი წვრილი წერტილები მოუხშირდა, რომლებიც თანდათან გაიზარდნენ, გაივლინენ და ლაქად იქცნენ. ჩემს ნაჩუქარ აიდარიდს დაემსგავსაო. – იფიქრა.

ამათაც ეტყვიან რაული ხაზალია, მაგრამ როცა ყველაფერს მოითხოვს, სანამ იქ დანევბა. მერე რა, რომ გაიგებენ? ეგენიც დაზურგულები არ მოვიდნენ სანახავად.

როგორც კი დათბებოდა, რაული ხაზალია შორტებს ჩაიცვამდა, ქუსლებმორეცილ ფეხსაცმელებში ჩაყოფდა შიშველ ფეხებს და აღმა-დაღმა დაფლატუნობდა. შარშან ბესო გვასალიამ ახალი ბოტასები აჩუქა, მიჭერს და იქნებ, შენ მოგერგოსო.

– ჩემს ფეხზეა შეკერილი. – მოეწონა.
მეორე დღეს, სახლში რომ ბრუნდებოდნენ პატარა ბაღში სეირნობის შემდეგ, რაული ხაზალიამ თავის სადარბაზოსთან შეაჩერა ბესო გვასალია, აქ დამელოდო და ორლიტრიანი კოკა კოლას ბოთლით არაყი გამოუტანა.

– ჩემი გამომგონებელია, მოგეწონება, – ცოლს ჰკითხე, ძმარი ხომ არ უნდა.

– არც არაყს ვსვამ და არც ძმარს, – შეიპატიჟა ბესო გვასალიამ.

უარი რომ ვუთხრა, ეწყინებო. ცოლმა გაიხარა, ღვინის ძმარს ვერსად ვშოულობო და მეორე საღამოს ისეთივე ბოთლით ძმარი მიიტანა სახლში.

რაული ხაზალია უნივერსიტეტის რომელიც ლაბორატორიაში მუშაობდა. არაფერს ვაკეთებ, მაგრამ იქ ყოფნა სავალდებულოა, ციხესავითააო. – ამბობდა.

– თქვენ ვერ აკმაყოფილებთ თანამედროვე სტანდარტებს. – მოუმიზეზა თანამშრომლებს რექტორმა.

გულისფანცქალით ათავალიერებდა სიას, იქნებ, არ აღმოჩნდებოდა შემცირებულ თუ დამცირებულ თანამშრომლებში. თავისი გვარი და სახელი რომ ამოიკითხა, ეგონა ვერ გადაიტანდა, მაგრამ შევებით ამოიხუნტა, თითქოს დიდი ხნის ფარული სურვილი აუხდა. დამთავრდა ჩემი მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა, თავისუფლება მოვიპოვე, ანი მინას მივხვდავ, გლეხის სტანდარტს ხომ ვაკმაყოფილებო.

ერთი კვირა საკუთარ ეზოში ბარავდა, თესავდა, რგავდა, რწყავდა.

დაბრუნდა თუ არა, საავადმყოფოს მიაშურა, ფული თუ ჩამირიცხაო.

– სამინისტროდან მოვიდა! – მიახარეს.

მერიდანაც რომ გადმოიერცხათ და რაული ხაზალია მიუპატიჟებინათ, მობრძანდო, თავს შეიკავებდა, ჯერ იქიდან ველოდები ფარას, მანამდე ჩემი იმ მაგიდაზე ნამოგორე-

ბა დაუშვებელია, დოლარებს ვინ დახვდება? უკან თუ გააბრუნეს, მერე ვინლა დააბრუნებს? ალბათ, არ დასჭირდაო, იფიქრებს ჩემი მეგობარი. რას ჰქვია, არ დამჭირდა! როცა იმასაც შევინახავ, თუ გინდათ, მინდორში ნამოვგორდები, თქვენი დანა და ჩემი სარქველი, მოაჭერი და მიაკერე, შენ იცი და შენმა ქორუგობამო, გაამხნევა ექიმი.

რაული ხაზალია დაბალი, ჯმუხი კაცია. მუდამ თავჩაქინდრული დადის, თითქოს კისერში მარილები გაუქვავდაო. მელოტ თავზე აქა-იქ ღიღილი შემორჩენია, როგორც სროკზე გამხმარი ბალახი.

– სწორი სახე მაქვს, ფეხებიც სწორი, – შესჩივლა ერთხელ ბესო გვასალიას და ბანჯგელიანი ფეხები გაიშვია, – ჩემს ბიჭს რამ გაუმრუდა სახე და ფეხები? – ვერ ამიხსნია.
– მთავარია აზრები არ გაუმრუდდეს.

– ზვიადს რომ დაინუნებს და ეღუარდს მოინუნებს, ამაზე მეტი გამრუდება რაღა? ასურეთში შრომითა და ოცნებებით დაღლილ-დაქანცულმა რაული ხაზალიამ პატარა ბაღში მოსეირნების მიმართ უპირატესობა იგრძნო. ესენი უსაქმოდ დაყილობენ, მე კი საარსებო დოვლათს ვქმნი, გაიფიქრა და თავის წარმოდგენაში ამალდა.

ნელგამართული მიაბიჯებდა ძველი შორტებითა და ახალი ბოტასებით. პატარა ბაღში მრავალი წლის სეირნობის განმავლობაში პირველად აწია თავი მალა და ცას შეხვდა. ცა იყო ზღვასავით ლურჯი და უნაპირო, სუფთა და მშვიდი. მლოცველებივით ტოტე-ბაპკობილი ხეები ღრუბლებს მოუხმობდნენ, ჩვენს თავზე მოქუჩდით და წვიმით გაგვაგრილეთო. კოდლა გამეტებით აკაკუნებდა. ჭრიჭინების ჭრიჭინაც შემოესმა, გაუკვირდა, რა ეჭრიჭინებო, ასურეთი ხომ არაა, ამ პატარა ბაღში რა ეგულებათ დასამნიფებელიო? ირგვილე მოსეირნე თანაზნებლებიც გარკვევით გაარჩია, თითქოს პირველად შეხვდა და გაიცნო. მითიურ ამირანად მოეჩვენა გაბეყილი, კბილებჩაცვენილი ამირანი, გამუდმებით რომ წუნუნებს ძისშვილიშვილებმა, რაც ხეზე აცოცება ისწავლეს, ტყემალი არ შემარჩინეს, ზესტაფონიანდა ხელცარიელი დავბრუნდიო და მაშინვე ლოყები დაუნითლდებოდა, თითქოს სახეში ფეროს მტვერი შეაყარესო. დაფეხვილი ოთარაც უფრო გაგვიმული დადის, თავისი უფროსი რომ დააბეზლა, იქნებ, იმის ადგილზე ამასკუპონო, მაგრამ მალა ასკუპების ნაცვლად კინალამ დაბლა ჩასკუპდა ხელფეხგამეშებელი. რაიკომის ყოფილი დივიანი დემოკრატებზე სამართლიანი და კაცთმოყვარეა, პირდაპირ სამოთხიანი შეაბრძანებენო. ამ უნიჭო კობას ლექსებიც შედეგებია, ეს სკამებიც მაგის გაკეთებულია, ლურსმნის ჩაჭედებაც ესერხება დურგალივითო. არჩილაც ნაკითხი და განსწავლულია, თუმცა, ერთი ნიგნიც არ გადაუფურცლიაო.

ბესო გვასალიამ მინისტრობა თუ არა, დეპუტატობა მაინც ეკუთვნის, რომელია მასზე დიდი პატრიოტი? გერმანიაში გალტოლეილებაზე იუარა, ნამდვილი ლაზია, ზღვისფერი თვლებითა და გარუჯული მკლავებითო.

რაული ხაზალიამ ახლებურად დაინახა პატარა ბაღი და მოსეირნებები, ნეტა აქამდე ამეხვდა მალაო. თავადაც გაიზარდა საკუთარ წარმოშობაში და ნაცნობ-მეზობლების თვალში. კაცი თავანული დადის, ეშველა, მარილები დაეშალა კისერშიო.

– ახალი ბოტასები ძალიან უხდება. – არ გამოპარვია ამირანს.
– იქნებ ეს გაზინზლული შორტებიც მოისროლოს. – ინტრიგნობას არ იშლიდა ხეობარი ოთარა.

– შორტები ეცვას, ოღონდ ხანდახან წყალში ამოჭინჭყლოს, – ან სხვას ამოაჭინჭყლინოსო, რაიკომის ყოფილმა მდივანმა.

ბესო გვასალიამ, ალბათ, გამოსაცვლილი არა აქვსო და თავისი მოუტანა, არც ჩამიცვამსო. გაუხარდა რაული ხაზალიას, სხვა ვინ გაიმიტებდაო და გულწრფელად ჰკითხა:

– არაყი გინდა თუ ძმარი? ან იქნებ ღვინო...
– არც პირველს ვსვამ, არც მეორეს და არც მესამეს. – ექიმმა ამიკრძალა.

თავანულმა სიარულმა თანამოსეირნებთან მეტი სიახლოვის სურვილი გაუჩინა. ქალებისკენაც გააპარა მზერა, ესენიც აქ ყოფილანო, თვალში დაპრანა. განსაკუთრებული ელხითა და მიმზიდველობით კლარა გამოირჩეოდა, ლურჯი ცის ფონზე მტრედვით ფარფატებდა. დიდებული სანახაობაა, მშვენიერებაა, არ გაფრინდესო. გადავაფი-

ქრებიან და ამ პატარა ბაღში დავიტოვე, აქ იგომანოსო, სხვაგან გაგომანებასო.

– შენთან მეგობრობა ხომ შეიძლება. – ბალისკენ მიმავალ კლარას წამოეწია, სხვამ არ დამასწროსო.

– რა მეგობრობა? – თხუთმეტი წლის ქალწულივით შეკრთა კლარა, – ხომ ვესალმებით ერთმანეთს?

– უფრო მეტი. – ამირანივით განითლდა გამიჯნურებული რაული ხაზალია.

– პოლიტიკაზე გელაპარაკო?

– ცხოვრებაზე ვილაპარაკოთ, მეგობრობაზე, სიყვარულზეც. – გაბედა რაული ხაზალიამ და ისევ აიხვდა მალა ცისკენ, ვინძლო უფრო პოეტური აზრები თუ ფრაზები გადამოცვივდეს და მაშინვე მივართმევ კლარასო.

მზე ბეთანის იქით ჩადიოდა და მის ფონზე კლარა მტრედვით აფარფატდა, თითქოს დააფრთხეს და გაფრინდებო. არ დამეკარგოსო, აჩქარდა რაული ხაზალია და ერთადერთი სიტყვა დაადევნა კლარას:

– მიყვარხარ! – სუნთქვასავით თბილი სიტყვა ყურის ბიბილოსთან დაენია. მეცება კლარა, თითქოს მკერდზე შეახო ჭუჭყითა და ნიგვზის ნაჭით გაზინზლული თითები და მომჩვარული ძუძუები მოუშლდოდა. რა უხეში კაცი ყოფილა ეს რაული ხაზალია, გაბრაზდა კლარა და ნაბიჯს აუჩქარა. პატარა ბაღში შესწრო, მაგრამ ნიაგი მაინც ეწეოდა და იმ ერთ სიტყვას უთრთოლდებდა ყურის ბიბილოსთან. ამ ჩანჩურას თუ სიყვარული შეეძლო, რას წარმოვიდგენდიო.

პატარა ბაღში სხვა ქალებიც დასეირნობდნენ: უფრო ტანადებიც და უფრო ლამაზებიც, უფრო ახალგაზრდებიც და უფრო მიმზიდველებიც, იმნარებიც და ამნარებიც, მაგრამ რაული ხაზალიამ მხოლოდ კლარა გამოარჩია, მხოლოდ მისთვის გაიმეტა ყველაზე ძვირადღირებული თუ ძნელადმოსაპოვებელი გრძობა. ჩემი ცოლი ნახევრად მკვდარია, მაინც ვერაფერს გაიგებს, ვერც მე მცნობს და ვერც შვილსო. კლარა ჩემი შესაფერი-სია, მარტოხელაა, მეც ვამარტოხელდი და... თუკი ლალატი სიკეთის მომტანია, ლალატად არ ითვლება. სარქველსაც ვიცვლი, მაგრამ გულს კი არ ვლატობს. ჩემი ნახევრად მკვდარი ცოლი მისახვდია, შვილი დასოჯახებელი, ასურეთი ასაყვავებელი და ვინ შეძლებს ამას სხვა ჩემ გარდა? ბაღში სეირნობაც ხომ საქმეა. თუ არ ვისეირნეთ, რად გვინდა ბაღი? კლარასაც ხომ სჭირდება მეგობარი, როდემდე იაროს მარტო? ჩემს ცხოვრებასაც მეტ ელფერს შესცდის, ბურუსიდან გამოიყვანსო. იმედი ჰქონდა რაული ხაზალიას, რომ ლურჯი ცის ფონზე მტრედვით მოფარფატე კლარა შეიბრალებდა და საკუთარ სიტბოს და აღერს არ დაიშურებდა მისთვის.

ბევრი იცინეს ქალებმა. ულოცავდნენ კლარას, სიყვარულიც გენვიანო.

– მთელი ცხოვრება ყველაზე ლამაზსა და გონიერ ბიჭს ველოდებოდი და რაული ხაზალიას ჩაუფორდე ლოგინში?

– ვილაკას ხომ უნდა ჩაუფორდე? – აგულიანებდნენ ქალები, – ქალწულობას მინამი ჩაიყოლებ?

მეორე დღესვე წავიდა ასურეთში რაული ხაზალია. ერთი კვირა იქ დავრჩები და კლარასაც ამოვიგდე გულიდან იმ ერთი სარქველივით, მინა დამავინეებს, მინა მიმკურნალებსო. ეზო მისაუფთავა და ხეხილი მორწყა, ვაზი შეწამლა და სახლის შეღვსვაც დაიწყო. ოპერაციის შემდეგ კიდევ ნაუშვამტებ და წლის ბოლომდე მოვამთავრებო.

– უცებ გაიზინა ერთმა კვირამ. რაული ხაზალიას გაახსენდა საკუთარი გულის სარქველი.

– მერიდან თუ ჩამოირიცხა ფული? – ჰკითხა ნაცნობ ბუღალტერს.

– რახანია გელოდება ექიმი. საქართველოს ბანკში მეგობრის გამოგზავნილი ფული მოიკითხა.

– დღეს რომ არ მოსულიყავი, უკან გააბრუნებდა? – გაუხარდა ოპერატორი.

გაიბადრა რაული ხაზალია, რამდენი სიკეთე დამხვდა, მზადა ვარ საოპერაციოდო. მართალია კლარამ უარი მტკუცა, სამაგიეროდ, მთავრობამ და მერიამ დამაფასა, მეგობარმაც მიმეგობრა, რალაცაში მიმართლებს, რალაცაში არაო. სხვას ვის გამოუგზავნიდა მეგობარი ამდენ დოლარს? ამირანს, არჩილას, ოთარას თუ კობას? ჰყავთ კი მეგობრები? ბესო გვასალიას თავისი ძმები გადაჰყვებოდნენ, რაიკომის ყოფილ პირველ მდივანს გამოგზავნა რად უნდა? დასტა-დასტად ექ-

ნება ღარბებიც და დოღარებიცო. მე აღარ მყავს ძმა, სამაგიეროდ ძმასავით მეგობარი მყოლიაო. ხომ შეიძლება, მეც დამირეკოს მეგობარმა, ფული გამომიგზავნე, ჩემი სიცოცხლე ბენზე ჰკიდიაო. რა გაუზავნოს, რითი დაუმტკიცოს ძმობა და მეგობრობა? სახლი გაყიდოს თუ სესხი აიღოს ბანკიდან? იქნებ, ჩემმა მეგობარმაც...

- ბევრი სარქველი გამოგიცვლია? - დაინტერესდა რაული ხაზალია.
- საქაოდა, - მაგ საქმეში დახელოვნი.
- დახელოვნი თუ დახელოვნი, რომელი უფრო სწორია?

- დახელოვნი. - აღიარა ექიმმა.
სამოცდათი წელი გამძილო საბრალო სარქველმა, არც დღე ისვენებს და არც ღამე. ფეხები ჩერდება, მკლავებიც, ფიქრიც და აზრიც, სარქველი კი გაიღება და დაიხურება, გაიღება და დაიხურება... ერთ დღესაც გაიღო და ვერ დაიხურა.

კლარა გაახსენდა. მოწმენდილ ცაზე მტრედით ფარფლებდა. ქუჩის ქალი კი არაა, პირველსვე შეთავაზებდა დამთანხმებოდო. სარქველს გამოვიცვლი და უფრო შემეფარება, სარქველდაზიანებულ კაცს სადა აქვს სიყვარულისა და მეგობრობის უნარი და ენერჯიაო.

პალატაიდან გავიდა. დერეფანში არავინ ჭაჭანებდა. საშუალო დამთავრდა და ნავიღუნე სახლში. ავადმყოფები არც დერეფანში დასეირნობენ, მნახველებიც არ მოდიან. თუკი ავადმყოფები არ კენსიან, არ ოხრავენ, არ გმინავენ, მნახველებმა ვინ ანუგემონ, ვინ დაანაყრონ ნაირ-ნაირი ნუგებარებით, საავადმყოფოში ვარ თუ ბიბლიოთეკაში?

რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა დერეფანში, ფანჯრიდანაც გადაიხედა, იქნებ ნაცნობი დაეინახო. ქუჩაში დაბზულნი და ფარფარტებდნენ, დაფრინავდნენ და დაბობლავდნენ.

პალატაში შევიდა, ბარემ ამ ხაჭაპურს გადავსანსლავე, წიგნთან ერთად რომ მოვიტანე. წიგნი სჯობია თუ ხაჭაპური? ამ წიგნის ავტორსაც ხაჭაპური ურჩევნია, რადგან ხაჭაპური მარადიულია, ვითარდება, გემრიელდება, ყველა სამზარეულოში შეიღწიან და მივიღეთ იმერული, გურული, მეგრული, ოსური, აჭარული, სვანური, ბერძნული, იტალიური, ირანული და სხვა ქვეყნებისა და ხალხების ნახელავიო. დილით უეცრად გაიღვიძა. ხმაური მოესმა. დერეფანში დაბაკუნობდნენ. გაახსენდა, რომ საავადმყოფოში იწვა, გათენებულაო და წამოღდა.

პირველად ექთანმა დააკაკუნა.
- ლაბორატორიაში ჩადი მეორე სართულზე, სისხლს აგიღებენ ვენიდან.

როცა დაბრუნდა პალატაში, მაგიდაზე საქმელი დახვდა. კარტოფილის პიურეს ორთქლი ასდიოდა. გვერდით ერთი ნაჭერი ხორცი იდო. ცოტა ხნის შემდეგ მზარეულმა მიაკითხა.

- მოგეწონა?
- ასეთი გემრიელი პიურე ჯერ არ მიჭამია, ღომივით იყო. - შეაქო რაული ხაზალიამ.

იმ დღემაც ჩვეულებრივად ჩაიარა. საღამოს ისევ დაცარიელდა საავადმყოფო და ბიბლიოთეკას დაემსგავსა. რაული ხაზალია მარტო დარჩა. არავის მოუკითხავს. იქნებ, შეიღმა გამოიაროს სამსახურიდანო. ხვალ დილით უსათუოდ მოვა, აბა, ასე უპატრონოდ... დაზიანებული სარქველის სიახლოვეს ეტკინა შვილის უყურადღებობა, მაგრამ გა-

მართლებაც არ გასჭირვებია: ბევრი სამუშაო მიაყარეს, ვერ იცლის, ძველი დრო კი არაა, როცა მოგებრიანებოდა წახვიდოდი და მოხვიდოდი.

„იმის გასაკეთებელს მე გავაკეთებ, - შეემეველებოდი თანამშრომელს ან შეგემეველებოდა თანამშრომელი. - იმის გასაკეთებელს თუ შენ გააკეთებ, შენს გასაკეთებელს ვინ მიხედავს? - ორივეს თუ შეძლებ, რა საქროა ორი თანამშრომელი“.

მთელი ღამე ფიქრებში გაატარა. გვიან ჩაეძინა და მალევე გაეღვიძა. თენდებოდა. უეცრად ახმაურდა დერეფანი და გახშირდა ქუსლების ტკაცატაკუცი ლამინატის იატაკზე. საცაა მომაკითხავენ ექთნები და საოპერაციოში წამიყვანენო. პატიმარს ბადრაგი მიაცილებს სასამართლოში, ავადმყოფს ექთნები საოპერაციოში, პატიმარს მოსამართლეს ჩააბარებენ, ავადმყოფს ქირურგს, ორივე გადარჩენას თუ მორჩენას ითხოვსო. ჩამოჯდა საოპერაციო მაგიდაზე, მერე წამოწვა, გულაღმა გაითხალაშა.

- ახლა დაგაძინებ და როცა გაიღვიძებ, ახალი სარქველით ახლებურ ცხოვრებას გააგრძელებ, - გაუღიმა ანესთეზიოლოგმა. შენ გაიხარეო, გაიფიქრა რაული ხაზალიამ და ნელ-ნელა ჩაიძირა სითბოში, იქნებ, ზღვაში, იქნებ, ქვიშაში, იქნებ...

თვალები რომ გაახილა, თეთრი ჭერი დაინახა. თეთრხალათიანები დაცუცულობდნენ გარშემო.

- გაიღვიძა, - გაუღიმა ერთმა თეთრხალათიანმა.

- კეთილი იყოს შენი დაბრუნება, - მიულოცა პალატის ექიმმა.

რაული ხაზალიამ თვალები ოთხჯერ დახუჭა და ოთხჯერ გაახილა. ოთხი იყო და ოთხივეს მიესალმა. საუბარი არ შემოძლია, პირს ვერ ვაღებ, თითქოს ამომიკემსესო.

- ოპერაცია წარმატებით ჩატარდა, - გაამხნევა პალატის ექიმმა, - ერთი დღე და ერთი ღამე რეანიმაციაში დარჩები და მერე პალატაში შეგაგორებენ.

- აგამეწონს ღმერთმა, - გაიფიქრა რაული ხაზალიამ, რა იოლად გადავტყდი.

კვირის ბოლოს განერეს საავადმყოფოდან. ექიმმა დაარგა:

- არ გაცივდე, მძიმე არ ასწიო, ბევრი არ იარო, ცხარეს და მყავს მოერიდე, ღვინოს, არაყს და ქალებს არ გაეკარო, არ გადაიღალო.

ჩანთაში ერთი წიგნი ედო, ნეტა არ წამომელო. ავადმყოფიც არ იყო პალატაში, რომ მისთვის დაეტოვებინა.

შეუმჩნევლად გაიარა ქუჩა, ეზო და შევიდა ბინაში. ცოლი საბანში შემალულიყო.

- სარქველი გამოვიცვალე, - საბანი სახიდან ჩამოუწია და ტუჩები ყურთან მიუტანა, აზრზე რომ ყოფილიყო, ქვეყანას შეანრიანებდო, - იქნებ შენი მოვლაც შეეძლო, - ჩემზე უკეთ ვინ მოგხედავს?

მომვლელმა ქალმა, საჭმელს გაგიცხელე-ბო.

- ღომი მომენატრა.
- ახლავე ჩავზელ. - ქვაბი გაზქურაზე დადგა.

ორი დღე ბინიდან არ გასულა. მესამე საღამოს პატარა ბაღისკენ გავისეირნებო. მშვიდი და თბილი საღამო იდგა. დინჯად ესალმებოდა ნაცნობებს და უცნობებსაც. არჩილა წამოენია.

- როგორ ხარ?

- სუნთქვა აღარ მიჭირს.
- სიარული?
- არც სიარული, მაგრამ ვფრთხილობ, აჩქარება საზიანოა.

- მოსვლა მინდოდა, მაგრამ ასე ადრე თუ გამოგზინდნენ, რას ვიფიქრებდი.

- მეგონა, ერთი თვე მაინც დარჩებოდი იქ, - ასეთი გაკრიკილულ-გაკობხვებულ რაული ხაზალია არ უნახავს ამირანს. დაკოწრილი თითებიდან ჭუჭყი და ნიგვზის ნაჭაც ამოუსუფთავებიათ საავადმყოფოში, სახეზეც ინტელიგენტური ფერი ადევს.

- სხვები სად არიან?

- ბესო გვასალა ანაკლიაშია ქალშვილთან, კობა პატარძელში განმარტოვდა, პოემა უნდა დავამთავროო, რაიკომის ყოფილი მდივანი ქობულეთში ისვენებს.

დამშვიდა რაული ხაზალია, აქ არ ყოფილან და როგორ მნახავდნენო?

- ქალებიც არ ჩანან, - პატარა ბალი შეათვალეო, რამაც გააკვირა ხეივანი ოთარა, როდინდა დაინტერესდა ქალებით, ხომ არ გამოუსადიან?

- მასწავლებელი პროფესორ ქმართან ერთად სოფელში ნავიდა სიმინდის, ლობიოს და ყველის ჩამოსატანად, - დაიწყო ამირანმა, - სტომატოლოგს გუშინ მოვკარი თვალი, კენტად დაკუსკუსობდა ფიჭვნარში, ქარელელი მარინა ვილაძას გადაეყარა და მგონი თხოვდება, კლარა დისპილემა დაამწყვდის ბინაში, ვირუსი არ მოგვიტანოო, აქაური ძაღლების დამპურებელი საცაა მოგრიალდება, - ვინმე ხომ არ გამომჩნია?

- კორონამ დაგვამორა ერთმანეთს, - მოიწყინა რაული ხაზალიამ, - ვის ნახვასაც ვნატრობდი ვერ ვნახე, მაგრამ მოვმჯობინდები, ბესოს და ამირანს მოვიშველებ და ვისხნი კლარას ქაჯეთის ციხიდან.

იმ საღამოს მზე ჩვეულებრივზე სწრაფად დაეშვა ბეთანიისკენ და აგრძელდა.

- შემამცინა, - მოიკუნტა რაული ხაზალია, თითქოს სხეულიდან სითბოს გამოღწევას შეაფერხებდა, - სახლში ნავალ.

- დღეს არც უნდა მოსულეყავი. - უსაყვედურა ხეივანზე ოთარამ.

- გააკვირებ, - შესთავაზა არჩილამ.

- რა შორს მე ვცხოვრობ.

- აქედან გიყურებთ, - თვალს არ მოგამორებთ.

- კარგად იყავით, - დაემშვიდობა თანამოსეირნეებს და თავჩაქინდრული, წელი ნაბიჯებით ნავიდა, როგორც ადრე იცოდა, თითქოს ის ერთი სარქველი ისევ გამოსაცვლელი ჰქონდა. დიდხანს მიდიოდა. დროდადრო შეჩერდებოდა, შეისვენებდა და ისევ ნავიდიოდა. მთავარ ქუჩას მიუახლოვდა. აჩქარდა, მანქანებს გადავასწროო და გადაკეთდა ქუჩა. ტროტუარზე შედგა და სული მოითქვა. ამასობაში ჩამოხვდნენ და აღარ დაუნახავთ, როგორ შევიდა ეზოში.

უკვე სამშვიდობოაო.

მეორე საღამოს ბესო გვასალა გამოჩნდა პატარა ბაღში:

- რაული ხაზალია ვნახეთ, თავისით მოვიდა და თავისით ნავიდაო. - უთხრა ამირანმა.

სამი დღის შემდეგ რაიკომის ყოფილი მდივანი დაბრუნდა ქობულეთიდან და რაული ხაზალია მოიკითხა.

- მშვენივრად გამოიყურებოდა, მაგრამ შეამცინა და ნადრევედ დაგვტოვა. - უპასუხა არჩილამ.

მეხუთე დღეს კობამ შეირბინა პატარა ბაღში და ყველას გასაგონად თქვა:

- პატარძელში პოემას ვწერდი, თან რაული ხაზალიაზე ვდარდობდი.

- პოემის რა მოგახსენო, მაგრამ ეს ფიცრები ხეებს შორის კარგად მოიფიქრე, თორემ ჩვენც ფიჭვბივით დავეყუდებოდით ამ ბაღში და მათსავით მოვიკაცებოდით. - მადლიერება გამოხატა რაიკომის ყოფილმა მდივანმა.

ის კვირა ისე მიილია, რაული ხაზალია არ გამოჩენილა პატარა ბაღში.

- რატომ აგვიანებს? - შენუხდა ბესო გვასალა, აქედან რომ ნავალ, გავუვლი.

ეზოში რაული ხაზალიას მეზობელი შეხვდა.

- ღამით სისხლდენა დაეწყო თურმე და ექიმს დაურეკა, - ჰყვებოდა მეზობელი მესამე სადარბაზოდან, - ექიმმა დაამშვიდა, ხვალ დილით ხელმეორედ გაგიკეთებ ოპერაციას, ამჯერად უფასოდ, ეტყობა, მჭიდროდ ვერ მივაკერე სარქველი და სისხლმა გაჟონა, ძალიან მეჩქარებოდა, - კომენდანტის საათი იწყებოდა...

- ვირუსის გამო არც პანაშვიდზე ვყოფილვარ და არც ქელებში, - არც ის ვიცი, დაკრძალეს თუ ისევ სახლშიაო.

რაული ხაზალიას კარის მეზობელმა ჯერ „გლაზოკში“ გამოიჭყიტა, პირბადე გაიკეთა და ოდნავ შეაღო კარი.

- ეგენი დიდი ხანია გადავიდნენ აქედან, - დარწმუნებით თქვა მეზობელმა, - შვილს სახლი აუშენებია ლისის ტბასთან და მობლებიც წაიყვანა, ეს ბინა კი გამოკეტულია, - მგონი, ყიდიან. დიდი ხნის წინ როგორ წაიყვანდა, ახლახან გაიკეთა ოპერაციაო, დაეჭვდა ბესო გვასალა და აღარ იცოდა, ვისთვის დაეჯერებინა, იმ მეზობლისთვის თუ ამ მეზობლისთვის.

მას შემდეგ არავის არ უნახავს, არც ცოცხალი და არც მკვდარი, რაული ხაზალია. პატარა ბაღში კი ხშირად იხსენებდნენ.

- სარქველი რომ არ გამოეცვალა, ახლაც ჩვენთან იქნებოდა. - ამტკიცებდა პოეტი კობა. - ეგ ისეთი ქვემქვეშაა, ერთი სარქველი ვერაფერს დააკლებს. - საოცრად ბუნდოვანი მოსაზრება გამოთქვა ხეივანზე ოთარამ იმ ფიჭვის ძირში, სადაც დაჯდომა უყვარდა რაული ხაზალიას, თან კოლხებსა და ლაზებს იხსენებდა, იმათი შთამომავლები ვართო.

- მეორედ უფრო მჭიდროდ მიუკერებდა სარქველს ქირურგი. - ვარაუდობდა არჩილა.

- თავის მამულში დაფუფუნდებოდა, - ივარაუდა რაიკომის ყოფილმა მდივანმა, - აქეთ გამოხედვაც არ უნდა. რა დარჩენია?

ქალები ცალკე ბჭობდნენ.

- კლარას გაუჩინარება რაული ხაზალიას ბრალია. - თავიდანვე ადანაშაულებდა მასწავლებელი.

- ალბათ, მარტოდმარტომ გამოიხსნა ქაჯებისგან და მალულად თუ ფარულად ასურეთში ცხოვრობენ. - სტომატოლოგს ყველა დაეთანხმა.

- ნუთუ არ ვენატრებით. - ვერ მიმხვდარიყო ამირანი, - იმან ხომ იცის, სად ვართ?

- ჩვენ რომ არ ვენატრებით, ბუნებრივია, მაგრამ ამ ფიჭვის სიგრილეში დასვენება რომ არ ენატრება, ეს არ არის ბუნებრივი. დაბნეულობიდან ვერ გამოვლინა ბესო გვასალიამ.

ალექსანდრი ნარსია

ნეტავი ისევ მოვიდოდეს თბილი ზამთარი, კიდევ ერთხელ გაკვალავდე თოვლს ოდიდან ქიშკრამდე, მორებით ხელში, მძიმედ დაიბერტყავდე ფეხებს კარებთან, კუდის ქიცინით შინ შემოგყვებს ჩვენი „ბათია“ და ძველ გაზეთში შეახვიო ნედლი თუთუნის შემდეგ ორივე მიეფიცხოთ გამთბარ კერიას, გვერდზე, ნისქვილი ნასალეზად გედოს საფეჭავი, მენისქვილესთვის - შებოლილი შაშხის ნაჭერი, უბეში „ზესკვის ჩილაშური“ - ბოთლი არაყი... მე ავირბენდე სახლის წინა მხარეს ფერდობზე და კვლავ ვტკბებოდე ჩვენი ბუხრიდან ამოსული კვამლის ყურებით, ვითვლიდე ციდან ჩამოშვებულ სოფლის „ჯარგვალებს“ და შაშხს აფრთხობდეს შორეული თოფის ჭახანი... ნეტავი, ისევ მოვიდოდეს თბილი ზამთარი,

ნეტავი ისევ, მამაჩემო...
თემურ ელიაშვილი
დრო შემოაკვდა, ჩემო ძმაო, ნიკო ფიროსმანს, ეპოქას უნდა უმეტრების ჩრდილი გავხადო, იმათი დედაც, (აბებს ვსვამ და კიდევ ვიყნოსავ) ვისაც კაპიკად არ უღირდა მისი ნახატი...
ხვდებოდნენ ხიდან კვირკველის, უბრად, უტიფრად და დასციროდნენ დაკერებულ შარვლის ტოტებზე, ხოდა იმათიც, თუმანი რომ აღარ უღირდათ ნალენჯიხელის მხიარული გავლა პროსპექტზე...
სანამ ბებერი მთავარ ოთახს ისევ მინათებს, რენტგენზე სანამ გაშუქდება ღვიძლი დაშლილი, არ შევიკავებ აქაც თავს და ერთი იმათიც, ვინც ძველ ჩოხაში ვეღარ იცნო რაზიკაშვილი...
მე ვწერ და ჟამმა გაარკვიოს სტილი და ჟანრი, არც თავმდაბლობა აღარა მაქვს ოდენ იოტის,

კიდევ იმათი, ტროტუარზე ვინც ნახა მთვრალი და სახლამდე არ მიაცილა გალაკტიონი...
ვუმტვრევთ დარაბებს ბრმა ეპოქას, ყეფენ ძაღლები, დღეს პოეზიის ამბიონზე სხვა მზე ანთია, ბოლოს იმათიც, ვინც სიმღერა, ძველი ვალები და გენიოსთა ამბობება არ გვაპატიო...

იყო ამინდები ბავშვობიდან დღემდე, არცთუ ისე მხიარული, შენამდე მოსვლა რომ შემძლებოდა, იმიტომ ვისწავლე სიარული...
სკივრი ცხოვრების რომ გადავხსენი, უფრო მეტი არის დანაკარგი, შენთვის სიყვარული რომ ამეხსნა, იმიტომ ვისწავლე ლაპარაკი...
ახლა გავლოთი და ეს ლექსებიც ღამის გასათევი დეკორია, ვცადე, მესწავლა და ვერ შევძელი, შენი დავიწყების თეორია...





ლევან მოხართალი

ჩემი განცდების ვაჟღერებ ჰანგებს, სტრიქონებს ვქარგავ ეშის ძაფებით, შემოქმედების ვნებიან ბაგეს კვლავ ვენაფები და ვენაფები.

გენში დაბორგავს მუზა-გრიგალი და აცამტვერებს ეჭვებს შხამიანს. ამ სულის ზღვაში მიზნის მზიდავი ქარიშხალია, ქარიშხალია!

გსტუმრით წაროს!

გინდათ, იხილოთ დამცირებული, შერცხვენილი და ღონემიხდილი თავად სიკვდილი? - ესტუმრეთ წაროს!

გინდათ, იხილოთ გმირთა სავანე დიადი, წმინდა

1 ნარო - თუშების ისტორიული სოფელი.

და სანუკვარი? - შეაღეთ ნაროს აკლდამის კარი.

გინდათ, იხილოთ თუშთმოდულეთ ხელი მურდალი, კვალი მურდალი, დღემდე რომ მყარობს? შუაგაკვეთილს შეხედეთ წაროს!

გსურთ, თვით სიკვდილზე დასცეთ ყიჟინა და უკვდავების შეეხობთ წაროს? - ძველ თუშთ სამყოფელს ესტუმრეთ წაროს!

ნუ გაშიშვლებ. ჯალოს!

ეს გული კლდეა სალი, გრძნობები - კლდიდან წყარო. კარგად შემკიდე თვალი, ნუ აჩქარდები, ქალო!

გულში დარდები გამიჩნდა, ღამე სიმშვიდეს მპარავს... არ მიყვარხარო, არ მითხრა, ნუ გამიმეტებ, ქალავ!

და თუ ოცნება ამიხდა, შეგიპყარ მაყვლისთვალავ, ნულარ ნახვალო, არ მითხრა, არ მიგატოვებ, ქალავ!

ხან გარდავს ხან პეკელას

ხან გადარებ ხან პეკელას, მის ფარფატს და თრთოლას, ხან ზღაპრული რამის გაჭრას,

ფაფარაშლით სრბოლას, ხან კამკამა წყალში ვარსკვლავთ ლივლივსა და ბრწყინვას, ხან მზის გულში მხურვალეობას, ხან ყუყუნა წვიმას, ხან უსაზღვრო ცისფერ ლაჟვარდს, ხან ცეცხლოვან აისს, ხან გაზაფხულს, მის სუნთქვაში აფეთქებულ მაისს, ხან ოცნების უცხო ფრინველს, ხან ვნებათა სიღრმეს, ხან ყმანვილურ აღმაფრენას, ხან უხუცეს სიბრძნეს... გცან სიცოცხლედე, თვით სიცოცხლედე, გცან სრულქმნილად, ერთად. არ შემცდარა, ვინც შეგრაცხა სიყვარული, ღმერთად!

ვწუხვარ კაცთა დუმოლს

ვწუხვარ კაცთა დუმოლს, მორჩილ გულთა თრთოლას. ვეტრფი ბრძოლის სურვილს, ქარიშხალთან ქროლას!

მძულს სიცოცხლე მშვიდი, მიყვარს ცეცხლის ალი, მოზიდული მშვილდი, შემართული ხმალი!

ვძრახავ ბერად შემდგარს, გულგრილობა მზარავს, ზესვლას ვეტრფი მედგარს, ზეცის გულის მზარავს.

მძულს ბანგი და რული, მძულს ხრწნა საზიზღარი. ნუმც დაცხრება სული, ნუმც ჩადგება ქარი!

ვინ თქვა დახრა თავის? - ჩამოვხმები ზეზე! სულს შთავებრავ ყვავილს უკვდავების ხეზე.

ვწუხვარ კაცთა დუმოლს, ლაჩარ გულთა თრთოლას, ვეტრფი გაჭრის სურვილს, ქარიშხალთა ქროლას!

მეჭირი

მაყვალა მიქელაძის მოთხრობის „წაროელი მეჭირ“ ნაკითხვის შემდეგ


რა საოცრება იყო იმ თუში ქალის სახე... თითქოს წოვათას ვიყავ, თითქოს იქ მეჭირ ვნახე.

გარდასულ ჟამთა ცეცხლი, სიხარული და სევდა, თითქოს მის სახლში ენთო, თითქოს მის გენში ძეგდა.

ვინ თქვა: „უკვალოდ ქრება თავგანწირვა და ცრემლი...“ - თუშთა ზნეობას ჭედდა ათასწლეულთა გრდემლი!

წინაპართ ნამყო შორი ბუმბერაზული, დიდი! - საუკუნეებს შორის გამოდებული ხიდი!

რა საოცრება იყო იმ თუში ქალის სახე... თითქოს წაროში ვიყავ, თითქოს იქ მეჭირ ვნახე.



მურთაზ ნაქუდაშვილი

მოდენეთ ჩემთან ვარსკვლავების მთელი ნახირი, მომგვარეთ მთვარე, წინაპრებზე ამბავი ვკითხო, საუკუნეთა ერთმანეთში გადაძახილით მომჩერებია წარსული და სამართალს ითხოვს.

ჩვენს დედამიწას ჯოჯოხეთში უწევს ტრიალი, გაუსაძლისი ტკივილები როდემდე ზიდოს. შენ მოგვახვიე ეს სიგიჟის ორომტრიალი, ადამიანო-ბოროტებავ, ხმელეთით ზღვითო.

რავიგვიანე

დავიგვიანე, ბანარაო და ალაზანი, გამახსენდებით, თქვენს ატეხილ დინებას ვხედავ. დავიგვიანე, ბატრიონო, ჩემო ალვანო, მოხუცო ქალო, წელში დარდით მოხრილო დედავ!

დავიგვიანე, სიჭაბუკე დავხარჯე სხვაგან, თუშო ასულო, მაგ ლეჩაქის სინმინდეს ვფიცავ! დავიგვიანე, ვიცი, ახლა შენთვის სულ სხვა ვარ, გვერდს ჩამიარე, ყრმობავ ჩემო და ველარ მიცან.

რამდენი წელი არ მენახეთ, სამშობლოს მთებო, საჯიხვებო, მინავ ჩემო, ვალში ვარ შენთან! ჩანჩქერო, კლდეზე გადმოშლილო, ქალღმერთის თმებო, ენით უთქმელო სილამაზევე,

დიდება შენდა! მუხლზე დაშვებით თავგანსა ვცემ წინაპრის სახელს ქართულ ვაზსა და საქართველოს ზღაპრულ განთიადს. ვუმღერებ მამულს, სანამ ვსუნთქავ და თვალებს ვახელ, სანამ ჩემი მზე საქართველოს ცაზე ანთია.

დასწოი თქლოაშვილის ჟუსხზე

ნუნუ ჩიხლაძეს

ავედევნები უხმოდ შენს ქუჩას, ნამით ვჩერდები ნაცნობ ჭადრებთან, თმებში ნიაფი ფათურობს ურჩად და ვდგავარ ასე დუმოლით ერთხანს. ვდგავარ და ვუსმენ იდუმალ ჩურჩულს, ტკბილ ძილისპირულს შრიალა ხეთა, მთვარე ღრუბლიდან გაუსხლტა ურჩხულს და ჩაიპარა მთებს იქით, ხევთან. გულდანყვეტილი ჩავიდა მთვარე, ცაზე ანთია ირმის ნაფრენი. იწვის ვარსკვლავი, სხივმოელვარე, ღამემ აუშვა შავი აფრები. ვემშვიდობები ჭადრებს უსიტყვოდ, მიმაცილებენ ჩუმი შრიალით. კვლავ შენი ბინის მიმყვება სითბო, ირგვლივ ღამეა თვალგომრიანი. ამ სახლში შევხვდი პირველ სიყვარულს ერთი პატარა მთიელი ბიჭი. აქ მოვყვებოდი სევდას, სიხარულს, არა მხლებია ოდნავი იჭვი. თვალს და ხელს შუა გაფრინდნენ დღენი, შენც გაგიტაცეს თითქოსდა სადღაც. და ვგავარ ხარლალს, მთებიდან დევნილს, გეძიო ვისთან, გეძიო სადღა.

ჩემს ერთგულ ძაღლს

ვიცი, დამხვდები ეზოსთან, იქვე, მოგეფერები, ტოტებზე შემდგარს. შემადლებინოს, უფალმა იქნებ, რომ ერთგულება ვისწავლოთ შენგან.

რეკრათ მიწავ. მე შენი მჯერა

ამ ქვეყნად მოველ სრული უფლებით, ერთი სიცოცხლე მიბოძა ზეცამ. ყოფნის, სიმღერის, თავისუფლების, ამ მიწა-წყალზე წილი მაქვს მეცა. დედაო მინავ, მე შენი მჯერა, ოცნების ტაძარს შენს მკერდზე ვაგებ, მეპატიება რიგით მომღერალს,

ხეს უკვდავების თუ ვერ მივავენ. მომავალს როგორ ვემახსოვრები, სიმღერას ხალხში თუ ვერ გავიტან. ვინრო ბილივი ჩემი ცხოვრების დიდ შარავზაზე თუ ვერ გავიდა. მეგზურად ახლავს ჩემს ფრთამალ მერცხლებს პირდაპირობა და თავმდაბლობა. ბევრი არა მსურს, ათასში ერთხელ თუ გამიხსენებს შთამომავლობა.

შემოღობება რაქოცხლის მთებში

ლეკური ნაბდით შემოდის ღამე, მიიწვევიან ნისლები ხევში. სუნთქვა შეეკრათ პირლია ხრამებს, კლდეთა მკლავებში მდინარე ხვნეშის. სადღაც ჩანჩქერთა ჩამოჰკრეს თარებს, მდუმარე ქედებს დუმოლი ეცვათ. მთამ მოიქნია ფერმკრთალი მთვარე და ლავაშვით გააკრა ზეცას.

მოზომილი მაქვს მინის ნაჭერი იყავ, იცხოვრე, ხანი და თესე და ხნული სწორედ თუ ვერ გავჭერი, დამეცარება მარჯვენა მთესველს. როგორც სხვა ყველა, დედამიწაზე, მეც ჩემი ხვედრი სიცოცხლით ვცხოვრობ. ჩემი ვარსკვლავიც ანთია ცაზე, გულის ხვაშიადს მას ვანდობ მხოლოდ, მან იცის მხოლოდ, მე რაც მომელის, ამ ქვეყნად ჩემი ხვედრი რაც არი, სად დამაროქებს ელვა რომელი, სად ჩაიშლება ძვლების ნაცარი.

სიტყვა

სიტყვა, გულიდან ამოვარდნილი განცდა, ამბოხი და გახელება. ძლიერი, როგორც შემოსულა დილის, როგორც ვულკანის ამოხველება.

სიტყვა მართალი, სიტყვა კაცური, სიტყვა, შემრიგე მოსისხლე მტერთა. ძმობა, ერთობა სიტყვით დაცული, საერთო მტერზე კვეთება ერთად.

თუ გაგიმრავლდა სიტყვის გამტეხი, თუ კაცურ სიტყვამ ფასი დაკარგა, ველარ გვიშველის ლოცვა გამჩენის, ვერ დაგვიფარავს უფლისა კალთა.

ისევ ქართული ერის შესახებ ანუ თანამოსის სინდრომი

ლიმიტრი შველიძე

ორი თვალსაზრისი

ჩვენი დაკვირვებისა და განხილვის საგანია ნაციონალიზმისა და ერის პრობლემები, რომელთა შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ორი ძირითადი პოზიცია არსებობს. პირველია ძველი და ტრადიციული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ქართველი ერი ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა.

ტრადიციული თვალსაზრისის უახლესი დასაბუთება ჩამოყალიბებულია დავით მუსხელიშვილის, გიორგი ჭეიშვილისა და ალექსანდრე დაუშვილის კოლექტიურ ნაშრომში: „ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე“. ნაშრომის შესაბამისი პარაგრაფის ავტორია დავით მუსხელიშვილი. მეცნიერის კალამს ეკუთვნის ჩვენთვის საინტერესო პირველი თავი, რომლის XI პარაგრაფის სათაურია „ქართველი ერის ჩამოყალიბება“.

ავტორის დასაბუთების მიხედვით, ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა მოხდა მეათე-მეთორმეტე საუკუნეებში. ქართველი ერის ფორმირების მანიფესტაცია ეკუთვნის X საუკუნის ქართველ აგიოგრაფ მწერალს, გიორგი მერჩულეს, რომელმაც ჩამოაყალიბა კარგად ცნობილი ფორმულა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულე-ბის“ (გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა. ნიგნი I. თბ., 1982. 279).

ამ ფორმულას განმარტავდა ნიკო ბერძენიშვილი: მერჩულესეული „ქართლი“ უკვე ქვეყნის რომელიმე ეთნიკურ-კულტურული ცნება კი აღარ იყო, არამედ „კულტურულ-პოლიტიკური“. დ. მუსხელიშვილი ხაზგასმით დაასკვნის, რომ უნდა „ქართველი ერი ამ დროისათვის საკვებით ჩამოყალიბებულად ვიგულისხმობთ, ხოლო გიორგი მერჩულეს „ფორმულა“ ამ მოვლენის მანიფესტაციად ვცნობთ (დავით მუსხელიშვილი, გიორგი ჭეიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებანი უხსოვარი დროიდან დღემდე. „უნივერსალი“, 2016, გვ. 45).

ცოტა ქვემოთ მეცნიერი უფრო ამყარებს პოზიციას და განმარტავს: „ქართველი ერი, რომლის ჩამოყალიბების მანიფესტაცია მოხდა 951 წელს გიორგი მერჩულეს მიერ, XI-XII საუკუნეების განათლებული ქართველი საზოგადოებისათვის არის არა მხოლოდ სისხლისმიერი ნათესაობით შეკავშირებული კოლექტივი, არამედ სრულიად გამოკვეთილი ეთნოსოციალური ერთობა მისთვის დამახასიათებელი კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქიკური ნიშნებით, განსაზღვრული გარკვეული ტერიტორიაზე, რომელზედაც ვრცელდება მისი სახელმწიფოებრივი უფლება. ეს არის „საქართველო“ (დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 46).

ამ ცნობილ თეზისს, თვალსაზრისს, მეტ-ნაკლები ან მცირედენი განსხვავებებით, მაგრამ პრინციპული ანალოგიურობით, მრავალი ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერი თუ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე აღიარებდა ადრეც და აღიარებს დღესაც. ჩვენც არაერთხელ გამოგვიქვამს მსგავსი თვალსაზრისი. ავტორებს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ზოგიერთი მათგანი ქართველი ერის ფორმირებას უფრო საუკუნეების სიღრმეში აფიქსირებს, ან არა უგვიანეს XII საუკუნისა.

თუ არ ჩავთვლით ცნობილ მარქსისტულ-საბჭოურ პოზიციას, რომელიც ამჟამად არ გვანტერესებს, უკანასკნელ ათწლეულებში, ტრადიციულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულ თვალსაზრისს, გამოუჩნდა ოპონენტური პოზიცია. ახალი თვალსაზრისის მიხედვით, ქართველი ერის ჩამოყალიბება XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და მის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ილია ჭავჭავაძემ და სამოციანელებ-

მა. ახალი თვალსაზრისის გამომხატველნი, ვუნდოლოთ მათ პირობითად და ტექნიკური მოხმარების მიზნით, მოდერნული სკოლა, თავიანთ იდეურ წყაროს იღებენ ერნესტ გელნერის, ბენედიქტ ანდერსონის, ენტონი სმიტისა და სხვა დასავლელი ავტორების კონცეფციებიდან.

მოდერნული პოზიცია ყველაზე მასშტაბურად დასაბუთდა 2007 წლის 26-27 ნოემბერს, როცა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ილიასადმი მიძღვნილი კონფერენცია. მომხსენებელთა პოზიციები თითქმის იდენტური იყო და იზიარებდა ზემოაღნიშნულ დასავლელ ავტორთა მოდერნულ მიდგომებს. შედეგები რვავე მომხსენებლის პოზიციას.

გიგა თევზაძე განიხილა ზემოხსენებული სამეულებს კონცეფციებს და სვამს შეკითხვას, როდის უნდა მომხდარიყო „ქართული დიდი იდენტობის“ ანუ ერის წარმოშობა და პასუხობს: „ჩვენ შეიძლება საკმაოდ მაღალი ხარისხის ისტორიული სიზუსტით ვთქვათ, როდის დაიწყო დიდ იდენტობად ქცევა იმ იდეოლოგიის, რომელიც საკმაოდ განვითარებული იყო ქართულ ელიტაში. მე ვფიქრობ, რომ ამ იდენტობის გაჩენის დასაწყისი ისტორიულ რუკაზე უნდა მოვხაზოთ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში – პირველი ქართული გაზეთების გამოცემის პერიოდში. ხოლო იდეოლოგიის იდენტობად გარდაქმნა პირდაპირ უნდა დაეუკავშიროთ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას და მის გააქტიურებას. ამდენად, წერა-კითხვის საზოგადოება მართლაც იყო „ქართველი ერის სკოლა, ოღონდ არა იმ აზრით, რომ ქართველი ერის უმრავლესობა სწავლობდა მასში, არამედ იმ აზრით, რომ ამ სკოლიდან გამოვიდა ქართველი ერი, ანუ ქართველი ერი დაიბადა და აღიზარდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ (ქართველი ერის დაბადება, ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები, 26-27 ნოემბერი, 2007, თბ., 2009, გვ. 21-22).

მაშინ, როცა გ. თევზაძე ინდიფერენტობას იჩენს გიორგი მერჩულეს ფორმულის მიმართ, სერგო რატიანი უფრო უღრმავდებდა საკითხს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც გამოიჩინა შუა საუკუნეების ეპოქაში ეროვნული იდენტობის შესაძლებლობას. ის აღნიშნავს, რომ „ერის დაბადება სეკულარიზაციის შედეგია“. სერგო რატიანი ქართველი ერის დაბადებას პირდაპირ უკავშირებს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას. მეტიც, თავისი მოხსენება-სტატიის ერთ-ერთ ეპიზოდს ასე ასათაურებს: „ილია ჭავჭავაძე და ერის დაბადება“. ს. რატიანის დასკვნითი თეზისი ისაა, რომ ქართველი ერი დაიბადა მხოლოდ სეკულარიზაციის პირობებში. ამ თეზისს გამოცდა ელის, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალ დროში ს. რატიანი საუბრობს „თანამედროვე ერზე“.

ოლივერ რაისნერის მოხსენება-ნაშრომიც ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა-დამსახურების გააზრებას ეძღვნება. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ეროვნება ილიასა და მისი გუნდისთვის არ იყო გამოწვევა და მათი აქტივობით უნდა „ეთნიკური ერთობა ნაციად გადაეზარებინათ“. ამ შემთხვევაში ავტორი საუბრობს „ეთნიკური ერთობის“ შესახებ და არ ეხება საქართველოს ისტორიის ძველ პერიოდს ან ქართველი ერის არსებობის საკითხს (ოლივერ რაისნერი, ორი სამყაროს მგზავრი, თერგდალეულთა იდენტობის კონფლიქტი და ეროვნული ცნობიერება, კრებული: ქართველი ერის დაბადება, გვ. 63).

გიორგი ანჩაბაძე დასავლური კონცეფციების გვერდის ავლით, ჯერ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს აღწერს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ეტაპების მიხედვით. ის განმარტავს და ეს გასათვალისწინებელია, რომ ეთნოსმა საუკუნეების განმავლობაში სამი ძირითადი სტადია გაიარა: ტომი, ეროვნება და ერი. ეს სქემა მარტივი და ნათლად წარმოსადგენია და არ ქმნის იმის საჭიროებას, რომ ხელოვნურად გამოგონებული არამდგრადი ტერმინების ჯუფელში აბორიჯინალს მკვლევარს და

მკითხველიც. გ. ანჩაბაძე ასევე ცხადად და ისტორიოგრაფიულ ტრადიციაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ დაახლოებით VIII-X საუკუნეებში მოხდა „ერთიანი ქართული ფეოდალური ეროვნების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ადრეული იბერიული ეროვნების ბაზაზე დაიწყო და შემდგომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდა“. ხოლო სულ ბოლოს კი განხორციელდა ეთნოსის მესამე სტადია, როცა ქართველი ხალხი „საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობების გამარჯვების შემდეგ ქართულ ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბდა“ (გიორგი ანჩაბაძე, ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების ძირითადი ეტაპები... გვ. 87). გამოდის, რომ არც გ. ანჩაბაძე იზიარებს ქართველი ერის ფორმირების შესაძლებლობას შუა საუკუნეების ეპოქაში.

მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის გავიზიაროთ ერის ფეოდალური თუ ბურჟუაზიული ტერმინებით კვალიფიკაცია. მთავარია, რომ ერი სხვადასხვა ეპოქებში ისტორიული განვითარების სხვადასხვა სტადიებს გადიოდა. ეს პრინციპია გასათვალისწინებელი, რასაც სხვა, და განსაკუთრებით ზემოაღნიშნულ ავტორებთან, ვერ ვხედავთ.

ზემოხსენებული კონფერენციის მორიგი ავტორ-მომხსენებელი **დავით აფრასიძე** გვათავაზობს ერის, ქართველი ერის ე. წ. კონსტრუქტივისტული და მოდერნისტული თეორიის მიხედვით განხილვას. თავისი სქემის ჩამოყალიბებას, ავტორი ლამის შოკისმომგვრელი ექსპერიმენტით იწყებს: „საკითხის ამგვარი დაყენება რამდენიმე დამკვიდრებას ეყრდნობა: 1. ერი არის პოლიტიკური ერთობა, რომლის სრულფასოვანი კონსტრუირება მხოლოდ სახელმწიფოს კონტექსტში შესაძლებელია; 2. შესაბამისად, ვიდრე არ დასრულდება საქართველოს სახელმწიფოს ფორმირების პროცესი, არ დაბადებულა ქართველი ერიც. ეს პროცესი კი სწორედ ახლა მიმდინარეობს“.

ავტორის უდავო პოზიტივად მიგვაჩნია, რომ იგი ერისათვის აუცილებელ შემადგენელ თვისს პოლიტიკური კომპონენტს და მიაჩნია, რომ ერი, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკური ერთობა. მაგრამ გადაჭარბებული გვეგონია, რომ პოლიტიკური ერის კონსტრუირების პროცესის დასრულება დამოკიდებული იყოს – კონფლიქტური კერების არსებობაზე, ანუ სახელმწიფო და პოლიტიკური ერთობა – ერი ვერ შედგება, მისი ქმნადობის პროცესი ვერ დასრულდება, სანამ კონფლიქტური კერები იარსებებს. „თუ დავეყრდნობით, ერთი მხრივ, დაშვებას სახელმწიფოსა და ერის ფორმირების პროცესების განუზღვრელობის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, გავითვალისწინებთ ორი კონფლიქტური კერის არსებობის ფაქტს, ნათელია, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია სა-ქართველოსა და ქართველი ერის საბოლოო კონსტრუირება საუბარი“ (დავით აფრასიძე, გვ. 101). შეიძლება ვთქვათ, რომ უღმობელო განაჩენია.

გიგა ზედანიას ყურადღება ილია ჭავჭავაძისა და მისი იდეოლოგიური აქტივობისკენა მიპყრობილი და ჩანს, რომ იგი თავისთავად გამოირიცხებს ქართველი ერის წარმოქმნის რომელიმე სხვა დროის შესაძლებლობას, ვიდრე XIX საუკუნის მეორე ნახევარია. ავტორი ერის წარმოშობა-ჩამოყალიბების პრობლემას არ ეხება. იგი უფრო ეროვნული იდენტობის მომავალი ფორმის და საჭიროების საკითხით ინტერესდება. ის, რასაც ფილოსოფოსი დაასკვნის, უფრო ქვემოთ ნამოჭრელი პრობლემის განხილვისას დაგვჭირდება.

სხვა მხრივ, რიგ შემთხვევაში, გ. ზედანია თითქმის თავს არიდებს მოვლენების კატეგორიულ განმარტებას ან განსაზღვრებას. რა არის ინდივიდუალური იდენტობა? ის განისაზღვრება კოლექტივის „ინტერაქციულსა და კომუნიკაციურ პროცესებში მონაწილეობით“.

მაგრამ თვით კოლექტიური იდენტობა რაღაა? ფილოსოფოსის განმარტება შემდეგია: „კოლექტიური იდენტობები მხოლოდ ინდივიდში არსებობს. ვერ ვხედავ ვერანაირ აუცილებლობას ვერც კოლექტიური იდენტობის და ვერც სხვა ცნებების ჰიპოტეზირებისათვის“ (გ. ზედანია, გვ. 113). სულ ეს არის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ავტორი-ფილოსოფოსი ერთგვარად დაბნეულია და უფრო კითხვებს სვამს, ვიდრე

პასუხობს. გიგა ზედანია კითხვებითვე ამ-თავრებს თავის ნაშრომს:

„უნდა ილევანონ თუ არა მათ (ავტორი ქართველ ინტელექტუალებს გულისხმობს – დ. შ.) ნაციონალური ფორმის დასამკვიდრებლად მაშინ, როდესაც პოსტნაციონალური იმპაგინაცია – როგორც რაღაც უცნობი და იმედისმოძველი – უფრო მიმზიდველი ჩანს? უნდა მიიღონ თუ არა მათ მონაწილეობა „ტრადიციების გამოგონებაში“, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი იქნება მათი „გამოგონებულობისა“ და „ფიქტიურობის“ დაგინყება? უნდა აქციონ თუ არა დისკურსი, რომლის შეზღუდვებიც უკვე ცხადზე უცხადესია თავისთავად?“.

ამ კითხვებით დაეასრულებო, დაასკვნის ავტორი და ქართველ ინტელექტუალებს აკისრებს მათზე პასუხების გაცემას, მაგრამ თვითონაც ხომ განეკუთვნება ამ წრეს და რადგან არ პასუხობს, ცხადია, საქმე გვაქვს გარკვეულ დაბნეულობასთან ან ერებისა და ნაციონალიზმის ნაადრევ გამოტირებასთან.

გია ნოდია თითქმის ერთადერთი ავტორ-მომხსენებელია, რომელიც ერის წარმოშობის საკითხში ტრადიციულ ისტორიოგრაფიულ ვერსიას თითქმის აღიარებს, მაგრამ აღიარება ნინაალმდებობრივია და არა კატეგორიული. ერთგან წერს, რომ „საქართველო ერთ-ერთია მრავალ დაგვიანებულ ერთაგან“. მეორეგან წერს: „მაგრამ თუ მართლაც არსებობდნენ „ერები ნაციონალიზმამდე“, მაშინ საქართველო ნამდვილად ერთ-ერთი მათგანი იყო“.

ამას მოსდევს წინარე ავტორთაგან რადიკალურად განსხვავებული თეზისი: „ერებზე მეცხრამეტე საუკუნის დისკუსიების ენა რომ გამოვიყენოთ, თანამედროვე ქართველი ერი იმთავითვე ჩაისახა როგორც ისტორიული ერი, – რაც ნიშნავს, რომ მას შეეძლო აპელირება სახელმწიფოებრიობისა და სამწერლობო ენის ხანგრძლივ ტრადიციაზე, ასევე ავტოკეფალიურ ეკლესიაზე, რომელიც ამ ენას იყენებდა“ (გ. ნოდია, გვ. 119).

ერთი სიტყვით, გია ნოდია თავის ილია-უნელი თანამოკალმეებისაგან განსხვავებით, აღიარებს „პრემოდერნულ ქართულ ეროვნულობას“ და ეს გარემოება, ჩვენი აზრით, მის პოზიციას ამყარებს.

გარდა ამისა, გ. ნოდია არც ერების მომავლის ხედვაში ამჟღავნებს სრულ თანხედრას, ზემოაღნიშნული ავტორების გუნდთან, თუმცა ამ შემთხვევაშიც – თავშეკავებულად და აქაც ნინაალმდებობრივად. ერთგან ის იზიარებს გავრცელებულ აზრს, რომ ევროპაში ნაციონალიზმების დრო წაყვდა და მას მულტიკულტურალიზმი ანაცვლევს, ხოლო ერის იდეა, რომელსაც საქართველოში ასე სჯერათ, „დასავლეთში უკვე მკვდარია“.

მაგრამ ავტორს ესეც არ სჯერა და გიგა ზედანიასავითა დაეჭვებული, ჯერ კითხულობს, „მაგრამ ვითომ ასეა?“, ხოლო შემდეგ წერს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესახებ: „ძალიან უხეში გაზვიადება იქნება იმის თქმა, რომ მათი ნაციონალიზმები მკვდარია. პირიქით – მათი გაძლიერების ტენდენციაზე შეიძლება ვისაუბროთ“.


ბოლო ავტორ-მომხსენებელი **დავით დარჩიაშვილია**. მისი აზრით, „ზუსტ დროს, თუ როდის ჩამოყალიბდა ესა თუ ის ერი, ვერ დავადგენთ“. ის ერების ჩამოყალიბების მოდერნულ ეპოქით ლოკალიზაციის მომხრეა. მაგრამ ავტორი არ გამოიჩინა, რომ ერის გარკვეული ნიშნები ძველ საუკუნეებში არსებობდა და ფიქსირდებოდა წერილობით ტექსტებში.

საერთოდ კი, დავით დარჩიაშვილი უფრო დასავლელ მეცნიერთა თეორიული ნააზრების რეზიუმირებული გადმოცემით კმაყოფილდება. მაგ., გელნერის აზრით, „პრემოდერნული ინსტიტუტები თუ კულტურა, ამ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანია. გელნერის განმარტებით, ნაციონალისტური იდეოლოგია ქმნის ნაციებს და არა პირიქით“. გამოკვეთილად არ ჩანს და დარჩიაშვილის პოზიცია, იზიარებს თუ არა, ჩვენის აზრით, გელნერის და არა მარტო მის ამ ფრიად საეჭვო ფორმულირებას. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ სტატიის ავტორისთვის „ჩვენი წარსულის და აწმყოს გასაზრებლად კონსტრუქტივიზმი და ეთნოსიმბოლიზმი საუკეთესო გზამკვლევეს წარმოადგენს“ (დავით დარჩიაშვილი, გვ. 154).

►► **ბაზრძელება იქნება**

ბორა ქუჭუხიძე

ვინ იყო კლდე-კანელი?



საქართველოს ეროვნული არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდში გვხვდება საქალაქო, რომელიც გაზეთ „თეატრი“ დასაბუქდად მიმზადებული მასალებია დაცული (480-1-718; 1886 წ.). აქ ინახება ხელნაწერები და ანუბოლი ტექსტები, რომელთა გამოქვეყნებისათვის ნებართვა არ არის გაცემული. საქალაქო იმეტი მასალებიცაა, რომლებიც ფსევდონიმებით არის დაბეჭდილი და ფურცლებზე ხელითაა მინერილი, თუ ვის ეკუთვნის ფსევდონიმი. რადგან კომიტეტისთვის მასალის წარდგენისას

რედაქციებს ავტორის ვინაობის დასახელება მოეთხოვებოდათ, ჩანს, რედაქციას მიუწერია ეს გვარები.

ამჯერად ყურადღებას გვაქვს ლექსებზე, რომლებიც კლდე-კანელის ფსევდონიმით არის დაწერილი; ფსევდონიმის ქვემოთ შავი მელნით მიუწერიათ გვარი – ფალავანდიშვილი (გაკრული ხელით თითქოს „ფალავანდიშვილი“ წერია, მაგრამ ეს ან უყურადღებობის / ვიტყვებ, რედაქტორის მიერ ნაკარნახევის არასწორად ჩანერის / შედეგი იქნება, ან კალიგრაფიის თავისებურებით, ან რაიმე მსგავსი მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული; შესაძლოა, ისეთი გაკრული ხელით ეწერა რომელსაღმეფურ ფალავანდიშვილი, რომ არარსებული გვარი – ფალავანდიშვილი ამოიკითხეს მასზე, რომ „დ“ და „ი“ გადაბმული იყო, დ-ს პირი გახსნილი ჰქონდა / „ლ“-ს ჰგავდა / და ამ ფაქტმა შექმნა შეცდომის საფუძველი).

ტექსტი, ეტყობა, ძველი ხელნაწერიდანაა აწყობილი, – გადაბეჭდვა გაძნელება ამწყობს, ისიც საფიქრებელი ხდება, რომ ისეთი არავინ (არც ავტორი და არც – ვინმე სხვა) ჰყავდა გვერდით, ვინც სიტყვებს სწორად წაუკითხავდა და ტექსტის ამა თუ იმ ადგილის აზრს კარგად გააგებინებდა (შეცდომა იმდენია, რომ დადგენა დასჭირდა დაბეჭდილი ტექსტს და მის დასაბეჭდად კვლავაც იქნება მუშაობა საჭირო).

კლდე-კანელის ერთ-ერთი ლექსის დასაწყისი თითქმის ზუსტად ემთხვევა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის („გოგე ტაძარი“) სიტყვებს:

გოგე ტაძარი... გოგე¹ ტაძარი, შესაფარი, უდაბნოს მდგარი,² მაგრამ მის ჭკრეტამ ამიტება გულის ზარზარი: მუნ არ ლუგოდა ტბილ ამოფსკვნით დავითის ქნარი, არც სპეტაკ ფრთითა მოფარფატი³ ანგელოზთ ზარი!..

ურწმუნო კლანჭით აღმოფხვნილა ხატთა შუქ-ფენა, აღმოფხვნილა და წარწყმედილა ღვთიური⁴ ღვინა ზართა მალაღა... უანგ⁵ ნაკრულა ბარძიმის ბრჭყვენა და გულს განგმირავს ლოდთ წარწერი⁶ ობოლი ენა!..

მგესლავთა უხამსთ,⁷ შემზარველთა, უცენიათ ბინად, უცენიათ პატრონ-დაკარგული და უქმი თვისად, და მოგონებაც ძარღვი უფლის მუნ მიმტყდარს ყინვად,⁸ რომ ამის დახსნა უფლისა ძეთ დაუჯდეთ⁹ ძვირად!..

დაუჯდათ ძვირად?.. რაო მერე, თავი წააგეს? მაგრამ დიდება უკვდავი მით აღიმცენარეს!¹⁰ ჩასძახე ირგვლივ¹¹ სევდით მოცულს მწუხრ არე-მარეს და თავს გაცნობებს მათთა სულთა როგორც მონამეს...

შობის ვარსკვლავმან, წინ მავალმან ჩემმან, საფარი აქ ამიჩინა?.. დამამკვიდრა მწირად ასარი?¹² თუ ვანთხევე ცრემლთა ლოდთა ზედან, ვით ღირსი არი, თორე სიამე – საგულისი შეიქმნა მკვდარი!..

და რას ვეძიებ? რას ვაქნევ¹³ აქ, სქელ და¹⁴ მკვდარ ბნელში? ნუთუ¹⁵ სიცოცხლე ცოცხლობს ჩემი ამ მკვდარ კედლებში, სად ცოცხლად ვარ ჩამარხული, ვით სამარეში?¹⁶ ვერა... ვერ ვიპოვე მიზანი მე მკვდარ სიცოცხლეში!..

მეორე ლექსი ვნახით კლდე-კანელისა:

ღმრთის-შობელს
აღსავე გლოვით, ცრემლთა თოვით მჭვრეტ თვალთ ჩინოვით,¹⁷ ჰოი, უბინოვ,¹⁸ დედა-ღმრთისაჲ¹⁹ ტკბილი ძის ჯვარცმით!²⁰ ამ²¹ სულს უმანკოს და ღრმას შენსას მხედვრის²² მიოხრვით²³ აღენთო ნაზი სიბრალული სიხე-მეფენი მადლით?

არისლა მხედვრი შენი სულდგმულ?²⁴ შავთა დროთ ღმრთელამ შემუსრა იგი და შესვარა²⁵ ცრემლთა მოფონვამ! და რა შესძინა მას ძლიერი მშვენიებით შობამ, თუ ასე მწარეთ დასცა მეხი მომაკვდაობამ?

განა ეს არის თეთრი დღე და წუთის ცხოვრება და მათთა შვებათ ჭირთა ზეავით დაბოლოება? რას შეიცავს²⁶ ან ჩემისათვის?!²⁷ რა არის შვება, არა თუ ოლონდ თვალთ მაცდური ამაოება?

ჰოი, უბინოვ, უკეთ²⁸ უწყი მწირს თვისი თავი, რაღად²⁹ უნდ მარნდეს, სად შენს კრულ მხედრს იგუდავს მწვაი³⁰

და მადლმა შენმა ვერ მოაძრო მას ბედი შავი, ოდეს ვემაპებრ შესაყლაბად უქმენდა სვაი?..

არ აღვირეცხო შენზე ტკბილი, ღრმა სასოება?.. უკულმა წავა ხომ ან ჩემი იქ წარმოება, სად ყველაფერი³¹ არის ოლონდ³² ამაოება, სად, რაცა ჩნდება, შავ-ბნელ ბედქვე³³ ყვავილებრ სჭკნება?³⁴

დასჭკნა ყვავილი ჩემი გულის, რა აღვირინე, თავი და შხამი ცხოვრებისა ყრმის ნდობით ვიცნე. ან რას ველდე³⁵ მე?.. რასლა³⁶ მომცხებეს უტყვი სიმხნე, ოდეს მხედვრს,³⁷ ჰოი, დედაო ღმრთის, შენც ვერ ელხინე?³⁸

დამშთა ფილით სიმწუხრისა ბოლომდინ დასმა...³⁹ შემრისხა ბედმან და მიტია ანგელოსთ დასმა;⁴⁰ ვაჰ, ნეტარების მხარეც სასო-წარტყვევინს⁴¹ ბასრმა მოსრა რწმენისთვის და ურწმუნოდ მქნა ხვედრმა⁴² შავმა!

ინტონაცია, ლექსიცა, ავტორის სულიერი განწყობა ძალიან ახლოსაა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებთან (კლდე-კანელი: – „განა ეს არის თეთრი დღე და წუთის ცხოვრება / და მათთა შვებათ ჭირთა ზეავით დაბოლოება?“, ბარათაშვილი: – „ამას უქადდი ჩემი ცხოვრებას ყმანვილ-კაცობას?“, კლდე-კანელი: – „რა არის შვება, / არა თუ ოლონდ თვალთ მაცდური ამაოება?“, ბარათაშვილი: – „მიხეც რა არის ჩემნი ყოფა, წუთისოფელი, / თუ არა ოდენ სანყაული აღუვსებელი“... კლდე-კანელი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ლექსში ცოდივლად მიიჩნევს თავს, ბარათაშვილი „ძე შეცდომილად“ მოჩანს ლექსში – „ჩემი ლოცვა“; უნუგეშობას ჩივის „სული ობოლის“ ავტორი და უნუგეშობაა თენილი იმ ლექსების დამწერიც, კლდე-კანელი რომ აურჩევია ფსევდონიმად; „შავი ბედი“ ანამებს კლდე-კანელს („და მადლმა შენმა ვერ მოაძრო მას ბედი შავი“) და ზუსტად ამ სიტყვებს ახსენებს ბარათაშვილი, როცა „მერანს“ წერს: – „მას პუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს“; სიტყვიერი პარალელი და სულისკვეთებათა სიახლოვე სხვაც ბევრია, ერთი სულიდან მომავალს ჰგავს ბარათაშვილის და კლდე-კანელის ხელმოწერილი ლექსები... ვინ არის ფალავანდიშვილი, რომლის სახელით კომიტეტში ჩაბარებული ლექსები ასე ჰგავს ბარათაშვილისას?

ვფიქრობ, ლიტერატურულ ცხოვრებასთან ახლოს მყოფი ფალავანდიშვილი ეს იგივე ნიკოლოზ ფალავანდიშვილი უნდა იყოს, – ძმა იესე ფალავანდიშვილისა. ნიკოლოზ ფალავანდიშვილი 1832-1837 წლებში ტფილისის გუბერნატორის იყო, იგი თავისი ბიბლიოფილით, – ნიგნებისა და ხელნაწერების შემგროვებლობით გახლდათ ცნობილი... რადგან ბარათაშვილის ეპიგონი პოეტი, გვარად ფალავანდიშვილი, ცნობილი არ არის, იბადება კითხვა, – მართლა ვინმე ფალავანდიშვილის მიერაა დაწერილი ეს ლექსები, თუ ხელნაწერთა შემგროვებლისა და ბიბლიოფილის – ნიკოლოზ ფალავანდიშვილის კოლეგი ციდიდან მოხვდა გაზეთის რედაქციის ხელში და შეცდომით ფალავანდიშვილისად მიიჩნევს ისინი? ან იქნებ რედაქციამ ავტორის ნაცვლად რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გამო იმისი გვარი მიანერეს საცენზურო კომიტეტში გასაგზავნ ტექსტს, ვის კოლეგიაშიც ინახებოდა ხელნაწერები? „თეატრის“ რედაქტორები იყვნენ: ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია... აქ იბეჭდებოდა: აკაკის, ვეჟა-ფშაველას, ყაზბეგის და სხვათა ნაწარმოებები, შეგვიძლია დავუშვათ მოსაზრება, რომ ნიკოლოზ ფალავანდიშვილის კოლეგიადან რედაქციის რომელსაღმე თანამშრომელთან, ან რედაქციასთან დაახლოებულ პირთან, მოხვდა ლექსები და სწორედ ამ მიზეზმა გამოიწვია, გვარი – ფალავანდიშვილი რომ გაჩნდა ფურცლებზე; საერთოდ, სჯეროდათ რედაქციამ, რომ ამ გვარის მქონე ადამიანის – ფალავანდიშვილის დაწერილია ეს ორი ლექსი? შესაძლოა, ნამდვილი ავტორის სახელი იმის გამო არ დაწერეს, რომ არ უწყოდნენ მისი ვინაობა, ან იქნებ იცოდნენ, მაგრამ მიანერეს, რომ ვინმე დაუბრუნებდას გამოიწვევდა ამ ავტორის ხსენება, რადგან ბევრ მის სტრიქონს და, საერთოდ, მოღვაწეობას,

შენიშვნები:
1. ლექსის დასაწყისში ბრჭყალის გახსნის ნიშანი დასმული; 2. ტექსტში – „უდაბნოს მდგარია“; ანუბოლისას სხვა კორექტურული შეცდომაცაა დაშვებული, – სიტყვაში – „უდაბნოს“, ქართული ო ასოს ნაცვლად, ლათინური, თუ რუსული, ო არის დაბეჭდილი (ქვემოთ, შენიშვნებში, ბრჭყალებში ის სიტყვები იქნება მოთავსებული, რომლებიც კომიტეტში შენახულ ტექსტში გვხვდება); 3. დაბეჭდილია – „მოფარფალე“, რაც მოფრიალეს უნდა ნიშნავდეს... 4. „მღვთიური“; 5. „ჯანგ“; 6. იგულისხმება ქვის ფილები, რომლებზეც მოსე წინასწარმეტყველმა ღვთის მცნებები დაწერა; 7. „უხავსთ“; 8. „ყინვრად“; 9. „დაუჯდათ“; 10. „აღიმცენარედ“; 11. „ირგვრვოვ“; 12. „ეს არი?“, ჩანს, ასარი იქნებოდა ხელნაწერში; ეს სიტყვა ზოგადად ფულის ყველაზე მცირე ერთეულის მნიშვნელობით იხსენიება ხოლმე; გვხვდება სახარებაში (ლ. 12: 6); ლექსში სულიერად დამცრობილი ადამიანის მეტაფორადაა ნახმარი; 13. „ვიქნევ“; 14. „სქელდა“; 15. „ნუთუ“; 16. „სამინები“; თეორიულად არაა გამორიცხული, განდევნილი ბერივით სავანეში ცოცხლად ჩამარხვას გულისხმობდეს ავტორი და იქნებ ტექსტში უნდა დადგინდეს ლექსემა – სავანეში; 17. „ჩანოვით“; ჩინოვი (თვალთა ჩინოვი), ეტყობა, პოეტის ნეოლოგიზმია და მხერას, თვალთა ნათლის ჩენას ნიშნავს; 18. შესაძლოა, აქ უნდა დადგინდეს ლექსემა – უბინოვ, მაგრამ, რადგან ეს სიტყვა ქვემოთ, მეოთხე სტროფშიც არის ნახსენები და ამ სტროფში კი იესოს შობაზე წერს პოეტი, ვფიქრობ, კორექტურული შეცდომა არაა ამ შემთხვევაში და იხსენიება ერთად ბეთლემში ბინის გარეშე დარჩენილი და თავშესაფრის მძებნილი ღვთისმშობელი იგულისხმება (თუ კიდევ რატომ შეიძლება, უბინო ეწოდოს ღვთისმშობელს, ამის შეს. 20. მე-20 შენიშვნა); 19. „დედა-ღმრთისაჲ“; 20. „ჯვარც ცმით?“, გარდა იმისა, რომ სიტყვა ორ ნაწილად არის გაყოფილი, ტაეპის ბოლოს კითხვის ნიშანი დაბეჭდილი; ხელნაწერში ალბათ ძახილის ნიშანი ეწერა გაკრული ხელით (ოდნავ მოხრილი შვეული ხაზი და ქვემოთ – ნერტილი) და იგი კითხვის ნიშნად ამოიკითხა ტექსტის ამწყობმა; არადა, სწორედ ძახილის ნიშნის დაწერაა ამ მართებული: – უბინო იმის გამოც შეიძლება ეწოდოს, რომ იესოს ჯვარცმის შედეგად (მისი ჯვარცმით!) ისევ მარტოდ, უოჯახოდ, უბინოდ დარჩა ღვთისმშობელი, – იგი, ვინც მერე იოანე მახარებელმა წაიყვანა შინ; ცხადია, ისიც იგულისხმება, რომ უპირველესად ადამიანთა გულში უნდა ჰქონდეს დედა ღვთისას ბინა; 21. „ან სულს“; 22. შესაძლოა, ტექსტი ასე უნდა დადგინდეს: – შენის მხედვრის (ე. ი. შენი მამყურებლის); 23. „მიოვოხრვით“; ან განადგურება (მიოხრვა), ან ოხვრა უნდა იგულისხმებოდეს აქ; იქნება შთაბეჭდილება, რომ ხატის წინ მდგარი პოეტი ხატის-

განსაკუთრებით – სიჭაბუკისდროინდელს, ცოტა ეჭვით უყუ-რებდნენ ხელისუფლებაში და გამოსავალი იმაში იპოვეს, რომ ხელნაწერის მფლობელი კოლეციონერის გვარი მიანერეს კლდე-კანელის ქვემოთ? (სახელმწიფოს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება კლდე-კანელის ერთ-ერთ ლექსშიც არის გამოხატული), გუბერნატორის გვარის მინერას, შესაძლოა, გააადვილებინა ლექსების დაბეჭდვა; იქნებ ასე ცდილობდნენ ავტორის გვარის დასახელებისგან თავის არიდებას? – იმედოვნებდნენ, რომ ფალავანდიშვილის დასახელება დააკ-მაყოფილებდა კომიტეტს და მეტის ძიებას არ შეუდგებოდა (და თუ მაინც ჩაეძიებოდნენ ცენზორები, თავს ისე მოაჩვენებდნენ, ვითომ ეგონათ, რომ კოლეციონერის დასახელებაც საკმარისი იყო და, იქნებ ამასაც ურიდებოდნენ, მაგრამ, თუ საჭირო შეიქმნებოდა, გააგებინებდნენ, ყოფილი გუბერნატორის კოლეგიად რომ არის ლექსები...); ან, შესაძლოა, ლექსების ნახვამ თავადაც საგონებელში ჩააგდო რედაქცია და მათი დაბეჭდვით ავტორის ვინაობის შესახებ მსჯელობის ნაშრომებსა აპირებდნენ (ამ ეცნობი პოეტი – ფალავანდიშვილის ხსენება აუცილებლად გამოიწვევდა დისკუსიას); უფრო მგონია, რომ არ იცოდნენ, ვინ იყო ავტორი, – რომ სცოდნოდან, ადრე თუ გვიან ამ ლექსებთან ერთად ოდესმე სადმე გაიფურება მისი სახელი (ისიც საეჭვოა, სახელმწიფოს მიმართ სიფრთხილის გამოჩენის გამო დავაღაღათ იმისი ვინაობა, ვინც იმ დროს უკვე დიდ პოეტად იყო აღიარებული და ვის დასახელებასაც ქვემოთ ვაპირებუ)... მიზეზი იმისა, რომ ფსევდონიმთან ფალავანდიშვილი წერია, სხვადასხვაგვარად შეიძლება აიხსნას, ამჯერად სიტყვას არ გავაგრძელებ და სათქმელს პირდაპირ ვიტყვი, – ვფიქრობ, იბადება მოსაზრება, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებია ჩვენ წინაშე, – ისინი, რომლებიც ტფილისის გუბერნატორის, – ხელნაწერთა მოყვარულისა და შემგროვებლის – ნიკოლოზ ფალავანდიშვილის კოლეგიაში და შემდგომ კი ვაჭეთის რედაქციაში მოხვდა. იმდროინდელი ისტორიული ფაქტების შესწავლა სრულიად ნათლად მიგვანიშნებს, რომ სწორედ ასე უნდა იყოს:

ცნობილია, რომ 1833 წელს 16 წლის ნიკოლოზ ბარათაშვილმა და მისმა მეგობრებმა: ლევან მელიქიშვილმა და პეტრე ბაგრატიონმა ტფილისის გუბერნატორს, – ნიკოლოზ ფალავანდიშვილს ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების გამო მხატვრული (ამჟამად – დაკარგულია მიჩნეული) პოეტური სტრიქონები გაუგზავნეს. პავლე ინგოროყვას თანახმად, „საფიქრებელია, რომ ლექსში პირდაპირ თუ გადაკრული სიტყვებით, საუბარი ყოფილა იმ გამცემლობაზე, რომელმაც გამოიწვია 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნა“ (პ. ინგოროყვა, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი; თბ., 1983; გვ. 55); მკვლევარის აღნიშვნით, შეთქმულების გაცემის გამო გაგულისებულნი იქნებოდნენ ყმანცილები, რაც ლექსშიც აისახებოდა (ინგოროყვა ერთი ლექსის გაგზავნაზე წერს); შეთქმულების გამცემები იყვნენ იესე ფალავანდიშვილი და მისი ძმა – ნიკოლოზ ფალავანდიშვილი, რომელმაც უმაღლეს ხელისუფლებას აცნობა შეთქმულების შესახებ, იესე ფალავანდიშვილს სწორედ ძმამ უბიძგა შეთქმულთა გაცემისკენ და, ცხადია, ყმანცილების განსაკუთრებული რისხვა სწორედ მისკენ იქნებოდა მიმართული; ნიკოლოზ ბარათაშვილს ხელი არ ჰქონია მონეროლი თავის სტრიქონებზე, ყანდარმერისა უძებ-ნიან გუბერნატორთან გაგულისების გამომხატველი ნაწერის გამგზავნი და, როცა გარკვეულა, 15-16 წლის ყმანცილები რომ იყვნენ ეს გამგზავნები, საქმისათვის მსვლელობა არ მიუციათ და მათთვის „ჭკუის სწავლება“, კერძოდ, ფიზიკური დასჯა, მშობლებისთვის მიუწევდა; პეტრე ბაგრატიონი გადარჩენილა სასჯელს, – პეტრეზურგში გაუპარებიათ მშობლებს, ნიკოლოზი კი, ტაო, მამამისს, მელიტონს, იმით გახარებულს, რომ გიმნაზიიდან არ გაურიცხეს შვილი, როგორც იონა მუშუნარ-გია იტყობინება, როზვით უცემია იგი; ლევან მელიქიშვილი როგორ დაისაჯა, ან დაისაჯა თუ არა საერთოდ, უცნობია.

გან ნამით თავს მიიქცევს და ისე ოხრავს; 24. სიტყვის ბოლოს ჯვრ ძახილის, შემდეგ კითხვის ნიშანი და ბოლოს კი წერტილია დასმული; ძახილისა და კითხვის ნიშნების გამოყენებით სიმძაფრეს მატებს ნათქვამს პოეტი, – სობრალული აღგებრა ჩემ მიმართ? – ეკითხება ღვთისმშობელს და შემდეგ ისევ კითხვის ფორმით დასძენს: – და არის კი შენი მხედველი (სხედვრი შენი) სულიერად ისევ ცოცხალი?! 25. „შეხვარა“; 26. „შეიცვაგუს“; 27. „ჩემია თავისი?“, ჩემის თავისი?; 28. „უჭეთ“; 29. „რაღადა“; 30. „წვაი“; ჩანს, იგულისხმება, რომ პოეტს გუდავს, ახრჩობს მწვაი (მწარე ცეცხლის აღმზნებელი, მწველი ძალა, ეშმაკი); თუმც, არა გამოიციხულა, რომ აქ უნდა წავიკითხოთ – იგულავს მწვაი (დაგულელებული ჰყავს, ჯოჯობეთის ალში დაწვას უპირებს); 31. „ყველასფერი“; 32. „ოლონდა“; 33. „ბედ ქვეშ“; 34. „სჭკნება“; 35. „ველოდე მე“; რას ველოდე, რისი იმედი უნდა მქონდეს; 36. „რას“; 37. „მხედეს“; 38. ვფიქრობ, დაახლოებით ეს აზრია გამოთქ-მული: – როცა შენკენ მხედველმა შენითაც ვერ მიიღო შეება, შენც კი ვერ ანუგეშე, შენც ვერ ელხინე“ მას; 39. ე. ი. – შესმა, დაღუვა (სახარებისული რემინისცენცია გეთსიანის ბაღში მამა ღმრთის მიმართ იესოს ლოც-ვის შესახებ; ლ. 22: 42); 40. ტაეპის ბოლოს ორი წერტილია დასმული; 41. „სოსო-წარ-ტყვევინს“; 42. „მხედრმა“.

„რეპორტის გეგმის“ და სხვა

ეკონომიკური ესეი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი ტერმინ „ინტელექტუალს“ შემდეგნაირად განმარტავს: „გონებრივად მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი, რომელიც კარგად ერკვევა ლიტერატურაში, ხელოვნებაში (ზოგჯერ ახლავს ირონიული ელფერი)“.

ვინც კარგად ერკვევა! მარტივად, ვინც კარგი ნაკითხიაო.

რაგინდ ინტენსიურად იკითხო და იზუთხო სხვათა ქმნილებები, ვერც „დონ კიხოტს“ დაწერ, ვერც „ტრაგიატას“ და ვერც „მოსეს“ გამოაქანდაკებ!

ჯერ ერთი, რატომ ვუწუნოვებთ არეალს ამ ჩამონათვალს?! რა, ამასთან ერთად, ვინც კარგად ერკვევა ისტორიაში, რელიგიაში, საბუნებისმეტყველო დარგებში, კოსმოლოგიაში და ა. შ., ინტელექტუალი ვეღარ იქნება?!

ისევ და ისევ, ვინც კარგად ნაკითხიაო! ჩემი ასაკის პატრონს, რა აღარ მსმენია ბავშვობიდან მოყოლებული! ჩვენში (ანუ იმერეთში) იტყვიან: მიჯინებულმა კითხვამ გამოჩერებულა იცისო! სულმნათი აკაკიც ხომ იგივეს ბრძანებს: „აგრე იცის მიჯინებულმა კითხვამ! თავბრუს ასხამს კაცს!“

ეტყობა, ასე დამართნია იმ ინტელექტუალ სუბიექტსაც, რომელსაც, სწორედ კი წამოსდევნია, ნიკოლოზ ბარათაშვილი გენიოსი პოეტიო, მაგრამ, ეტყობა, ყველა მისი შედეგები არ წაუკითხავს (მე შენ გეტყვი და, ტომებს მოიცავს!), თორემ, ნამკითხველი, რანაირად შერაცხავდა მეფე ერეკლეს სამშობლოს მოლაღატად! („...რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, ქართლს დაიკავებს რუსთა ხელმწიფობა“-ო, ვეფხე, გაიგე?! რომ აღარაფერი ვთქვათ „საფლავი მეფის ირაკლისა“-ზე!

პატარა კახის მადლით ხარ დღეს შენ ეთნიკური ქართველი, თორემ, სხვა გზა არ ჩანდა: ან სპარსი გახდებოდი, ან – თურქი.

ეს ისე, სხვათა შორის! რა ვქნა, ისე მოხდენილად ამთავრებს ხოლმე საავტორო გადაცემა „პოპულა“-ში ზურა ყიფშიძე თავის მონოლოგს, რომ პლაგიატობას ვაღიარებ.

რაში დამჭირდა ახლა ეს ამსიგრძე პროლოგი, როცა წერილის შეკონინებას ვაპირებ ცნობილ მწერალსა და მეგობარზე, **ემზარ კვიციანი**ზე!

რაო, რაო, რა ბრძანე, იმანო? კვიციანიშვილი პოეტი გახლავს, მწერალი კი არაო?! ვაი ჩემ თავს და უი – მკითხველისასაც! ეს მინდოდა კიდევ მე?!

მისმინე, იმანო! მწერალია ყველა, პოეტი იქნება, პროზაიკოსი, დრამატურგი, ესეისტი თუ ლიტერატურის კრიტიკოსი! არსებობს (და ასეთ არსებობას!) „მწერალთა კავშირი“ და არა – „პოეტთა, პროზაიკოსთა, დრამატურგთა, ლიტერატურის კრიტიკოსთა და ა. შ. კავშირი“!

ო, ენავ ჩვენო, დედაო ენავ! მკითხველზე უმალ, ემზარს მოვუხდნი ბოდიშს, რომ, ცოტა არ იყოს, ბილიკიდან გადავუხვიე (გზაზე ჯერაც არ შევმდგარვარ), მაგრამ, მომეცა საშუალება და რა მექნა!

ჩემო ემზარ, ასაკით ოდნავ უმცროსო (აქ ზოგიერთი პროვინციალი „უმწინესს“ ჩააკვებდა!), ხოლო, შემოქმედებით, ბარეორზე წინ მდგომო ძმაო! რა ხანია, თვალყურს ვადევნებ ჩვენი მშობლიური გაზეთის – „ლიტერატურული საქართველოს“ – ყოველ ახალ ნომერს, რათა წაუკითხავი არ გამომჩინეს შენი მორიგი პუბლიკაცია ნიგნიდან – „რეპორტის მტევანი“.

წინდანივე მითქვამს: ეს არ არის მწერლის მორიგი, ორდინარული ნიგნი. მყოფნის სითამამე და ვამბობ: ეს დიდი ნიგნია! დიდია იმიტომ, რომ, როგორც ყოველი ჭეშმარიტი სიხლერე, თანამედროვე ქართულ მწერლობაში განცალკევებულად გამოიყურება: არც არავისას ჰგავს და ვერც ვერავინ დაიმგვანებს!

აი, რა არის, მაგალითად, 2010 წლის 30 აპრილით დათარიღებული შენი ტექსტი – „ჰაერში“?! („ლიტერატურული საქართველო“, 2023 წლის 31 მარტი): ჩანახატი, ნოველა, ესკიზი თუ ფილოსოფიური ეტიუდი? ჩემი აზრით, ცალკე აღებულად, – არცერთი! ყველა ერთად, – ეს შენა ხარ, ანუ შენი ავტობიოგრაფია!

თუმცა, არის კიდევ ერთი, უთუოდ გასათვალისწინებელი გარემოება, რომელიც უფრო სრულყოფილს ხდის შენს პორტრეტს.

აი რა მაქვს მხედველობაში: ყველაფრის დეფიციტს აიტანს მეტნაკლები ნებისყოფის ადამიანი, მაგრამ, დღეს რომ დროის უსამველო დეფიციტი გეხრავს და გვინელვს, ასეთი რამ თვით ფანტასტიკურ მწერლებსაც კი არ დასიზმრებიათ!

სიტყვამ მოიტანა და, ერთი სული მაქვს, მკითხველს ღიმილი მოგვეკარო.

ამ ორიოდვე თვის წინათ, გადავწყვიტე, ბავშვის დაბადების დღე მცირერიცხოვანი პიკნიკით აღგვენიშნა წავკისს. მოვიპატიჟეთ ბავშვის ნათლიაც, სამოციოდვე წლის მეციხერ-მუშაკი კაცი.

როდის აპირებთ? აჰ-აჰ, 15 ივნისს ძალიან გაჭყდილში ვარ, საძრაობა არა მაქვს (იმერელია ჩემსავით), 17-ში რო იყოს, რა უჭირს? თან, შაბათია. კაი, აგრე ვქნათ-მეთქი. მაშ, მოვდივარ შაბათს, სამის თხუთმეტი წუთიდან ხუთის ნახევრამდე, მეტი „ფანჯარა“ არა მაქვსო. ეგ დრო გზას დასჭირდება იქით-აქით-მეთქი! მერე რა, მოვალ, ასდოლარიანს ჩავეუჯიბავ, ვაკოცებ და წამოვალო. მაგდენ ხლაფორის, ბარემ ანგარიშზე ვადმოურიცხე! ოო, გენიოსი ხარ, მასე ვიზამო.

მივუბრუნდეთ 19 წლის წინანდელ შენს ჩანაწერს – „ჰაერში“.

მთელი დღის განმავლობაში ფეხით მოსიარულემ (მაშინ მხოლოდ 74 წლისა იყავი და ჯერ კიდევ მოგდევდა ჯანი), მანქანა არც არასოდეს გეოლია, ნიგნების მალაზიებზე მოვლილმა და კულტურის სამინისტროდან ახალგამოსულმა, საჯარო ბიბლიოთეკის შესასვლელთან, გრძელ სკამზე ჩამომჯდარმა, მწვანედ შეუმღებულ ხის შტამბზე, ქვემოდაც ზემოთ გულდაგულ მოძრაი პანია მწვანე მატლი რომ მოგხვდა თვალში, როგორ მოგწუსხა ამ სანახაობამ.

ვმომბობ, მკითხველს გული არ ავეცრუო და კითხვას საერთოდ არ შეეშვას. ამიტომ, დროა, ერთხანს, შენ თავად განაგრძო თხრობა: „წელა, მაგრამ ჯიუტად მიინევიდა მალა-მალა. გამიკვირდა, რაზე ჰქიდიან-მეთქი და უწერილესი შავი ძაფი შევაძინე, ნერტილისოდენა მოღებულ პირში რომ ედო და იმ ძაფს, ხის ტოტზე დამაგრებულს (მანამდე, ალბათ, მისი პირიდანვე გამოწევილს, ძირს როდესაც ემეზობდა), უკან მიჰყვებოდა. მზის სინათლე რომ არა, იმ მამოძრავებელ ძაფს ვერც ვაგარჩევდი.“

ადამიანებს ჰგონიათ, მათ გარდა, გონება არაფერს გააჩნია და, როცა სამყაროს პანანინა არსებებზე მსჯელობენ, ყველაფერი ინსტინქტამდე დაჰყავთ. მე რასაც ვუმხერდი, ამჟამად საზრიანი ქმედება იყო, გარკვეული მიზნისკენ მიმართული. თუმცა, ის მატლი თვალით ძლივს ჩანდა.

ობობა რომ ხლართავს ბუზის დასაბმელად, თავისივე მუცლიდან ამოხვეულ ძაფს, ეტყობა, ისეთივე ძაფად გადასაქცევი მასალა აქვს მოგროვილი ნამცეცა მწვანე მატლსაც და იმაზე კონსილობს – კენწეროდან ჩამოსივრნა და მერე, მოშივებული, ზემოთ მიინევიდა, რათა ახალგაშლილი ნორჩი ფოთოლი ეგემნა, – მოეციცქნა თავისი ერთადერთი საზრდო. რა ქნას, ბუნებას ასე გაუჩენია.

საკმარისი იქნებოდა, ის ერთადერთი, მარჩენალ ხესთან დამაკავშირებელი ძაფი გამეწყვიტა და მის ალასარულს დაეკარქარებდი. ასეთ რალაც ფიქრშია ვერ გავივლებდი, როგორ ვიკადრებდი ამგვარ უგვან საქციელს, მწერებისა და ჭიალუების შემბრალებ ქომაგი?!

ამ სტრიქონების ავტორს ჩემზე უკეთ მოეხსენება, რომ, თუ შენმა ნაკალმარმა მკითხველს ვერაფერი გაახსენა პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, მაშინ ამაოდ გარჯილხარ!

მაგალითისთვის, შეუძლებელია, ამ მონათხრობმა დიდი ვაჟა-ფშაველა არ გაგახსენოს: „ჩვენ ვიტყვი, კაცი ჩვენა ვართ, მარტობ ჩვენ გვზრდიან დედანი!“

ხოლო, იმ დრამატულ შედეგს, რასაც გამოიწვევდა მარჩენალ ხესთან დამაკავშირებელი ძაფის განწყვეტა, ზუსტად ეხმიანება შექსპირის სიტყვები შესახებ იმისა, რომ ნამცეცა მწერი, გასრესისას, ისევე გინავს

და იტანჯება, როგორც გიგანტი ნამებით სულის ამოხდომისასო.

თავის კატუნით რომ კატონი ვერავინ გახდება, უდავოა, მაგრამ, არც ის მსურს, ფუყე თავთავით გამოვიყურებოდე და იმდენად ავმჩაბდე, რომ მკითხველსა და, მით უმეტეს, ლიტერატორებს, მენტორის ტონით ვმოძღვრავდე.

ჩემი მოკრძალებული მწერლური პრაქტიკა ნამდვილად არ მაძლევს ამის შესაძლებლობას; თუმცა, არც ისე დაბრმავებული ვარ, თეთრი შავისგან ვერ გავარჩიო!

ემზარი მიკროარსებთა სამყაროს კიდევ რამდენიმეჯერ „სტუმრობს“.



ჩვენი გაზეთის წლევეანდელი 19 მაისის ნომერში რამდენიმე ჩანაწერია გამოქვეყნებული საერთო სათაურით – „მოყინული კალიის ამბავი“.

მართლაც რომ სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ეს გახლავთ გულის შემზარავი მონათხრობი მწვანე, უწყინარ კალიაზე, რომელიც მას თავისი სახლის აივანზე მოხვედრია თვალში 2014 წლის ზამთარში.

შესავალში ავტორი წერს: „ნაირ-ნაირი მწერები მუდამ იქცევიდა ჩემს ყურადღებას. გაოცდები კაცი, რამდენად ძლიერია სიცოცხლის უინი ღვთის გაჩენილ არსებებში. გვიანი შემოდგომით, ჩვენს ღია აივანზე დავინახე გაქვავებული კალია, ლამაზი იყო და გადასადგებად ვერ გავიშვებდი, რადგან საამქვეყნო პირი არ უჩანდა.“

...ორი დღის შემდეგ გაირკვა, რომ შევმცდარვარ: მწერი გატოვდა, ფეხები გაარხია. ამან მაიძულა, აზრი შემიცვალა“.

მოკლედ, ოთხი ჩანაწერით იწყება და მთავრდება ეს „ეპოპეა“. ვის გვარს არ შეხედებით მასში: ცნობილ ფრანგ ენტომოლოგს, ჟან ანრი ფაბრსა თუ ჟან კოქტოს, გამოჩენილ ინგლისელ ლირიკოსს, ჯონ კიტსს, რომელსაც, თურმე, ლუმელთან ჩაბუდებულ ჭრიჭინაზე შედეგური დაუწერიან; ასევე, ცნობილ გერმანელ ზოოლოგს, ალფრედ ბრემსა და დიდ ასკეტს, წმინდა ფრანჩესკო ასინელს, რომელსაც განსაკუთრებული სიბრალული და სიყვარული ჰქონია მწერების, ფრინველებისა და ცხოველებისა.

მკითხველს რომ მცდარი შთაბეჭდილება არ შეექნას და არ ეგონოს, რომ „რეპორტის მტევანში“ მხოლოდ მწერებსა და კალიებზეა საუბარი, – რალა თქმა უნდა, – არა! მწერალი ემზარ კვიციანი, რატომღაც მგონია, ძილშიც კი, თავის გამოჩენილ კოლეგებსა და, ზოგადად, ლიტერატურაზე ფიქრობს.

რად ღიოს, თუნდაც, „ლამაზი ბიჭი – სერგეი ესენინი“-ს შესახებ მისი ჩანაწერი, „ისევ რითმის გარშემო“, რომელიც დათარიღებულია 2017 წლის 9 სექტემბრით.

ჩანაწერში ავტორი გვესაუბრება, მისივე სიტყვებით, „ღრმად განათლებული ლიტერატორის, გენადი სმოლინის წიგნზე „სერგეი ესენინის ჯვარცმის გზა“.

ამავე თემაზე (ისევ რითმის გარშემო), იგი საინტერესოდ გადმოგვცემს გულავის ჯურღმულელებამოვლილი, გამოჩენილი რუსი მწერლის, ვარლამ შალამოვის შეხედულებებზე, ზოგადად, ლიტერატურაზე.

ბუნებრივია, ემზარი ყურადღების გარეშე არ ტოვებს დიდ ქართველ მწერლებს: გალაკტიონს, გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეებს, ოთარ ჭილაძეს,

ჭაბუა ამირეჯიბს, ნოდარ დუმბაძეს, რეზო ჭეიშვილს და სხვებს, რომელთა სახელებითაც ამაყობდა და თავს იწონებდა, არამარტო ძირითადი სამშობლოს, არამედ – მთელი საბჭოური ელიტა.

საინტერესოდ იგონებს ავტორი თბილისის ჭეშმარიტ კოლორიტს, მწერლობის უზომოდ მოყვარულ გურამ (კოია) გომართელს.

ჩემო ემზარ, ჩემი სტუდენტობისას, ერთხელ, დაუვინყარმა ნოდარ ჩხეიძემ გვიამბო სახალისო ეპიზოდი ლევ ნიკოლაევიჩის ცხოვრებიდან. თურმე, ერთმა დამწყებმა ლიტერატორმა ბრტყელ-ბრტყელი ეპითეტებით შეუქო რომელიღაც ნაწარმოები, ჭეშ-

მარტი დიდოსტატი ბრძანდებითო, რაზეც ტოლსტიომ მთელი სერიოზულობით მიუგო: ჩემო კეთილო მეგობარო, მე რომ ამ ბოლო დროს ჩემოდნებს ვაკეთებ, რომ გენახათ, ეგ მოთხრობა მათთან რა მოსატანიაო!

ამ ჩემი ოპუსის გაცნობის მერე, შესაძლოა, შენც ეგებურა: შენ რომ ჩემი ლექსების ახალი ციკლი წაგეკითხა, „რეპორტის მტევანი“ დაიჩრდილებოდაო!

თუმცა, მთლად ზუსტი პარალელი ვერ გამომივიდა: „რეპორტის მტევანი“-ც და შესანიშნავ ქუთათურ გაზეთ „უქიმიერი“-ს სახალწლო ნომერში გამოქვეყნებული შენი ახალი ლექსების ციკლიც, ორივე მანაგარია, ამ სიტყვის მეტაფორული გაგებით.

ლექსზე და, ზოგადად, პოეზიაზე მსჯელობას თავს ვარიდებ, რადგან იმ ალალი გლეხკაცის ხარხარი მასხენდება, როცა ტერენტი გრანელის ლექსი შევაქე – გაზაფხულის ერთ მშვიდ დილას ჩიტი რომ ერთი ხიდან მეორეზე გადახტა; ხელი ჩამავლო მხარში და ხითხითით მითხრა: აპა, ჩიტს მეტი რა საქმე აქო!

როდესაც შენი ლექსი-შედეგრი, „ყველაფერს შეველევი“ წავიკითხე, რომლითაც მთავრდება „უქიმიერი“-ში გამოქვეყნებული ციკლი, ტიტანის „მეწყერი“-ვით შემძრა და ძმურად გთხოვ, შეელიე სათაურს. ეს ლექსი ივანე მაჩხვრელზეა, როგორც სულმნათი აკაკის „განთიადი“ – დიმიტრი ყიფიანზე.

დაარქვი ამ ლექსს „ივანე მაჩხვრელი“ და მკითხველი ისევე ამოიცნობს მასში სახელგანთი პოეტს, ემზარ კვიციანიშვილს, როგორც სულმნათ აკაკის – „განთიადში“!

ყველაფერს შეველევი
სად ვიქნები, ვერ შეიტყოს ვერც მზემ და ვერც მთავარემ,
გამწირველო, შენი საქმე მოითავე ბარემ, სამარე არ დარჩეს არსად, ისე გამაპარე.

ისე ჰქენი, ერთადერთიც ვერ დავეტოვო პნკარი,
ფართოდ მოლიავებული, ჭრიალბედეს კარი, ცოდვილს, არ მომასწრო მეტად, რასაც მომასწარი.

ზენარი არ წამაფარონ, არც ხის ტახტზე ვიდო,
მოტაცება ვერ დაგასწროს – ვერც ლეკმა, ვერც დიდომ,
გამაქანე და გამაქრე, არც ცყოფილვარ ვითომ.

წრეს მავლებდა გამწარება, მინყივ წარამარა,
მკლავდა, ვეღარ გაუმკლავდა თვალმონკურვა წკვარამს,
ზოგჯერ მეც მწინკნიდა ეჭვი – ვიყავი თუ არა.“

სამაგიეროდ, შენს მკითხველებს გვენამს და გვეჯერა, რომ იყავი, ხარ და ყოველთვის იქნები!

შენი ბიზო ზარნაძე


ქეთევან ტომარაძე

2023 წლის 19 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა ამერიკელი მწერლის ედუარდ ჰეილის მოთხრობის, „უსამშობლო კაცის“ განხილვა.

განხილვა მოენყო კულტურის უსაფრთხოების კვლევის ფარგლებში, მოთხრობა „უსამშობლო კაცის“ წიგნად გამოცემის ინიციატივისა და სულისჩამდგმელის, უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის (უსმა/USMA) თავმჯდომარის, ტენიკურ მეცნიერებათა დოქტორის ბესიკ ობოლაძის ინიციატივით.

განხილვას ესწრებოდნენ მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები, მწერლები, პედაგოგები, სტუდენტები, ჟურნალისტები, გამომცემელთა ასოციაციის თავმჯდომარე ლია მეტრეველი, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის სამსახურის უფროსი ბატონი კახა ლაბუჩიძე, მწერალი ირაკლი შამათავა და სხვ. განხილვას უძღვებოდა ბესიკ ობოლაძე.

ედუარდ ჰეილის პაპრიცა



გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ 2003 წლის თებერვლის ნომერში დაიბეჭდა იმხანად ქართველი მკითხველისთვის უცნობი ამერიკელი მწერლის, ედუარდ ევერეტ ჰეილის (1822-1909) მოთხრობა „უსამშობლო კაცი“. მოთხრობა ინგლისურიდან თარგმნა ჩინებულმა მკვლევარმა, მწერალმა და პუბლიცისტმა თამაზ ნატროშვილმა. მოთხრობის გამოქვეყნებას არაერთი გამოხმაურება მოჰყვა. პროფესორ რუსუდან ნიშნაიანი ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მოთხრობის განხილვა, გამოქვეყნდა გია არგანაშვილის საინტერესო წერილი და სხვ.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ განხორციელებულმა სისტემურმა ცვლილებებმა, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარმა ძირულმა გარდატეხამ, სამოქალაქო ომმა და მძიმე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა, რევოლუციურმა განწყობებმა, გლობალიზაციის ტალღაზე აგორებულმა გამოსვლებმა და ცვლილებების მოთხოვნებმა, ტრადიციული ცხოვრების წესის ნიველირების საშიშროების წინაშე დააყენა საზოგადოება. ქვეყნის მართვის ბერკეტები ხელთ იგდო ეროვნული ნიჰილიზმითა და დასავლური კულტურით ხელაღებით გატაცებულმა თაობამ, რამაც ღირებულებათა გადაფასების მიმე პროცესის დაწყება განაპირობა.


შექმნილი ვითარების გაზარებას მოჰყვა თამაზ ნატროშვილის მიერ ამერიკელი მწერლის, ედუარდ ჰეილის მოთხრობის, „უსამშობლო კაცის“ თარგმნა და გამოქვეყნება. მთარგმნელი, ჩანს, მოხიბლა ნაწარმოების იდეურმა მიზანდასახულობამ და თამამმა მწერლურმა ექსპერიმენტმა. დაბეჭდვის შემდეგ მოთხრობას არაერთი საგულგნლო გამოხმაურება და შეფასება მოჰყვა. მან, ერთგვარად, საზოგადოებისთვის შეთავაზებული ტესტის ფუნქციაც კი შეიძინა. გამოხმაურებათა ქრონიკამ კარგად აჩვენა, რომ

სამშობლოს ცნებასა და სიტყვას „სამშობლო“, რომლის განდევნას ცდილობდნენ ნეოლიბერალური იდეებით გატაცებული ახალგაზრდები და პოლიტიკოსთა გარკვეული ჯგუფი სააზროვნო ველიდან და მეტყველებიდან, ასე იოლად ვერავინ შეეგუებოდა.

ვინ იყო მწერალი, რომელმაც 160 წლის წინათ ზუსტად შეარჩია დრო და ადგილი სამშობლოს მარადიული განცდის იდვის ამერიკელთა გულში გასაღვივებლად და მისთვის სასიცოცხლო იმპულსების მისანიჭებლად?

„მე მარტოოდნ ერთი ვარ, მაგრამ ერთი ვარ. მე არ შემძლია ყველაფრის კეთება, მაგრამ რაღაცის გაკეთება შემიძლია და იმდენად, რამდენადც ყველაფრის კეთება არ შემიძლია, უარს ვერ ვიტყვი იმის გაკეთებაზე, რაც შემიძლია.“ – ეს არის ედუარდ ევერეტ ჰეილის ცხოვრების კრედიტო, მრწამსი დიდი ამერიკელი მოაზროვნისა, რომლის შესახებაც წერენ: „შესაძლოა ამერიკელთა გონება ისე არავის გაუღვიძებია და მისი სტიმულირება ისე არავის მოუხდენია, როგორც ეს ჰეილიმ შესძლო. ის უსაზღვროდ პოპულარული პიროვნება გახლდათ“...

მწერალი, ისტორიკოსი, მღვდელმსახური, სენატის კაპელანი ედუარდ ჰეილი 1822 წელს, მასაჩუსეტის შტატში, ქალაქ ბოსტონში დაიბადა. წარმოშობით იგი ახალ ინგლისში, აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ძირძველი ოჯახიდან იყო. მამამისი, ნათან ჰეილი ფლობდა და გამოსცემდა გაზეთს სახელწოდებით: „ბოსტონ დილი ევერეტისერი“. ერთხელ მას ხუმრობით უთქვამს: „მე „ბოსტონ დილი ევერეტისერის“ ფურცლებში გახვეული ვნანიანობი“. მახვილგონიერება, ხალხის მსახურების შინაგანი



მოწოდება, აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება და მწერლობის სიყვარული ჰეილის დიდი ოჯახის წევრების მკვეთრად გამოხატული ნიშან-თვისებებია.

ედუარდ ჰეილი ნათან ჰეილის, სამოქალაქო ომის დროს საიდუმლო აგენტის ძმის შვილიშვილი იყო, რომელიც გარდაცვალების წინ მწარედ ნანობდა, რატომ ჰქონდა მხოლოდ ერთი სიცოცხლე და არა უფრო მეტი, რომ ისიც თავისი ქვეყნისთვის შეეღია. ედუარდ ჰეილი, ასევე, ედუარდ ევერეტის, ორატორისა და პოლიტიკური მოღვაწის ძმისშვილი, რიჩარდ ევერეტის შთამომავალი და ცნობილი ამერიკელი მწერლის ჰელენ კელერის ახლო ნათესავი იყო.

ნათან ჰეილსა და მის მეუღლეს, სარა პრისტონ ევერეტს ოთხი შვილი შეეძინათ. ედუარდ ჰეილის უფროსი და, ლუკრეცია ფიბოდი ჰეილი, ცნობილი ამერიკელი საბავშვო მწერალი გახლდათ.

ედუარდ ჰეილი ერთადერთი აღმოჩნდა და-ძმებს შორის, რომელმაც იქორწინა და ცხრა შვილი შეეძინა. 1852 წელს მან ცოლად შეირთო ემილი ბოლდვინ პერკინსი, რომელიც მამის მხრიდან ენათესავებოდა კონექტიკუტის სენატორს როჯერ შერმან ბოლდვინს, ხოლო დედის მხრიდან ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს ძმისშვილი იყო. ალბათ ბევრს ახსოვს და ყმანვილობაში ზოგს ცრემლიც კი უღვრია ბიჩერ-სტოუს რომანის, „ბიძა თომას ქოხის“ კითხვისას. უზომოდ შეგვბრალებია ზანგი თომა და მისი მონობის მიმე უღელი განგვიცდია.


ედუარდ ჰეილი ბავშვობიდან მწერლობისადმი გამორჩეულ ინტერესს იჩენდა. მან, როგორც ვუნდერკინდმა, 13 წლისამ დაასრულა ბოსტონის ლათინური სკოლა და სწავლა ჰარვარდის კოლეჯში განაგრძო. შემდეგ იგი ჰარვარდის სასულიერო სკოლაში სწავლობდა. სწავლის პერიოდში ჰეილიმ, როგორც განსაკუთრებული ლიტერატურული ნიჭით დაჯილდოებულმა ახალგაზრდამ, ორჯერ დაიმსახურა ამერიკის ყველაზე პრესტიჟული სტუდენტური ჯილდო, ბოუდონის პრემია.

1842 წელს ჰეილიმ უნიტარიული მღვდლის ლიცენზია მიიღო ბოსტონის მინისტრთა ასოციაციაში. 1846 წელს ერთობის ეკლესიის პასტორად გაამწესეს, 1856 წელს კი ბოსტონში სამხრეთის კონგრეგაციული ეკლესიის პასტორი გახდა. აქ მან 1899 წლამდე იმსახურა. 1847 წელს ჰეილი ამერიკის ანტი-კვარიატა საზოგადოების წევრად აირჩიეს. ერთხანს ის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, შემდეგ პრეზიდენტის პოსტსაც იკავებდა. ამერიკის სამოქალაქო ომის დროს მოკავშირეთა მხარდაჭერისთვის ჰეილს მიენიჭა აშშ-ის ერთგული ლეგიონერის, მესამე კლასის კავალერისტის სამხედრო წოდება.

1869 წელს ჰეილი მონაწილეობდა ჟურნალის, Christian Examiner, Old and New-ს დაარსებაში და შემდეგ მისი რედაქტორიც გახდა.

1865 წელს აირჩიეს ამერიკის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიაში, ხოლო 1870 წლიდან იგი ამერიკის ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრია.

სამწერლო ასპარეზზე ჰეილი 1859 წელს გამოვიდა. ის აქტიურად თანამშრომლობდა მამამისის გაზეთთან. 70 წლის განმავლობაში ჰეილიმა გამოაქვეყნა მრავალი საგაზეთო სტატია, ისტორიული ნარკვევი, მოთხრობა, პამფლეტი, რომანები, ქადაგებანი. მწერლის შემოქმედების პირუთვნელ შემფასებელთა აზრით, მან საფუძველი ჩაუყარა ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელიც „რეალისტური ფანტასტიკის“ სახელით არის ცნობილი. ჰეილს ეკუთვნის რომანები: „თუ,



ჰო, შესაძლოა (1868), „აღმოსავლეთი და დასავლეთი“ (1892), „მისი სახელი“ (1873), „ფილიპ ნოლანის მეგობრები“ და სხვ. მწერლის ნაწარმოებების ატლანტიკური 1898-1900 წლებში გამოცემა.

ჰეილის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა აზრით, მწერალში შერწყმული იყო ძლიერი პიროვნება, ორგანიზატორული ნიჭი და პრაქტიკული ღვთისმსახურების უნარი. ამასთან, ჰეილი საუკეთესო მეოჯახე, მეგობარი, უაღრესად კეთილგანწყობილი და გონიერი კრიტიკოსი იყო. ის პირველი გამოეხმაურა კეთილი სიტყვით უოლტ უიტმენის წიგნს „ბალახის ფოთლები“.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჰეილი დიდ ძალისხმევას იჩენდა ამერიკული ცხოვრების ტონალობის ასანეებად. ის ეხმარებოდა მონობის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას, განათლების სისტემის მდგომარეობას, მუშათა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პრობლემებს. თავის მოსაზრებებს მწერალი აქვეყნებდა მის მიერვე დაარსებულ ჟურნალებში: „Old and New“ (1870-1875) და „Lend a Hand“ (1886-1897).

1881 წ. ჟურნალში Harper's New Monthly Magazine ჰეილიმა გამოაქვეყნა მოთხრობა

„ხელები შორს“. მოთხრობელი დროში ინაცვლებს, წარსულ მოვლენებს ცვლის და ამით დროის ალტერნატიულ იდეას გეთავაზობს. პოლ ჯ. ნაჰინმა ამ მოთხრობის ანალიზისას დასძინა, რომ „ჰეილი მეცნიერული ფანტასტიკის, დროში მოგზაურობისა და წარსულის შეცვლაზე მოთხრობების პიონერად გვევლინება“.

უაღრესად ნაყოფიერი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიუხედავად, ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში ედუარდ ჰეილიმ გამორჩეული ადგილი დაიკავა, როგორც „უსამშობლო კაცის“ ავტორმა. მოთხრობა მან 1863 წლის ზაფხულში, ამერიკის სამოქალაქო ომის დროს დაწერა და „ატლანტიკ მანსლის“ ფურცლებზე დაბეჭდა. 1865 წელს „უსამშობლო კაცი“ ცალკე წიგნად გამოიცა. მოთხრობის გაგრძელება რომანი „ფილიპ ნოლანის მეგობრები“, რომლის შესახებ, 1893 – 1900 წლების მოგონებებში ჰეილი წერდა: „იმისთვის, რომ „უსამშობლო კაცი“ და მისი გაგრძელება დამეწერა, გულდასმით უნდა შემესწავლა შეერთებული შტატების მიერ „ლუიზიანას“ მოპოვება“.

„უსამშობლო კაცის“ ქართულ ენაზე გამოჩენიდან 20 წელი გავიდა. მიუხედავად ამისა, მოთხრობას მხატვრული ხიბლი და აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ამიტომაც გადაწყდა მისი ცალკე წიგნად გამოცემა. ამერიკაში „უსამშობლო კაცი“ მრავალჯერ დაიბეჭდა. არსებობს მოთხრობის აუდიო ჩანაწერები, გადაღებულია ფილმები. ამერიკულმა კომპოზიტორმა ვალტერ დემოშმა (1862-1950) 1937 წელს შექმნა მშვენიერი ოპერა, რომელიც ნიუ იორკში, „მეტროპოლიტენ ოპერას“ სცენაზე დაიდგა.

მოთხრობის მიხედვით 1917 წელს გადაღებული მუნჯი ფილმის პროლოგი მაყურებელს ასეთი სიტყვებით მიმართავს: „ჩვენი ომის დასაწყისში „მსოფლმხედველობამ“ მოთხრობა დაბეჭდა ერთი სურვილით, რომ ხალხს თავისი, როგორც ერის, მოვალეობა არ დაეწყებოდა. და მისი ეს გაკვეთილი დღეს ისეა აუცილებელი, როგორც არასდროს“.

წიგნად გამოქვეყნებული მოთხრობის ქართულ ვერსიაში ედუარდ ჰეილის წინათქმაც შევიდა, რომელშიც იგი წერს: „და ახლა, როცა ეს წიგნი სასკოლო სახელმძღვანელოდ დაიბეჭდა, მე მას შეერთებული შტატების მოქალაქეებს, ბიჭებსა და გოგონებს იმავე რწმენით ვუძღვნი, რომლითაც ალჭურვილი იყო ფილიპ ნოლანი, რომელმაც ეს მიჩმან ფრედერიკ ინგჰემისადმი რჩევის მიცემისას თავის მიმართვაში გაამჟღავნა“.

აი, ეს სიტყვებიც: „შენი სამშობლოსა და დროშისთვის არასოდეს შეგეპაროს გულში სხვა ოცნება, გარდა ოცნებისა, ისე ემსახურო მას, როგორც ის შენგან მოითხოვს, თუნდაც ამ სამსახურმა ათასი ჯოჯოხეთი გამოგატაროს. და რაც არ უნდა დაგატყდეს თავს, ვინც არ უნდა გაამოს ან დაგამციროს, არასოდეს შეხედო სხვა დროშას და ერთი ღამეც კი არ გამოტოვო, რომ ღმერთს ამ დროშის კურთხევა არ შეავედრო.“

გახსოვდეს, ძმობილო, იმ ადამიანთა მიღმა, მთავრობის მიღმა და მთელი ხალხის მიღმა თავად სამშობლოა, შენი სამშობლო. და შენ მისი შვილი ხარ, ისევე როგორც შვილი მშობელი დედისა, და ისევე ეკუთვნის მას, როგორც საკუთარ დედას. და მედგრა დადექი მის დასაცავად, ისევე როგორც დაცავდი დედაშენს, თუკი მას ეშმაკის კერძინ დაესხმოდნენ თავს! ეჰ, ნეტა ეს სიტყვები ვინმეს ჩემთვის მაშინ ეთქვა, როცა თქვენი ხნისა მოვიყარე“.

უჩვეულო მსჯავრის წყალობით, „უსამშობლო“ დარჩენილი მოთხრობის გმირი ფილიპ ნოლანი ინიციატივის უმძიმესი გზას იმისთვის გადის, რომ ყველაზე სანუკვარი და ძლიერი განცდა, სამშობლოს სიყვარული, გონებით შეიცნოს და გულით ეზიაროს.

ედუარდ ჰეილის მოთხრობა დიდებული მწერლური ფანტაზიის ნაყოფია. იგი ქმნის მხატვრულ-ფილოსოფიურ მოდელს, იგონებს მითს, რომელსაც ისე ოსტატურად გადმოსცემს, ნებისმიერ ადამიანს შეძრავს და სამშობლოსადმი საკუთარ დამოკიდებულებაზე დააფიქრებს...

1903 წელს ედუარდ ჰეილი შეერთებული შტატების სენატის კაპელანად დაინიშნა. ერთხელ მას ჰკითხეს: „დოქტორ ჰეილი, თქვენ სენატისთვის ლოცულობთ?“ – რაზეც მან უპასუხა: „არა, მე უსენატორებს ვუყურებ, ხოლო ვლოცულობ ჩემი ქვეყნისათვის“.

ედუარდ ჰეილი 1909 წელს, როქსბურში, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ლუიზ გლიუკი გარდაიცვალა




ედრიან პორტონი ნობელის პრემიის ლაურეატი ლუიზ გლიუკი, რომელიც ერთხანს ამერიკის შეერთებული შტატების პოეტ-ლაურეატის წოდებასაც ატარებდა, 80 წლისა გარდაიცვალა. პოეტის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია „Associated Press“-ს გამომცემლობა „Farrar, Straus and Giroux“-ს აღმასრულებელმა რედაქტორმა ჯონათან გალასიმ დაუდასტურა.

მისი მხატვრული ენა ხასიათდება ლაკონიურობითა და სევდანარევი გულწრფელობით. პოეტი თითქოს მოგონებების სამყაროში ეშვება და ფილოსოფიურად უღრმავდება თავს, რაც ჩინებულად გამოსდის კიდევ მითოლოგიური ალუზიების მოშველიებით. გლიუკს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში 2020 წელს გადასცეს. ნობელის კომიტეტმა პოეტს დაუფასა „შეუმცდარი პოეტური ხმა, რომელიც თავისი ასკეტური სილამაზით თითოეული ადამიანის არსებობას უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს“. მისი ერთ გვერდზე დატეხული მტკიცუნულად მძაფრი ლექსებით იგი ერთგულად გამოხატავდა „უთქმელის, უბრალო ვარაუდების, მრავლისმთქმელი და გამიზნული დუმილის“ მიმართ. ნიუ-იორკელ პოეტს სიცოცხლის განმავლობაში არაერთი პოეტური კრებული აქვს გამოცემული, აქტიურად წერდა ესეებს და არის ერთი პროზაული იგავის, „მერიგოლდისა და როუზის“ ავტორი. მის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა ანტიკურმა მითოლოგიამ, შექსპირმა და ელიოტმა. ლუიზ გლიუკს პულიცერის პრემია 1993 წელს პოეტურ კრებულ „ველური ზამბახისათვის“ გადასცეს, რომელიც პოეტი ეხება ისეთ თემებს, როგორებიცაა ტანჯვა, სიკვდილი და ხელახლა დაბადება. სხვა პოეტურ კრებულთაგან ასევე უნდა აღინიშნოს „ცხოვრების შეიდი პერიოდი“, „აქილევსის ტრიუმფი“, „ვიტა ნოვა“ და „ლექსები: 1962-2012“. გარდა პულიცერის პრემიისა, პოეტი მრავალი სხვა ლიტერატურული ჯილდოს მფლობელიც გახლდა. 2001 წელს მას ბოლინგენის საპატიო პრემია ცხოვრებისეული მიღწევებისთვის გადასცეს, 2014 წელს ამერიკის „ნიგნის ეროვნულ დაჯილდოებაზე“ პრემია პოეტურ კრებულ „ერთგული და პატიოსანი ღამისათვის“ ერგო, 2015 წელს კი „ეროვნული პუმანიტარული მედალი“ სწორედ „ათწლეულების განმავლობაში დაწერილი შთამბეჭდავი ლირიკული პოეზიისათვის“ დაიმსახურა, „რომლის განსაზღვრულ ჩარჩოში მოქცევა ამაო მცდელობისთვისაა განიერიული“. იგი 2003-2004 წლებში აშშ-ს პოეტ-ლაურეატის ტიტულსაც ფლობდა. როგორც მონვეული პროფესორი, ასწავლიდა სტენფორდისა და იელის უნივერსიტეტებში, სადაც უამრავ დამწყებ ავტორს დახმარებდა წარმატებისკენ გზის გაკვალვაში.

ალმოსავლეთეოპელი ებრაელების შთამომავალი 1943 წლის 22 აპრილს ნიუ-იორკში დაიბადა და ლონგ აილენდზე გაიზარდა. მამა, დანიელ გლიუკი, მეწარმე და გამომგონებელი, დედა, ბიატრის გლიუკი კი დიასახლისი იყო. ლუიზ გლიუკს პოეზიისადმი ინტერესი პატარა ასაკში გაუჩნდა, თუმცა მისი შემდგომი განათლება ნერვულმა ანორექსიამ საკმაოდ შეაფერხა. ფაქტობრივად, ამ დაავადებამ მისი მოზარდობის პერიოდი შეინირა. იგი ფიზიკურად იმდენად სუსტად გრძობდა თავს, რომ კოლეჯში ჩარიცხვამდე დაპარაკიც კი უნდებოდა. სამედიცინო, მოგვიანებით სარა ლოურენსის კოლეჯსა და კოლუმბიის უნივერსიტეტში პოეზიის გაკვეთილებზე სიარული დაიწყო, სადაც ხშირად იღებდა რჩევებს ისეთი გამოცდილი პოეტებისგან, როგორებიც ლეონი ადამსი და სტენლი კუნიცი იყვნენ. გლიუკი სიცოცხლესა და წერის უნარს შეიძინა ინტენსიურ ფსიქოანალიზის თერაპიის უმადლოდა. „ფსიქოანალიზმა ფიქრი მასწავლა. მასწავლა, სწორად გამოთქვნიხარა ჩემი მიდრეკილება, შევნიშნა დედაზე მიყვარებულ ფორმულირებულ მოსაზრებებს, რაც საკუთარივე იდეების მიმართ მქონდა, მასწავლა დაეჭვება, ჩემს სათქმელში რაიმე საკითხს ხომ არ გავურბივარ-მეთქი“. – აღნიშნავდა იგი გუგენჰაიმის მუზეუმში გამართულ ლექსიაზე 1989 წელს. „რაც უფრო თავს ვიკავებდი დასკვნის გამოტანისგან, მით მეტი რამის დანახვა შემიძლო. მგონია, ამით წერასაც ვსწავლობდი“. პოეტი 30 წლისა არ იყო, როცა მისი ლექსები „New Yorker“-ში, „Atlantic Monthly“-ში და სხვა ჟურნალებში იბეჭდებოდა. პირველი წიგნი, სახელწოდებით „პირველშობილი“, 1968 წელს გამოიცა, რასაც რამდენიმეწლიანი შემოქმედებითი კრიზისი მოჰყვა. მეორე წიგნმა, „სახლი ჭაობის პირას“, დღის სინათლე 1975 წელს იხილა და მამრები იქცა ლიტერატურულ სენსაციად და პოეტის წარმატებული კარიერის წინაპირობად. უფრო მოგვიანო კრებულები, „ველური ზამბახი“ და „არარატი“ კი შემოქმედებითი გარდაქმნისა და ახალი გამოწვევების აშკარა გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს. იგი თავადვე ამბობდა: – „პოეზიის უპირატესობა სიცოცხლესთან შედარებით ისაა, რომ თუ საკმარისად მძაფრია, საუკუნოდ შეუძლია იარსებოს“. გლიუკი ორჯერ იყო დოჯახებული და განქორწინებული. პირველად 1967 წელს იქორწინა ჩარლზ ჰერც უმცროსზე, მეორედ 1977 წელს ჯონ დრანაუზე, რომლისგანაც ვაჟი, ნოა შეეძინა.

სალმან რუშდი: „საშუალება მიეცა მწერალს, პერსონაჟები საკუთარი გამოცდილების მიღმა შექმნან“



ელა კრიმერი სალმან რუშდი ამბობს, რომ თუ ავტორები მხოლოდ საკუთარ თავსა და გამოცდილებას ასახავენ თავიანთ პერსონაჟებში, ამით „რომანის ხელოვნება არსებობას შეწყვეტს“.

„თუ ჩვენ ისეთ სამყაროში გვინდა ცხოვრება, სადაც მხოლოდ ქალებს შეუძლიათ ქალებზე წერა, მხოლოდ ინდოელ ხალხს აქვს უფლება ინდოელებზე წეროს, სადაც ჰეტეროსექსუალებზე მხოლოდ ჰეტეროსექსუალები წერენ... მაშინ ხელოვნების სიკვდილი გარდაუვალი იქნება“. – განუცხადა მწერალმა გაზეთ „The Times“-ს.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გამართულ პრესკონფერენციაზე იგი სიტყვიერად გამოვიდა. ინდური წარმოშობის ბრიტანელ-ამერიკელმა რომანისტმა აღნიშნა, რომ თავზარი დასცა 7 ოქტომბერს ჰამასის ისრაელზე თავდასხმამ. თქვა, გული ცუდს მიგრძნობს, სასაუსხოდ რა შეიძლება მოიმოქმედოს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიახუიმო და იმედი გამოთქვა, რომ საომარი მოქმედებები ადრეულ ეტაპზევე შეწყდებოდა.

ნიუ-იორკის შტატში სცენაზე მომხდარი თავდასხმის შემდეგ მწერალი ღონისძიებებზე ნაკლებად ჩნდება. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 33 წლის წინ ირანმა მისი სიკვდილის დასჯის მოთხოვნით ფატვა გამოსცა და, როგორც ჩანს, შარშანდელი თავდასხმაც პირდაპირ უკავშირდება ამ დადგენილებას. მაშინ ირანის სასულიერო ლიდერმა რუშდის „ემმაკეული აიები“ დაგმო და რომანს მკერხელური უწოდა.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ამ ინციდენტთან დაკავშირებით მწერალი მემუარების გამოქვეყნებას აპირებს. ნანარმოებს სახელად „დანა“ ერქმევა და დღის სინათლეს 2024 წლის აპრილში იხილავს. პრესკონფერენციაზე აღნიშნული წიგნის შესახებაც დაუხვეს შეკითხვები. რუშდიმ დანაზე ბოლო აღნიშნა, სხვა რამის დაწერა შეუძლებელიც კი იყო ჩემთვის, მძიმე წელი გამოვიარე, მაგრამ მოხარული ვარ, ისევე თქვენ გვერდით რომ ვარო.

სალმან რუშდის ღონისძიებებზე პრესტიჟული ჯილდო, „მშვიდობის პრემია“ გადასცეს. მწერალმა პრესის ყურადღებით ისარგებლა და გამოხატვის თავისუფლების უპირობოდ დაცვის მნიშვნელობაზე გაანახვილა ყურადღება. მწერალს ჯილდოდ 25 000 ევროს ოდენობის თანხა ერგო. გერმანულმა ჟიურიმ განაცხადა, რომ რუშდი პატივისცემას იმსახურებდა „ცხოვრებისადმი მტკიცე, პოზიტიური დამოკიდებულებისა და იმ ფაქტის გამო, რომ იგი სამყაროს თხრობით მოგვრილი სიამოვნებით ამდიდრებს“.

მწერალმა ისიც თქვა, რომ ისრაელი-ჰამასის კონფლიქტის მოგვარებაში ლიტერატურას არც თუ ისე დიდი როლი აქვს. „ყოველთვის ვცდილობ, ლიტერატურის ძალა არ გავაზვიადო“, – აღნიშნა გერმანულ პრესასთან ინტერვიუში, – „მწერლებს რისი გავლენაც დაეუფლოთ და რასაც რეალურად აკეთებენ კიდევ, მთელი მსოფლიოს ყურადღების მიპყრობა და იმ წარმოდგენილი ტკივილის გამოთქმა, რასაც უამრავი ადამიანი განიცდის ახლა“.

ისრაელ-ჰამასის კონფლიქტს ისრაელის 1 400-ზე მეტი მოქალაქე ემსხვერპლა. ისრაელის ღვაწის ტერიტორიაზე თავდასხმას კი, პალესტინის ჯანდაცვის მინისტრის თქმით, სულ ცოტა 5 087 პალესტინელი. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი წიგნის ბაზრობაა, კრიტიკის ობიექტად იქცა მას შემდეგ, რაც ღონისძიების ორგანიზატორებმა პალესტინელი მწერლის, ადანია შიბლის დაჯილდოების ცერემონია გააუქმეს.

რუშდიმ ასევე მკაცრად დაგმო სასამართლო საქმის წამოწყება „ბუკერის“ პრემიის ნომინანტი რომანისტის, არუნდათი როის წინააღმდეგ 2010 წელს ქაშირის შესახებ წარმოდგენილი სიტყვის გამო. „იგი ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მწერალი და პატიოსანი, მგზნებარე ბუნების ადამიანია“. – თქვა რუშდიმ და სამარცხვინო უწოდა იმ აზრს, რომ როის პირადი ღირებულებების გამო უწევს სასამართლოს წინაშე წარდგომა.

მარიო ვარგას ლიოსა მწერლის კარიერას ახალი რომანი ასრულებს

სემ ჯონსი



გამოჩენილმა პერუელმა მწერალმა და ნობელატმა მარიო ვარგას ლიოსამ განაცხადა, რომ სამოცდაათწლიანი სამწერლო კარიერა დასასრულს მიუახლოვდა და მისი უახლესი რომანი უკანასკნელი იქნება.

ახალ წიგნს „გაძლევე ჩემს სიჩუმეს“ („Le dedico mi silencio“) ჰქვია, რომელსაც ბოლოში თან ერთვის 87 წლის ავტორის შენიშვნა: „ვგონებ, ეს წიგნი დავასრულე. ახლა დროა, შევუდგე ესეს წერას [ჟან-პოლ] სარტრზე, რომელიც ახალგაზრდობაში ჩემი მასწავლებელი იყო. ეს იქნება ბოლო, რასაც დავწერ“.

ახალ რომანს პერუსადმი და კრეოლური მუსიკისადმი მიძღვნილ სასიყვარულო წერილსაც კი უწოდებენ. კრეოლური მუსიკა ქვეყნისათვის დამახასიათებელი ევროპული ვალსის სახეობების ერთგვარი ნაზავია, რომელსაც მკვეთრად ეტყობა აფრო-პერუული და ანდების მუსიკის გავლენა.

ესპანურ მედიასთან საუბრისას მწერალმა აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ბევრი დრო აღარ დარჩენოდა თავისი 21-ე რომანის გამოსაცემად, იგი იმედოვნებდა, რომ წერას მაინც გააგრძელებდა და სარტრის შესახებ ესეს წერასაც მალე დაასრულებდა.

„ოპტიმისტი კი ვარ, მაგრამ 87 წლის ასაკში არა მგონია იმდენი მქონდეს დარჩენილი, რომ ახალ რომანზე მუშაობა მოვახერხო. უფრო იმიტომაც, რომ ზოგადად ერთი რომანის წერას სამი-ოთხი წელი ვანდომებ ხოლმე“, – ამბობს იგი „La Vanguardia“-სთან საუბარში, – „მაგრამ მე შევწყვეტ მუშაობას და იმედი მაქვს, ძალა ბოლომდე მეყოფა“.

ლიოსა, რომელიც პერუსა და ესპანეთის მოქალაქეა, ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს. იგი ე.წ. „ლათინოამერიკული ბუმის“ ერთადერთი ცოცხალი წარმომადგენელია. ლათინოამერიკულმა ლიტერატურულმა ფენომენმა 1960-1970-იან წლებში ერთგვარი კულტურული გარღვევა მოახდინა და მსოფლიოს ისეთი მწერლები გააცნო, როგორებიც გაბრიელ გარსია მარკესი, კარლოს ფუნტესი, ხულო კორტასარი და სხვა ავტორები არიან.

მარიო ვარგას ლიოსას პირველი წიგნი, „ქალაქი და ძაღლები“ („La ciudad y los perros“), 1963 წელს გამოქვეყნდა. რომანში ლიოსა მკაცრი და უღმობელი სამხედრო აკადემია, რომელშიც ავტორი 1950-იან წლებში სწავლობდა, რასობრივად, სოციალურ-კონომიკურად და გეოგრაფიულად დაყოფილ პერუს განახიერებს. ამ თუ მრავალ სხვა ნანარმოებში ლიოსა დაუფარავად აღწერს, თუ რამდენად ბოროტად შეიძლება ადამიანმა ძალაუფლება გამოიყენოს პოლიტიკური, სამხედრო, რასობრივი, ეკონომიკური, სოციალური და სქესობრივი ჩაგვრისათვის.

ბოლო წლებში ლიოსას პირადი ცხოვრება საჭიროა თემადაც ხშირად ქცეულა, რაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საზოგადოებისთვის ცნობილ სახესთან, ისაბელ პრესლერთან შეიდგნიან რომანს. თავად მწერალი კი ამბობს, რომ მისი ცხოვრების მიმართ მზარდი საჯარო ინტერესი დიდად არც აწუხებს და არც აღიზიანებს.

„ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც რომანები და ესეები, ის კულტურა და ლიბერალური იდეები იქნება, რომელთაც წლებია მხარს ვუჭერ“. – უთხრა მან ჟურნალისტებს. „ადამიანები, რომლებსაც ამგვარი პრიორიტეტები აქვთ დასახული, ყურადღებას არ აქცევენ იმ მონარმას, რომელსაც პრესის ზოგიერთი წარმომადგენელი ჩემს ცხოვრებაზე იგონებს“.

მწერალმა 1990 წელს პერუს საპრეზიდენტო არჩევნებშიც იყარა კენჭი, მაგრამ ალბერტო ფუხიმორისთან დამარცხდა. ლიოსა დღემდე ღიადაა ჩართული პოლიტიკურ მოვლენებში.

ალბერტო ფუხიმორი დღესაც სასჯელს იხდის ადამიანის უფლებების დარღვევისა და ავტორიტარული მმართველობისთვის. ორი წლის წინ ლიოსა პერუს საპრეზიდენტო არჩევნებზე მისი ყოფილი მეტოქის ქალიშვილს, კეიკო ფუხიმორის კანდიდატურას უჭერდა მხარს, რომელმაც ვერ გაიპარჯვა. მაშინ მწერალი ამბობდა, რომ ცუდსა და უარესს შორის უწევდა არჩევანის გაკეთება, რადგანაც მკაცრად არ ეთანხმებოდა ფუხიმორის მოწინააღმდეგის, ულტრამემარცხენე სოციალ-კონსერვატიული გაერთიანების ლიდერისა და ყოფილი მასწავლებლის პედრო კასტილიოს იდეებს. გასულ წელს ბრაზილიის საყოველთაო არჩევნების წინა პერიოდში მან ლუის ინასიუ ლულა და სილვას მოწინააღმდეგეს, ჟიანი ბოლსონარუს გამოუცხადა მხარდაჭერა.

„ბოლსონარუს შემთხვევა ძალიან განსხვავებულია“, – ამბობდა ლიოსა, – „ბოლსონარუს ტაკიმაზარობა ლიბერალისთვის ძალიან რთული მისაღებია. მაგრამ ამ ეტაპზე ბოლსონარუსა და ლულას შორის, რა თქმა უნდა, ბოლსონარუ მარჯვენაა. ბოლსონარუს სულელობა გამოხდომები კი ახასიათებს, მაგრამ ის მთლად ლულა მაინც არაა“.

მარიო ვარგას ლიოსას ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში 2010 წელს გადაეცა. ნობელის კომიტეტის თქმით, მწერალს ჯილდო მიანიჭეს „ძალაუფლების სტრუქტურის დეტალური აღწერისა და პიროვნების წინააღმდეგობის, ამბოხისა და დამარცხების ნათელი სურათებისთვის“.

გაზეთი „გარდიანი“ ინგლისურიდან თარგმნა ანა ამირხანაშვილმა

ბორის ლავიტაია

გეგმული უსიყვარულო

მოთხოვნები საერთო სათაურით „გეგმული უსიყვარულო“ შეადგენს მენის-ქვილე ბაბუას ნაამბობთა კრებულს...

ბაბუ ეტალონური სიმბოლეა მოთხოვნაში, იგი საუკუნის მზერა ოცდა-მეერთე საუკუნეში.

შვილთაშვილი ლირიკული პერსონაჟია, რომელიც იხილებს ბაბუას ორიენტაციით, ყველაფრის წილად აღქმის შემორჩენილი უნარით...

ბე ნაყოფით იცნობს, მაგრამ ვიდრე ნაყოფს მოისხამდეს, ხე ფესვით იცნობს, - ასე ფიქრობს კაცობრიობა...

ლუარა ჯიძია

*

ბაბუ საყვარელი და ძვირფასი წინაპარია. მარადიული სიცოცხლის ხატად მესახება. აი, უკვე ას მესუთე წელს ღუნავს...

ბაბუა და მისი მოთმინებით ვუსმენ მას: - ადამიანის ყოფაში გამოერევა უამბო, როცა თავის შეკავება გიჭირს...

შუადღეა, ვზივარ ძელსკამზე და თუთუნს ვაბოლებ, ყალიონში ჩატენილს. ეულად ის კეთილსახება დიაცი შემოგოგმანდა...

ნამიერად დავიბენი თუ გავშემდი... მე რე სისხლი მომანება უჩვეულოდ. რომ დამეფარა ეს გრძობა...

რას ფიქრობს ჩემი ძვირფასი ბაბუ? იქნება, მომავალს კაცთა, შორეულს განჭვრეტს!

უხეში ხელები შემოეჭდო მის სუსტსა და ნაზ გაგა-წელს, გამომშრალი ტუჩები დააცხრა მის ყელ-კისრის ხავერდს...

ნისქილი ისევ ხრიალებს, გოლვაფირო. რაკ-რუკ, რაკ-რუკ. ბრუნავს მოზრდილი, ტლანქი ქვა და ხვეშეროდან იყრება ფქვილი...

ინვა გულმკერდადამოლილი ძელსკამზე. შავნამნამა, ხელიკისვერ თვალს აბრიალებდა და უკვე არ ეტყობოდა სევდა და დარდი.

თითქოს შორიდან, სადღაც შორიდან მესმოდა ნისქილის მონოტონური ხმა, უფრო ახლოს ქალის გულის ნაზი ძგერა ტიკტიკებდა.

„ვაჰ! ბაბუ! - აღმომხდა - გულში კი ვფიქრობ: მეგონა, ჩონჩხი იყო, მეგონა, ფიტულია, თურმე როგორი გრძობის პატრონი ყოფილა...“

ბაბუ ერთი სასაცილო, კავანდარაა, წელთა სიმრავლით ძველი მუხასავით დახუნძლული ბერიკაცია, მაგრამ დრომ შესძინა თავისებური დიდებულება...

ვინა თქვა, ბედნიერებას ერთი სახე აქვსო? - არა, მას დაუთვლელი ოდენობა ჰქვია, რამეთუ ყოველი წამი ბედნიერების შემცველია...

ზის იგი სატინის ბლუზშია გამოწყობილი ჯორკოზე, ჩემ გვერდით, ზურგით ნისქილის მუხის კედელს მიყრდნობია...

რას ფიქრობს ჩემი ძვირფასი ბაბუ? იქნება, მომავალს კაცთა, შორეულს განჭვრეტს!

ეტყობა, ამჯერად ბაბუს საკუთარი ბავშვობა გაახსენდა. ამიტომ მომიყვა:

- აღმზრდელი, ადამიანის გონების, ქუჩისა და გემოვნების შემქმნელია. - ბაბუ ჩიბუხს აბოლებს - მოსწავლე მასწავლებლის შვილი არაა...

- დედის შემდეგ ვინც მაგონდება კეთილად, დიას კეთილად, გონებრივი მწვრთნელია ჩემი. მაშინ ხის სკოლა იდგა სოფელში...

დღეს მაგარ ჯანზეა ბაბუ. დილით, ნითელი სიმინდის მჭადი და ყველი მიირთვა, ნედლი კამა მიაყოლა...

- აუცილებლად. ჯერ კომპიუტერზე მაქვს საშუალო. მე რე მოგაკითხავ. - როგორც ყველა ადამიანს, მეც ორი ბაბუ მყავდა. დედის მხრიდან და მამის მხრიდან...

ყალიონში თუთუნი ჩატენა, მოუკიდა და კმაყოფილებით გააბოლა. დარწმუნდა, რომ მნიშვნელოვანი რამ ჩამანვეთა გონებაში...

საინარი ლიბერაბურის ინსტიტუტი



ციურია, რომ მწერალმა არ მიუთითა მას სახარება, ვითარცა წყარო. ამ ეპიგრაფის ტექსტით ელი მეტყველებს...

25 ოქტომბერს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიის კვლევით ცენტრში გაიმართა სამეცნიერო სემინარი...

სემინარს ესწრებოდნენ ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები, პედაგოგები, სტუდენტები და მოსწავლეები.

მოხსენების მიზანი იყო მოთხოვნის, „შელოცვა რადიოთი“, ეპიგრაფების ინტერპრეტაცია და მათი მიმართების აღდგენა „ვეფხისტყაოსანთან“.

პირველ ეპიგრაფში წარმოდგენილი ტაყუბი „ვეფხისტყაოსანიდან“ (მცირედ შეცვლილი) გვანჩვენებს, რომ ელისა და თანაპერსონაჟთა (შექსელი, ბრომელი) - ყოფასა და სულიერ მდგომარეობას არაფერი ჰქონდა საერთო...

მეორე ეპიგრაფი ელის აღსასრულს მიემართება. ერთადერთი ტექსტი, რომელსაც ის უკავშირდება, არის სახარება. ოღონდ ეს კავშირი იმდენად ფორმალური და ასოცია-

კულმინაციურ ეპიზოდში ელის ქმედება - გველვითან ცეკვა სამშობლოში დაბრუნების სანაცვლოდ - ნიკოლორთქიფანდისთვის არის მსხვერპლშენიერვა, ალბეჭდილი პერსონაჟის ცოდვითა მიმტვევებლ-გამომსყიდველი სისხლით („ესე არს სისხლი ჩემი“), წამებით დასრულებული სიცოცხლისა“ და საზოგადო-ეროვნული მნიშვნელობით („თქვენთვის და მრავალთათვის“).

მოხსენების დასრულების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ტექსტოლოგიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი როსტომ ჩხეიძე, ფილოლოგიის დოქტორები: მაკა ელბაქიძე, დარეჯან მენაბდე, ჯულიეტა გაბოძე, ნანა გონჯილაშვილი, გია არგანიშვილი.

როგორც სხდომის ბოლოს ითქვა, რუსთაველოლოგიის კვლევით ცენტრში სემინარები რეგულარულად ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ცენტრის თანამშრომლები, ასევე მონაწილე სტუმრები.

ია სათელაძე

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მატრიაშვილი
ფინანსური მენეჯერი ქატიკანა დამატრიაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: პალა გველესიანი, მზია პარპაძე
დინამიკური-დამკავალბონებელი, გავრცელების სამსახური პოლდემარ ჰანსკი

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

პაპიო გაბოძის 2 კმბაში მბოხელ დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
9 772720 854003